საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2020 წლის ანგარიში

2021

სარჩევი

შესავალი....4

საქმიანობის სტატისტიკური ანგარიში....5

სიცოცხლის უფლება....8

- გიორგი შაქარაშვილის საქმე....9
- თამარ ბაჩალიაშვილის საქმე....10
- თემირლან მაჩალიკაშვილის საქმე....11
- ხორავას ქუჩაზე მომხდარი არასრულწლოვნების მკვლელობა....11
- შეწყალების საქმე....12
- პენიტენციურ სისტემაში პატიმართა გარდაცვალების ფაქტების გამოძიება....12

წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა....18

- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან კომუნიკაცია....18
- სავარაუდო მსხვერპლის გამოკითხვა ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში....19
- ლუკა სირაძის საქმე....20
- თემურ აბაზოვის ბრალდების საქმე....21
- სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის გაჭიანურება....23
- ფსიქიატრიული ექსპერტიზის გაჭიანურება....23
- გაჭიანურებული მართლმსაჯულება სავარაუდო არასათანადო მოპყრობის საქმეზე....24
- ექსტრადიციის საქმეები....25

სისტემური ხარვეზები და საშელავათო მექანიზმები პენიტენციურ სისტემაში....25

- პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლა....25
- კრიმინალური სუბკულტურა პენიტენციურ დაწესებულებებში....29
- პატიმართა შორის ძალადობა....41
- სამედიცინო მომსახურების პრობლემები პენიტენციურ დაწესებულებებში....42
- საშიშროების რისკის არასწორი შეფასება....45
- საშიშროების რისკის გასაჩივრების პრობლემა....45
- დეესკალაციის საკანში მოთავსება....45

თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება....46

- მოწმეების ფაქტობრივი დაკავება....46
- მინდია ლავასოღლის (გორაძე) საქმე....47

ივანე მერაბიშვილის საქმე ... 47
გიორგი უგულავას თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვა ... 49
სამართლიანი სასამართლოს უფლება ... 49
გიორგი უგულავას საქმე ... 49
მიხეილ თოდუას საქმე ... 50
ნიკანორ მელიას სადეპუტატო მანდატის შეწყვეტის საქმე ... 51
ე. თ.-ს საქმე ... 52
ივერი მელაშვილის საქმე ... 53
სააპელაციო საჩივრის გადაგზავნის გაჭიანურება ... 53
ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განხილვის ხარვეზები ... 54
გიორგი რურუას საქმე ... 55
ლაშა თორდიას საქმე ... 56
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ... 57
სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება ... 57
ხანგრძლივი პაემნის დაუსაბუთებელი შეზღუდვა ... 58
მსჯავრდებულთა კომუნიკაცია ოჯახის წევრებთან ... 58
მსჯავრდებულთა კორესპონდენციის გაგზავნის პრობლემები ... 59
პატიმრობასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაციის გასაჯაროება ... 59
ელექტრონული მოწყობილობების ამოღება და ინფორმაციის გამოთხოვა ... 60
საკუთრების უფლება ... 61
ნივთიერი მტკიცებულების დაუბრუნებლობა ... 61
ჩხრეკის განჩინების ხარვეზები ... 61
ექსპერტიზის გაჭიანურება ... 62
სპეციალური ანგარიშები ... 63
სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში არასრულწლოვან ბრალდებულთა, მოწმეთა და დაზარალებულთა საპროცესო უფლებების დაცვა ... 63
20-21 ივნისის მოვლენების გამოძიების შუალედური ანგარიში ... 64
დისტანციური წესით გამართულ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო სხდომების მონიტორინგის ანგარიში ... 65

შესავალი

საქართველოს სახალხო დამცველი ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს, რაც გულისხმობს პრევენციულად ვიზიტების განხორციელებას ნებისმიერ დახურულ დაწესებულებაში და შესაბამისი მონიტორინგის განხორციელებას, პრობლემური შემთხვევების/საკითხების გამოვლენის მიზნით. ამ ფუნქციის განსახორციელებლად პატიმართა ინდივიდუალური მომართვა საჭირო არ არის.

ამის პარალელურად, სახალხო დამცველის აპარატი იხილავს დახურული დაწესებულებებიდან (მათ შორის, პენიტენციური დაწესებულებებიდან) შემოსულ საჩივრებს/განცხადებებს. სწორედ ამ მომართვებსა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ სხვა განცხადება/საჩივრებს განიხილავს სპეციალური სტრუქტურული ერთეული - სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტი (შემდეგში - დეპარტამენტი).

წინამდებარე ანგარიშის მიზანია დეტალურად წარმოადგინოს და გაანალიზოს ის მნიშვნელოვანი საკითხები და ტენდენციები, რომლებიც სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის განხილვის საგანი იყო 2020 წლის მანძილზე.

მოცემული ანგარიში სამი ძირითადი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი დაეთმობა დეპარტამენტის მიერ განხორციელებული საქმიანობის სტატისტიკურ ანალიზს. მეორე ნაწილში განხილული იქნება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში არსებული პრობლემები, ხოლო მესამე ნაწილი 2020 წელს გამოცემული სპეციალური ანგარიშების მიმოხილვას დაეთმობა.

2020 წლის ტენდენციების ფორმირებაში ყველაზე დიდი გავლენა ახალი კორონავირუსის გავრცელებამ იქონია. პანდემიამ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა სახალხო დამცველის აპარატი (შემდეგში - აპარატი). დისტანციურ რეჟიმში მუშაობამ საწყის ეტაპზე არაერთი ლოჯისტიკური და ტექნიკური პრობლემა შექმნა. თუმცა, აპარატმა მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადაში მოახერხა სრულფასოვანი ადაპტაცია და პრაქტიკულად, მნიშვნელოვანი შეფერხების გარეშე გააგრძელა საქმიანობა. მათ შორის, კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით შესაბამისი სამედიცინო ეკიპირების თანხლებით, გაგრძელდა სისტემატიური ვიზიტები დახურულ დაწესებულებებში.

პანდემიის გამო, დეპარტამენტი მაქსიმალურად იღებდა მხედველობაში სხვა სახელმწიფო უწყებების სამუშაო რეჟიმებსაც და არაერთ შემთხვევაში იქნა გათვალისწინებული მათი განმარტებები/პოზიციები ინფორმაციის მოწოდებისთვის კანონით გათვალისწინებული ვადის დარღვევის მიზეზებთან დაკავშირებით. მიუხედავად ზოგიერთი უწყების, სტრუქტურული ერთეულისა თუ კონკრეტული თანამდებობის პირის მხრიდან სახალხო დამცველის აპარატთან თანამშრომლობის კანონით დაკისრებული ვალდებულების

არაჯეროვანი შესრულების შემთხვევებისა, სახელმწიფო უწყებებთან კომუნიკაცია ძირითად შემთხვევაში პოზიტიურად უნდა შეფასდეს და მათ შორის, განსაკუთრებული ხაზი კვლავ უნდა გაესვას სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის თანამშრომლობის ხარისხს.

არასათანადო მოპყრობის პრევენციის კონტექსტში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რომ მონიტორინგის განმახორციელებელ ორგანოს ჰქონდეს საქმიანობის თავისუფლად განხორციელების შესაძლებლობა. ამ მიმართებით აღსანიშნავია რომ 2020 წელს იყო შემთხვევა, როდესაც სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალურმა დირექტორმა არ მიაწოდა აპარატს მოთხოვნილი ინფორმაცია, რის გამოც დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება და სასამართლომ კანონდამრღვევად[1] ცნო და დააჯარიმა იგი. მსგავსი კანონდარღვევა ჩაიდინა N14 პენიტენციური დაწესებულების დირექტორმაც.

ასევე აღსანიშნავია 2020 წლის 21 იანვარს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე მომხდარი ფაქტი. კერძოდ, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა სხდომაზე კანონმდებლობის უხეში დარღვევით აჩვენა სახალხო დამცველის რწმუნებულის პატიმართან საკანში კონფიდენციალური შეხვედრის ამსახველი ვიდეო ჩანაწერები და გააკრიტიკა რწმუნებულის მოქმედება, რითიც სცადა მოეხდინა პიროვნულად სახალხო დამცველის და მთლიანი ინსტიტუციის დისკრედიტაცია, მის მიმართ ნდობის შემცირება და რადიკალურად განწყობილი ჯგუფების მიერ აგრესიის პროვოცირება. ამ ქმედების გამო იუსტიციის სამინისტრო და სპეციალური პენიტენციური სამსახური დაჯარიმდა სახელმწიფო ინსპექტორის მიერ და ასევე დაიწყო პენიტენციური სისტემის ვიდეო მეთვალყურეობის სისტემის სისტემური მონიტორინგი, სადაც მრავალი ხარვეზი გამოვლინდა.

სახელმწიფო ინსპექტორმა გაიზიარა სახალხო დამცველის სხვა მოთხოვნაც და 2020 წლის 20 მარტს მიიღო გადაწყვეტილება პენიტენციურ დაწესებულებებში ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შედეგად მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის შესახებ. შემოწმების შედეგად სახელმწიფო ინსპექტორმა გამოავლინა არაერთი პრობლემა პენიტენციურ დაწესებულებებში მიმდინარე ვიდეოთვალთვალის პროცესთან დაკავშირებით და მისცა 16 დავალება/რეკომენდაცია სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს.

საქმიანობის სტატისტიკური ანგარიში

2020 წელს სისხლის სამართლის დეპარტამენტში შევიდა 2 471 განცხადება/ოქმი. აქედან 1 384 განცხადება შემოვიდა პენიტენციური დაწესებულებებიდან. ყველაზე მეტი მომართვა დაფიქსირდა დახურული დაწესებულებებიდან. კერძოდ, N8 პენიტენციური დაწესებულებიდან - 363, N3 – 272, N2 – 250, N6 – 231. სხვა დაწესებულებებიდან შემოსული

[1] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხ. 173[4].

განცხადება/ოქმების რაოდენობა კი ასეთია: N18 – 62, N5 – 52, N17 – 30, N10 – 24, N12 – 23, N7 – 21, N15 – 18, N9 – 17, N14 – 9, N16 – 6 და N19 – 6.

ყველაზე ხშირად პენიტენციური სისტემიდან შემოსული განცხადებები გასული წლების მსგავსად, ეხებოდა დაგვიანებულ ან უხარისხო სამედიცინო მომსახურებას, მიმოწერის უფლების დარღვევას, ციხის არასათანადო პირობებს, სატელეფონო კომუნიკაციის უფლების დარღვევას, პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის არაეფექტურობას და სხვა. კვლავ ხშირი იყო მოქალაქეთა მომართვიანობა გაჭიანურებულ და არაეფექტიან გამოძიებებთან დაკავშირებით. გამოძიების მიმდინარეობის შემაფერხებელ გარემოებად არაერთხელ მიუთითებდნენ სასამართლო ექსპერტიზის ჩატარების გაჭიანურებასა თუ ჩაუტარებლობაზე.

2020 წელს დეპარტამენტის თანამშრომლებმა პენიტენციურ დაწესებულებებში განახორციელეს 286 ვიზიტი და მოინახულეს 1 159 პატიმარი. 15 ვიზიტი განხორციელდა აკად. ბ.ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში, სადაც შევხვდით 46 პაციენტს.

2020 წელს დეპარტამენტის ფარგლებში მომზადდა და გაიგზავნა 4 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება. 3 მათგანი გაიგზავნა საერთო სასამართლოებში. აქედან ორი ეხებოდა ნეიტრალური მტკიცებულებების მნიშვნელობასა და საჭიროებას[2], ხოლო 1 უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის (ფულის გათეთრება) შინაარსობრივ, სტრუქტურულ და მიზნობრივ ანალიზს.[3] 2020 წლის მარტის მდგომარეობით, გაგზავნილი მოსაზრებებიდან ერთ შემთხვევაზე სასამართლო განხილვა ჯერ არ არის დასრულებული, ერთ შემთხვევაში სასამართლომ არ გაიზიარა სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, ხოლო ერთ შემთხვევაში განხილვის შედეგები ჯერჯერობით უცნობია სახალხო დამცველის აპარატისთვის. ერთი სასამართლოს მეგობრის მოსაზრება[4] გაიგზავნა საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელზე „ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“[5].

ასევე, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის ფარგლებში მომზადდა და გაიგზავნა 21 წინადადება და რეკომენდაცია. აქედან იუსტიციის მინისტრს გაეგზავნა 7 წინადადება/რეკომენდაცია:

- 3 წინადადება ეხებოდა პირობით ვადამდე გათავისუფლების ვადის სწორად გამოთვლას
- 1 წინადადება ეხებოდა მსჯავრდებულის ოჯახის წევრების ან ახლო ნათესავების საცხოვრებელი ადგილიდან ყველაზე ახლოს მდებარე შესაბამისი რისკის დაწესებულებაში გადაყვანას

[2] იხ. <https://bit.ly/3cjxlNS > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 12 თებერვალს].
[3] იხ. <https://bit.ly/3iVey2b > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 12 თებერვალს].
[4] იხ. < https://bit.ly/2Mc9l4v > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 12 თებერვალს].
[5] კონსტიტუციური სარჩელი N1473.

- 1 რეკომენდაცია ეხებოდა N9 დაწესებულებაში განთავსებული პატიმრებისთვის ქართულენოვანი სატელევიზიო არხების მაუწყებლობის ტრანსლაციის მიღებას
- 1 წინადადება ეხებოდა კონკრეტული მსჯავრდებულის საშიშროების რისკის გადაფასების საჭიროებასა და ამავდროულად სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების აუცილებლობას პატიმრის საქმის არაჯეროვანი შესწავლისთვის
- 1 რეკომენდაცია ეხებოდა N18 მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულების ხანგრძლივი მოვლის საჭიროების მქონე მსჯავრდებულებისთვის ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლების მინიჭებასა და ამ უფლებით სარგებლობის უზრუნველყოფას.

10 წინადადება/რეკომენდაცია გაეგზავნა გენერალურ პროკურორს:

- 4 წინადადება ეხდებოდა სხვადასხვა საკითხზე გამოძიების დაწყების საჭიროებას
- 2 წინადადება ეხებოდა რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის მიზანშეუწონლობას
- 1 წინადადება ეხებოდა მოქალაქისთვის ჩამორთმეული ავტომანქანის დაბრუნებას
- 1 წინადადება ეხებოდა სიცოცხლის უფლებაზე მიმდინარე გამოძიების განახლებას
- 1 წინადადება ეხებოდა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას
- 1 წინადადება ეხებოდა ბრალდებულის მიმართ განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიების დაგვიანებით დაწყებაზე პასუხისმგებელი პირების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებას

1 წინადადება გაეგზავნა შინაგან საქმეთა მინისტრს და ეხებოდა შსს თანამშრომელთა მხრიდან განხორციელებულ სავარაუდო დისციპლინურ გადაცდომას.

1 წინადადება მიემართებოდა როგორც შინაგან საქმეთა მინისტრს, ისე გენერალურ პროკურორს. წინადადება მიემართებოდა ეფექტიანი გამოძიების ჩატარების საჭიროებას და ამავდროულად, სახალხო დამცველი ითხოვდა დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებას კონკრეტულ კანონდარღვევებთან დაკავშირებით.

1 რეკომენდაცია გაეგზავნა საქართველოს პრემიერ-მინისტრს. სახალხო დამცველი ითხოვდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით საკანონმდებლო ბაზის შემუშავებას.

1 წინადადება გაიგზავნა საქართველოს პარლამენტში. წინადადება, სხვა საკითხებთან ერთად, ეხებოდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატან ცვლილებებს, რომელიც მოსამართლეს ერთპიროვნულ უფლებამოსილებას ანიჭებდა პანდემიისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით საშიში ეპიდემიის გავრცელების საფრთხის შემთხვევაში ჩაეტარებინა დისტანციური სასამართლო პროცესები.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის მიერ მომზადებული ზემოხსენებული 21 წინადადება/რეკომენდაციის გაზიარების მაჩვენებელი შემდეგია:

- დაკმაყოფილა 8 წინადადება/რეკომენდაცია
- არ იქნა გაზიარებული 6 რეკომენდაცია/წინადადება
- ნაწილობრივ შესრულდა 3 წინადადება/რეკომენდაცია
- 4 წინადადება/რეკომენდაციაზე საბოლოო პასუხი ჯერჯერობით აპარატს არ აქვს.

დეპარტამენტის ფარგლებში შესწავლილ იქნა არაერთი სისხლის სამართლის საქმეც, რომლებზეც განსაკუთრებულად მაღალი ინტერესი იყო საზოგადოებაში, მათ შორის, გიორგი შაქარაშვილის მკვლელობის საქმე, თამარ ბაჩალიაშვილის გარდაცვალების საქმე, ე.წ. კარტოგრაფების საქმე, ლუკა სირაძის საქმე და სხვა. ასევე, 2020 წელს გაგრძელდა წინა წლებში დაწყებული მონიტორინგი 20-21 ივნისის მოვლენების გამოძიების საქმეზე, ივანე მერაბიშვილის ე.წ. საკნიდან გაყვანის საქმეზე და სხვა.

თანამშრომლებმა დაამონიტორინგეს ათეულობით სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვა, მათ შორის, როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად ჩატარებული პროცესები. ასევე, არაერთი ვიზიტი განახორციელა შსს განყოფილებებში, სამმართველოებსა და რეგიონულ დეპარტამენტებში, ასევე, დროებითი მოთავსების იზოლატორებში. ვიზიტები განხორციელდა როგორც მოქალაქეთა მომართვის საფუძველზე, ისე - პროაქტიულად.

2020 წელს ასევე გამოაქვეყნა საინფორმაციო ბროშურა, რომელიც ასახავს ძირითადი უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმაციას, რაც მოქალაქეს პოლიციასთან ურთიერთობაში დაეხმარება.[6] ასევე, მომზადდა იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დარღვევის გამო გამოწერილი ჯარიმის გასაჩივრებისა და გადახდის წესისა და ვადების შესახებ საინფორმაციო კითხვა/პასუხი.[7]

2020 წელს მომზადდა და გამოიცა 3 სპეციალური ანგარიში, რომლებიც ეხებოდა 20-21 ივნისის მოვლენების გამოძიებას[8], დისტანციური წესით ჩატარებული სისხლის სამართლის საქმეთა სხდომების მონიტორინგს[9], და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში არასრულწლოვან ბრალდებულთა, მოწმეთა და დაზარალებულთა საპროცესო უფლებების დაცვას.[10]

სიცოცხლის უფლება

სიცოცხლის უფლების დაცვა კვლავ სახელმწიფოს წინაშე არსებულ ერთ-ერთ ძირითად გამოწვევად რჩება. 2020 წელს არაერთ საქმეზე იყო მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი და

[6] ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე < https://cutt.ly/NkHAS4i > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 1 თებერვალს].
[7] იხ. < https://cutt.ly/ukHALoR > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 12 თებერვალს].
[8] იხ. < https://bit.ly/3pqW7Vf > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 12 თებერვალს].
[9] იხ. < https://bit.ly/3r1Z8fo > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 12 თებერვალს].
[10] იხ. < https://bit.ly/3r1ZliG > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 12 თებერვალს].

მათ შორის, მნიშვნელოვანი კრიტიკა გამოითქვა საგამოძიებო უწყებების მიმართ. ჩვენი შესწავლის შედეგებით, გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით გამოძიებამ შეძლო ეფექტიანობის სტანდარტის უზრუნველყოფა, თუმცა, სამწუხაროდ, ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან ისევ შეუსრულებელი დარჩა სიცოცხლის უფლების კონტექსტში ნაკისრი პოზიტიური ვალდებულება ეფექტიანი გამოძიების თაობაზე.

ხშირ შემთხვევაში საგამოძიებო უწყებების მხრიდან დაგვიანებით ან ხარვეზიანად ტარდებოდა მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედებები, გარკვეული საგამოძიებო მოქმედებები კი ჩაუტარებელი დარჩა. ამ მიმართულებით რიგ შემთხვევებში უშედეგო აღმოჩნდა სახალხო დამცველის მცდელობებიც. საგამოძიებო უწყებებისთვის მიცემული რეკომენდაციების ნაწილი შეუსრულებელი დარჩა.

ამ მოცემულობამ და პრობლემის აქტუალობამ კიდევ ერთხელ თვალსაჩინო გახადა სახალხო დამცველის მანდატის გაზრდის საჭიროება, რომელზეც სახალხო დამცველი წლებია მიმართავს საქართველოს პარლამენტს.[11] აუცილებელია სიცოცხლის უფლებისა და არასათანადო მოპყრობის საქმეებზე სახალხო დამცველს ჰქონდეს დაშვება გამოძიების პროცესშივე და ეს არ იყოს საგამოძიებო უწყებების მხრიდან დაშვებულ გამონაკლისებზე დამოკიდებული.

გიორგი შაქარაშვილის საქმე

ოთხდღიანი ძებნის შემდეგ, 19 წლის გიორგი შაქარაშვილის ცხედარი, 2020 წლის 22 ივნისს, მდინარე არაგვში იპოვეს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ რამდენიმე დღეში, სხვადასხვა ბრალდებით, 17 პირი დააკავა, მათ შორის, არასრულწლოვნები.

აპარატი პირველივე წუთებიდან აკვირდებოდა ფაქტზე მიმდინარე გამოძიებას და ისმენდნენ მხარეთა პოზიციებს. შეხვდა როგორც გარდაცვლილის ოჯახის წევრებს, ისე ჩვიდმეტივე დაკავებულს - პენიტენციურ დაწესებულებებში. სახალხო დამცველმა მალევე მიმართა საქართველოს პროკურატურას საქმის მასალების გაცნობის თხოვნით, რათა შეგვესწავლა გამოძიების ეფექტიანობა.[12] საგამონაკლისო დაშვების საფუძველზე, შევისწავლეთ შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე გამოძიების მასალები, რომელიც ასახავდა 2020 წლის 19 ივნისიდან 12 აგვისტოს ჩათვლით ჩატარებულ ყველა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებას.

მასალების შესწავლამ ცხადყო, რომ გამოძიების საწყის ეტაპზე, მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები არასრულყოფილი იყო. ამასთან, მოწმეთა გამოკითხვები არ შეიცავდა დეტალურ კითხვებს და არ იყო ამომწურავი, ხოლო გამოკითხვების შედეგად მიღებული ინფორმაცია არ იყო

[11] მაგ., იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 84. < https://www.ombudsman.ge/res/docs/2019042620571319466.pdf >

[12] იხ. < https://cutt.ly/lkq3qeq > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 12 თებერვალს].

სათანადოდ დადასტურებული ან გადამოწმებული (მაგ. ამოცნობის ან ექსპერიმენტის მეშვეობით). აღნიშნული ხარვეზების ნაწილი მოგვიანებით გამოძიებამ აღმოფხვრა.

ასევე, გამოიკვეთა პოლიციელთა მხრიდან საქმის მონაწილე სხვადასხვა პირების შესაძლო უფლების დარღვევის ფაქტები, რაც შსს გენერალური ინსპექციის მიერ სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების საჭიროებას წარმოშობდა.

შესაბამისად, 2020 წლის 20 აგვისტოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურორსა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს. მიუთითა არაჯეროვნად და დაგვიანებით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ, რომელიც ვერ აკმაყოფილებდა გამოძიების ეფექტიანობის სტანდარტებს, ასევე, მოუწოდა უწყებებს საქმესთან დაკავშირებით კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებებისა და სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებისკენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ გამოძიების ეტაპზე შეფასდა საქმეზე ბრალდებულთა ადვოკატებისთვის გაუთქმელობის ვალდებულების დაკისრებაც და განიმარტა, რომ დაცვის მხარისთვის გაუთქმელობის ვალდებულების დაუსაბუთებელი დაკისრებით შესაძლოა დარღვეულიყო მხარეთა თანასწორობის უფლება.[13]

აპარატი აგრძელებს გიორგი შაქარაშვილის მკვლელობის საქმეზე მიმდინარე სასამართლო პროცესების მონიტორინგს.

თამარ ბაჩალიაშვილის საქმე

2020 წელს საგამონაკლისო წესით, გავეცანით თამარ ბაჩალიაშვილის გაუჩინარებისა და გარდაცვალების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების მასალებს. სახალხო დამცველმა მოისმინა გარდაცვლილის ოჯახის წევრებისა და ადვოკატების პრეტენზიები.[14] მათ მიერ იდენტიფიცირებული პრობლემები განხილულ იქნა საქართველოს პროკურატურაში გამართული შეხვედრის დროს.[15]

ამ საქმეზე მიმდინარე გამოძიების მასალებში, არსებითი ხასიათის ხარვეზები გამოძიების ეფექტიანობის მიმართულებით აპარატს არ გამოუვლენია. თუმცა, იდენტიფიცირდა გარკვეული პროცედურული ხასიათის პრობლემები (იმ პირთა მიმართ, ვისი უფლებებიც იქნა შეზღუდული გამოძიების ფარგლებში), რისი შესწავლაც დამატებით გრძელდება. ასევე, გაიგზავნა მიმართვა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში ერთ-ერთი შპს-სა და ვებ-გვერდის მიერ პერსონალური მონაცემების დაცვის ხარისხის შემოწმების მიზნით.[16]

---

[13] იხ. < https://cutt.ly/Xkq8ilB > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 12 თებერვალს].
[14]იხ. < https://cutt.ly/LkHSy49 > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 12 თებერვალს].
[15] იხ. < https://cutt.ly/OkHSswB > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 12 თებერვალს].
[16] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2020 წლის 30 ნოემბრის N 15-4/11745 და 2021 წლის 18 თებერვლის N 15-4/1756 წერილები.

თემირლან მაჩალიკაშვილის საქმე

2018 წლიდან სახალხო დამცველი მოუწოდებდა საქართველოს პარლამენტს გამოეყენებინა ყველა შესაძლო საზედამხედველო ბერკეტი თემირლან მაჩალიკაშვილის გარდაცვალების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების გარშემო ეფექტიანი გამოძიების უზრუნველყოფის მიზნით.[17] ასევე გაცემულ იქნა პარლამენტის მიმართ წინადადება დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზნით.[18] სამწუხაროდ, 2020 წლის დასაწყისში, პროკურატურამ გამოძიება შეწყვიტა, დანაშაულებრივი ქმედების არარსებობის საფუძვლით.

დეპარტამენტი საქმის მასალებს სრულად გაეცნო და დააიდენტიფიცირა რიგი საკითხებისა, რომელსაც გამოძიების მხრიდან პასუხი არ ჰქონდა გაცემული. გამოძიებას არ ჰქონდა მოპოვებული რაციის ჩანაწერები, ოპერაციის განხორციელებაზე და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირების მიერ სპეცოპერაციების პერიოდში ერთმანეთს შორის სატელეფონო კომუნიკაციის, ზარების, მოკლე ტექსტური შეტყობინებების, სატელეფონო პროგრამებისა და სოციალური ქსელების საშუალებით განხორციელებული კომუნიკაციის ამსახველი სრული ინფორმაცია.[19]

შესაბამისად, 2020 წლის 27 მარტს სახალხო დამცველმა მიმართა გენერალურ პროკურატურას საქმის განახლებისა და თემირლან მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტზე სრულყოფილი გამოძიების ჩატარების მოთხოვნით. სამწუხაროდ, გენერალურმა პროკურატურამ არ გაიზიარა ჩვენი წინადადება.[20]

ხორავას ქუჩაზე მომხდარი არასრულწლოვნების მკვლელობა

არანაკლები კრიტიკის საგანია წლების მანძილზე, 2017 წლის 1 დეკემბერს, ხორავას ქუჩაზე მომხდარი არასრულწლოვნების მკვლელობის საქმე და მასზე ჩატარებული არაეფექტიანი გამოძიება.[21] საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ პროკურატურამ არ გაითვალისწინა სახალხო დამცველის რეკომენდაცია - დაწყებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგების საზოგადოებისთვის მიწოდებისა და შემოწმების მასალების სახალხო დამცველის აპარატისთვის გაცნობის თაობაზე. არ დაწყებულა მსჯელობა სამოხელეო დანაშაულის მუხლით გამოძიების დაწყების მიზანშეწონილობაზეც.[22]

გასული წლების მანძილზე აპარატმა არაერთხელ მიმართა პროკურატურას გენერალურ ინსპექციაში მიმდინარე სამსახურებრივი შემოწმების თაობაზე, თუმცა, პროკურატურის

---

[17] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 32-33, < https://ombudsman.ge/res/docs/2019042620571319466.pdf >

[18] იქვე, გვ. 38.

[19] იხ. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2019 წლის ანგარიში, გვ. 12-13, <https://bit.ly/2M3eUI5 >

[20] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 10 აპრილის №13/21165 წერილი.

[21] მაგ., იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 33-35 < https://www.ombudsman.ge/res/docs/2019042620571319466.pdf >; სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2019 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 13-14, < https://www.ombudsman.ge/res/docs/2020033018365296334.pdf >

[22] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 37-38.

განმარტებით, სამსახურებრივი მოკვლევა კვლავ არ დასრულებულა[23], ხოლო საგამონაკლისო წესით მასალების გაცნობის შესაძლებლობა სახალხო დამცველის აპარატს არ მიეცა.[24] შესაბამისად, სამწუხაროდ, მოკვლევის შედეგები, ამ დრომდე უცნობია.

აუცილებელია პროკურატურამ დროულად დაასრულოს მიმდინარე სამსახურებრივი შემოწმება და შეაფასოს ყველა კანონდამრღვევი პროკურორისა თუ გამომძიებლის ქმედება ადეკვატურად.

შეწყალების საქმე

2019 წელს სახალხო დამცველმა სიცოცხლის უფლების დარღვევად შეაფასა საქართველოს მოქმედი პრეზიდენტის მიერ იმ მსჯავრდებულთა შეწყალების საკითხი, რომლებიც სასჯელს იხდიდნენ განზრახი მკვლელობებისთვის და მსჯავრის მნიშვნელოვანი ნაწილის მოუხდელად დატოვეს პენიტენციური დაწესებულებები.[25]

შეწყალების საკითხებთან დაკავშირებით[26] 2019 წლის 20 სექტემბერს დაწყებული სისხლის სამართლის გამოძიება კვლავ ხელშესახები შედეგის გარეშე მიმდინარეობს.[27]

სიცოცხლის ძირითადი უფლების ირგვლივ სახელმწიფოს ნაკისრი განსაკუთრებული პოზიტიური ვალდებულებებისა და საქმის მიმართ მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, აპარატმა მიმართა გენერალურ პროკურატურას და ითხოვა მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის საგამონაკლისო წესით გაცნობა, თუმცა მიმართვა არ დაკმაყოფილდა.[28] ჩვენთვის უცნობია თუ როგორ მიმდინარეობს გამოძიება, რამდენად ეფექტიანად, დროულად და ზედმიწევნით ტარდება შესაბამისი საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებები.[29]

პენიტენციურ სისტემაში პატიმართა გარდაცვალების ფაქტების გამოძიება

პენიტენციურ სისტემაში დაგვიანებულ სამედიცინო მომსახურებაზე წუხილი წლებია პატიმრების მხრიდან ერთ-ერთი ყველაზე ხშირად დაფიქსირებადი საკითხია. გარდა გაჭიანურებული მომსახურებისა, პატიმრები ხშირად სამედიცინო მომსახურების უხარისხობასა და არაადეკვატურობაზეც მიუთითებენ. არაერთ შემთხვევაში კი გამოთქვეს ვარაუდი, რომ სწორედ უხარისხო ან/და გაჭიანურებული სამედიცინო

---

[23] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 6 იანვრის N13/555 წერილი; ასევე, 2019 წლის 9 დეკემბრის N13/86091 და 2020 წლის 17 ივლისის №13/39978 წერილები.

[24] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2019 წლის 9 ოქტომბრის №13/71392 წერილი.

[25]იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 44. < https://www.ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf >

[26] იხ. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2019 წლის ანგარიში, გვ. 14-16, <https://bit.ly/2M3eUI5 >

[27] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 27 იანვრის N13/3710 წერილი. გამოძიება შეწყალების პროცესში სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო ბოროტად გამოყენების ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

[28] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 14 სექტემბრის N13/53054 წერილი.

[29] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 27 იანვრის N13/3710 წერილი.

დახმარება აღმოჩნდა პენიტენციურ სისტემაში პატიმრების სიკვდილის მიზეზი, თუმცა, ამას ადეკვატური შეფასება სახელმწიფო უწყებების მხრიდან არ მოჰყოლია.

სწორედ ამიტომ, გადავწყვიტეთ შეგვესწავლა პატიმართა გარდაცვალების ფაქტებზე წარმოებული გამოძიების მასალები და შეგვეფასებინა ვარაუდების საფუძვლიანობა.

ვინაიდან სახალხო დამცველის აპარატი უფლებამოსილია გაეცნოს მხოლოდ ისეთ საქმეებს, რომლებზეც წარმოება უკვე დასრულებულია, შევისწავლეთ 2015-2018 წლების 17 სისხლის სამართლის საქმე. მათზე გამოძიება შეწყვეტილი იყო დანაშაულებრივი ქმედების არარსებობის გამო. აქედან 4 საქმე შეეხებოდა შესაძლო სუიციდის შემთხვევას, 13 საქმე - ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო უეცარ გარდაცვალებას.

ვინაიდან შესწავლის საგანი საგამოძიებო მოქმედებების ეფექტიანად ჩატარების გარდა, მოიცავდა ჯანმრთელობის მდგომარეობისა და პატიმრისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურების საკითხებსაც, მოწვეულ იქნა ჯანდაცვის ექსპერტი[30], რომელმაც გააანალიზა და შეაფასა სამედიცინო საკითხებთან დაკავშირებული რელევანტური მასალები.

საქმეთა შესწავლამ გამოავლინა როგორც გამოძიების ხარვეზები, ისე სამედიცინო მომსახურების სავარაუდო არაეფექტიანობა, გულგრილობა და უხარისხობა.

- *გამოძიების ხარვეზები*

გამოძიების მასალების შესწავლამ აჩვენა, რომ ყველა ფაქტზე გამოძიებას იწყებდა და აწარმოებდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი. შესწავლილი საქმეებიდან არც ერთი საქმე არ არის წარმოებული პროკურატურის მიერ. ასევე, არც ერთ საქმეში არ მოიპოვება პროკურორის მითითება გამომძიებლის მიმართ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებით.

გამოძიების ხარვეზები უმთავრესად უკავშირდება ვიდეოჩანაწერების მოპოვებას.[31] რამდენიმე შემთხვევაში, როდესაც ვიდეოჩანაწერი გამოთხოვილია, საქმის მასალებში არ ჩანს, მოპოვებული იქნა თუ არა გამოთხოვილი ვიდეომასალა და არ მოიპოვება ვიდეოჩანაწერების დათვალიერების ოქმი.[32] რამდენიმე საქმეში არ გამოიკითხნენ გარდაცვლილის თანამესაკნეები,[33] ხოლო იმ საქმეში, სადაც პატიმრებისა და დაწესებულების თანამშრომელთა გამოკითხვა განხორციელდა, მათი ჩვენებები თითქმის იდენტურია,[34] რაც აჩენს ეჭვს ჩვენებათა წინასწარი ურთიერთშეჯერების თაობაზე.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ გამოძიება ნაკლებად ინტერესდებოდა სამედიცინო მიმართულებით სათანადო ინფორმაციის სრულად მოპოვებით და ორიენტირებული იყო

[30] მედიცინის დოქტორი მერაბ ქავთარაძე.
[31] ლ.ბ.-ს საქმე; გ.ჩ.-ს საქმე.
[32] ვ.ლ.-ს საქმე; ნ.მ.-ს საქმე; ზ.ს.-ს საქმე.
[33] ნ.მ.-ს საქმე; ზ.ს.-ს საქმე; გ.ჩ.-ს საქმე.
[34] პ.ს.-ს საქმე.

დაედგინა/გამოერიცა მოხდა თუ არა პატიმრის მიმართ ფიზიკური ძალადობა ან მისი თვითმკვლელობამდე მიყვანა. რიგ შემთხვევებში, საერთოდ არ არის ამოღებული გარდაცვლილი პატიმრის სამედიცინო დოკუმენტაცია.[35] იმ საქმეში, სადაც ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, პირის გარდაცვალების მიზეზი გახდა ჯანმრთელობის ის პრობლემები,[36] რომელიც პატიმრის სიცოცხლის პერიოდში პენიტენციურ დაწესებულებაში არ ყოფილა დასმული, სხვა საგამოძიებო მოქმედება ამ მიმართულებით აღარ ჩატარებულა.[37] ამასთან, იმ საქმეში, სადაც გამოძიებამ მიმართა დაწესებულების მთავარ ექიმს, გამოითხოვა პატიმრის სამედიცინო ბარათი და დამატებითი კითხვები დაუსვა მთავარ ექიმს გარდაცვალების დღეს ჩატარებულ სამედიცინო მანიპულაციებთან დაკავშირებით, დაწესებულების მთავარმა ექიმმა კითხვები უპასუხოდ დატოვა.[38]

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ფაქტზე გამოძიება პატიმრის გარდაცვალების დღესვე დაიწყო, გამოიკვეთა ზოგიერთი მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედების არაგონივრული ვადით დაგვიანებით ჩატარების ფაქტები.

მაგალითისთვის, ვიდეომასალის გამოთხოვა მოხდა 11 თვის დაგვიანებით[39]. გამოთხოვილი მასალის მიღების შემდეგ ვიდეომასალის დათვალიერება მოხდა 1 თვის[40], 5 თვის[41], 7 თვის დაგვიანებით[42]. დაგვიანებით ხდებოდა ბრალდებულის თანამესაკნეთა და ექიმთა გამოკითხვაც - გამოძიების დაწყებიდან 1 თვის[43], 2 თვის[44], 5 თვის[45] გასვლის შემდეგ.

საგულისხმოა, რომ პატიმრის თვითმკვლელობის შემთხვევებში არ ხდებოდა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნა პენიტენციური დაწესებულებიდან ამოღებულ სამედიცინო დოკუმენტაციაზე იმის გასარკვევად, თუ რამდენად იყო შეფასებული კონკრეტული პატიმრის მიერ თვითმკვლელობის ჩადენის რისკი და ადგილი ხომ არ ჰქონდა პატიმრის ფსიქიკური მდგომარეობის შეფასებისას სამედიცინო პერსონალისა და სხვა შესაბამისი თანამდებობის პირების მხრიდან გულგრილ დამოკიდებულებასა და სამსახურებრივი უფლება-მოვალეობების არაჯეროვან შესრულებას.[46]

ასევე საყურადღებოა ის გარემოება, რომ ერთ-ერთ ბრალდებულს[47], რომელიც მულტიშეფასების გუნდის მიერ გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად ჩართული იყო სუიციდის პრევენციის პროგრამაში, ფსიქიატრის კონსულტაცია გაეწია მხოლოდ ორჯერ.

---

[35] ვ.ლ.-ს საქმე; გ.ჩ.-ს საქმე.
[36] სუნთქვისა და გულსისხლძარღვთა უკმარისობა განვითარებული ინტერსტიციული პნევმონიის შედეგად.
[37] მ.ქ.-ს საქმე.
[38] მ.პ.-ს საქმე.
[39] ლ. ბ.-ს საქმე.
[40] მ. ქ.-ს საქმე.
[41] ლ. ბ.-ს, ასევე ლ. ჭ.-ს საქმეები.
[42] ა. ა.-ს, ასევე პ. ს.-ს საქმეები.
[43] ა. მ.-ს საქმე.
[44] პ. ს.-ს საქმე.
[45] მ. ქ.-ს საქმე.
[46] ნ.კ.-ს საქმე, მ.ა.-ს საქმე.
[47] ნ.კ.-ს საქმე

ამასთან, ამავე გუნდის მიერ ასევე გაცემული იყო რეკომენდაცია პატიმართან ფსიქოლოგს, სოციალურ მუშაკს და დაწესებულების დირექტორის მიერ უფლებამოსილ პირს კომუნიკაცია ჰქონოდა კვირაში ერთხელ, თუმცა სამედიცინო დოკუმენტაციიდან არ დგინდება, შესრულდა თუ არა მითითებული რეკომენდაციები. საქმის მასალებიდან გამომდინარე, ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკი გამოძიების მიერ არ გამოკითხულან.

ჩვენ მიერ შესწავლილ სისხლის სამართლის საქმის მასალებს ყველა შემთხვევაში გაეცნო გარდაცვლილი პატიმრის ოჯახის რომელიმე წევრი, მაგრამ არცერთ საქმეზე დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობილი არ ყოფილა არცერთი პირი.

- *სამედიცინო ხასიათის არსებითი ხარვეზები*

გარდა გამოძიების ხარვეზებისა, მოცემული ჩვიდმეტი საქმის შესწავლამ გააჩინა საფუძვლიანი კითხვები პენიტენციურ სისტემაში მყოფი პატიმრებისთვის მიწოდებული სამედიცინო მომსახურების ხარისხსა და დროულობაზე.

სამედიცინო ექსპერტიზის შესწავლის შედეგად არაერთხელ გამოიკვეთა მძიმე დაავადებები,[48] რომელიც პატიმრებს სიცოცხლეში არ ჰქონდათ დადგენილი და ამ მიმართულებით დიაგნოსტიკა ან მკურნალობა არ უტარდებოდათ.[49] კვლევაში ჩართული დამოუკიდებელი ექსპერტის შეფასებით, ერთ-ერთ შემთხვევაში, პაციენტისთვის მიცემული დანიშნულების მიზანშეწონილობა საეჭვოა.[50] აღნიშნული შემთხვევები საგულისხმო კითხვებს აჩენს პატიმართათვის მიწოდებული სამედიცინო მომსახურების ხარისხის მიმართულებით.

- *პ.ს.-ს სიკვდილის მიზეზად ექსპერტიზამ მიუთითა გულსისხლძარღვთა და სუნთქვის უკმარისობა განვითარებული გულის ქრონიკული იშემიური დაავადებისა და ფილტვების ორმხრივი ტუბერკულოზის შედეგად, პნევმოსკლეროზის ფონზე, თუმცა პენიტენციურ სისტემაში მსჯავრდებულის სამედიცინო ბარათში ტუბერკულოზის დაავადება არ ყოფილა მითითებული და არც შესაბამისი მკურნალობა ჩატარებია.*
- *მ. ქ.-ს სიკვდილის მიზეზად ექსპერტიზამ მიუთითა სუნთქვისა და გულ-სისხლძარღვთა უკმარისობა, განვითარებული ინტერსტიციული პნევმონიის შედეგად. საგულისხმოა, რომ პატიმარს რამდენიმე თვის განმავლობაში უტარებდნენ გამოკვლევებს, თუმცა პათანატომიურად დადასტურებული ინტერსტიციული პნევმონიის დიაგნოზი პენიტენციურ სისტემაში არ დაუდგინდა.*
- *დ.ც.-ს, რომელმაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე მიუთითა თანამესაკნემ.[51] თუმცა, პატიმარს სიცოცხლეში არ უტარდებოდა ფსიქიატრის ან ფსიქოლოგიის კონსულტაციები, ამბულატორიულ*

[48] გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, ტუბერკულოზი, ინტერსტიციული პნევმონია და სხვა.
[49] პ.ს.-ს საქმე, ა.მ.-ს საქმე, მ.ქ.-ს საქმე, ვ.ლ.-ს საქმე, მ.პ.-ს საქმე, ზ.კ.-ს საქმე, ნ.მ.-ს საქმე, ლ.ბ.-ს საქმე.
[50] ნ.მ.-ს საქმე.
[51] თანამესაკნის ჩვენებების თანახმად, დ.ც. ნანობდა თავის საქციელს, საუბრობდა იმის შესახებ, რომ უჭირდა ციხეში ყოფნა და მის სიცოცხლეს აზრი არ ჰქონდა.

სამედიცინო ბარათში მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა საერთოდ არ დაფიქსირებულა, გამოძიების ფარგლებში კი პირველადი ჯანდაცვის ექიმი და ფსიქოლოგი არ გამოკითხულან.

- *მ.ა.-ს, რომელმაც სუიციდი ჩაიდინა, სისტემატურად უტარდებოდა ფსიქიატრის კონსულტაციები, თუმცა გამოძიებას არ შეუსწავლია სამედიცინო მკურნალობის ხარისხი, ხდებოდა თუ არა პირისთვის მიყენებული ფსიქოლოგიური ტრავმის წარმოშობის მიზეზის დადგენა, რამაც გამოიწვია მსჯავრდებულის სუიციდური ქმედება, აგრეთვე არ არის დაფიქსირებული ნანახი ყავდა თუ არა ფსიქიატრს ან ფსიქოლოგს პატიმარი ამ სავარაუდო ტრავმული მოვლენის (სასამართლო პროცესის) დაწყების შემდეგ.*
- *ნ.კ.-ს, რომელსაც შვილის თვითმკვლელობისა და ოჯახის წევრებთან პრობლემების გამო მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობა ჰქონდა, მას არ დაენიშნა ფსიქიატრიული მეთვალყურეობა. მოცემულ შემთხვევაში მულტიშეფასების ჯგუფის[52] მიერ პატიმრის მიერ სუიციდის ჩადენის რისკი შეფასდა, როგორც მხოლოდ საშუალო. შესაბამის ოქმში ჯგუფმა გარკვეული მონაცემები სავარაუდოდ არასწორად მიუთითა, კერძოდ არასწორად არის დაფიქსირებული, რომ კონტაქტი ჰქონდა ოჯახის წევრებთან (თანამესაკნეთა და ოჯახის წევრების ჩვენებიდან ჩანს, რომ მას როგორც ბრალდებულს შეზღუდული ჰქონდა ყველა სახის კონტაქტი). აღნიშნულის მიუხედავად, მოცემულ შემთხვევაში, გამოძიებას არ გამოუკითხავს ფსიქიატრი და ფსიქოლოგი, არ გაურკვევია გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობა და შედეგები.*
- *მ.ნ.-ს დანიშნული ჰქონდა და იღებდა ფსიქოტროპულ მედიკამენტებს, თუმცა, სუიციდის ჩადენამდე რამდენიმე დღით ადრე შეუწყდა მედიკამენტების მიწოდება. საგულისხმოა, რომ გარდაცვლილის დანიშნულების ფურცელი სამედიცინო ბარათში არ არის და არც კურსუსებიდან ჩანს ეძლეოდა თუ არა პაციენტს ფსიქოტროპული მედიკამენტები ამ პერიოდში. თანამესაკნე ჩვენებაში აღნიშნავს, რომ მ. ნ.-ს ეძლეოდა მედიკამენტები, რომელთა მიცემა შეუწყვიტეს თვითმკვლელობამდე დაახლოებით ერთი კვირით ადრე. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მ. ნ. 4 თვის განმავლობაში ითხოვდა ფსიქოლოგთან შეხვედრა, რაც მხოლოდ ერთხელ შედგა (ისიც სუიციდამდე თვენახევრით ადრე).*
- *ნ.მ.-ს შემთხვევაში, ექსპერტიზამ აჩვენა, რომ სიკვდილის მიზეზი იყო გულსისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა, განვითარებული მიოკარდიოციტების მწვავე იშემიური დაზიანების შედეგად, გულის იშემიური დაავადების გამო, ბრონქოპნევმონიის და ტუბერკულოზური დაავადების ფონზე. თუმცა, პატიმრის სამედიცინო დოკუმენტაციაში ტუბერკულოზის დიაგნოსტიკის ან მკურნალობის მიმართულებით აქტივობები არ იკვეთება 2002 წლის შემდეგ. ამასთან, მიუხედავად სიკვდილამდე გამოვლენილი კლინიკური ნიშნებისა (უჩიოდა მოხრჩობის გრძნობას და სუნთქვის უკმარისობას; გარდაცვალების წინა საათებში კი დაფიქსირდა მდგომარეობის*

[52] კონკრეტული ბრალდებულის/მსჯავრდებულის სუიციდის რისკის შეფასების, ინდივიდუალური დახმარების გეგმის შემუშავებისა და აღნიშნული გეგმის განმახორციელებელი გუნდი.

უეცარი გაუარესება, ციანოზი, დისკომფორტი ყელის არეში), არ იყო მიტანილი ეჭვი გულის იშემიური დაავადების არსებობაზე. უკანასკნელი დღე-ღამის კურსუსებში კი არსად არ არის მითითებული, რომ პატიმრისთვის გადაელოთ ელექტროკარდიოგრამა.

- *ლ.ბ.-ს საქმეში ექსპერტიზის შედეგად სიკვდილის მიზეზად დადგინდა სუნთქვის მწვავე უკმარისობა განვითარებული ტუბერკულოზის შედეგად. ლ.ბ.-ს თანამესაკნე აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულს აწუხებდა ხშირი ხველა, თუმცა დასკვნაში გამოტანილი დიაგნოზებიდან[53] არც ერთი არ არის დიაგნოსტირებული სიცოცხლის პერიოდში. საგულისხმოა, რომ საქმეში ფიქსირდება ტუბერკულოზზე ეჭვმიტანილთა გამოსაკვლევი კითხვარები, რომელთა უმრავლესობაზე გაკეთებულია აღნიშვნა - პატიმარს არ სურს გასაუბრება.*

შესწავლილ საქმეებში არსებული სამედიცინო დოკუმენტაციის მონაცემების მიხედვით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ უშუალოდ გარდაცვალების პერიოდში ჩატარებული გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ღონისძიებები იყო ადეკვატური და შეესაბამებოდა იმ შესაძლებლობებს, რაც გააჩნდათ პენიტენციურ დაწესებულებებს და სამედიცინო პერსონალს. მიუხედავად ამისა, პრობლემას წარმოადგენს გარდაცვალების წინარე პერიოდში პატიმართათვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხის ადეკვატურობა.

ყველაზე საგულისხმო პრობლემა ისაა, რომ სამედიცინო დოკუმენტაციაში გამოვლენილი ხარვეზები არ აისახა გამოძიებაში. გამოძიება ძირითადად კონცენტრირებულია დაადგინოს ხომ არ იყო პატიმარი ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი ან ვინმემ ხომ არ აიძულა თვითმკვლელობა. თუმცა, ყურადღების მიღმა ტოვებს პატიმრისთვის აღმოჩენილი სამედიცინო მომსახურების ხარისხს, არ აფასებს იმ გარემოებას ხომ არ ჰქონდა ადგილი სამედიცინო პერსონალის გულგრილობას ან ხომ არ გამოიწვია დაგვიანებულმა სამედიცინო მომსახურებამ პატიმრის ჯანმრთელობის, სულ მცირე, მნიშნელოვანი დაზიანება და რა კავშირშია ეს ყოველივე პატიმრის გარდაცვალების ფაქტთან. .

- *დასკვნა*

მოცემული საქმეების გამოძიება ვერ აკმაყოფილებდა ეფექტიანი გამოძიების სტანდარტებს. გამოძიება მიმდინარეობდა ინსტიტუციური დამოუკიდებლობის არასათანადო გარანტიების მქონე ორგანოს მიერ (იმჟამინდელი - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ), ვიდეოჩანაწერების მოპოვება და დათვალიერება, მოწმეთა გამოკითხვა, სამედიცინო ინფორმაციის მოპოვება და შესწავლა მეტწილად არასაკმარისი, ნაკლული ფორმით ხდებოდა, ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც

[53] ფილტვების ტუბერკულოზი (კაზეოზურ-ნეკროზული) ანთებითი ინფილტრაციებით და ქრონიკული ჰეპატიტი.

ეს საგამოძიებო მოქმედებები ტარდებოდა, მიღებული მასალების შესწავლა თვეების განმავლობაში უსაფუძვლოდ ჭიანურდებოდა.

ამასთან, საგამოძიებო ორგანო არასაკმარის ყურადღებას უთმობდა პატიმართა გარდაცვალებასა და მათთვის მიწოდებული სამედიცინო მომსახურებას შორის არსებული შესაძლო მიზეზობრივი კავშირის დამყარებას. სამედიცინო ინფორმაციის შესწავლა მხოლოდ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მოპოვებაში გამოიხატებოდა, რაც გარდაცვალების არაძალადობრივი ბუნების დასამტკიცებლად და გამოძიების შესაწყვეტად გამოიყენებოდა. გამოძიება უგულებელყოფდა იმ უმძიმეს დაავადებებსა და სამედიცინო მომსახურების კუთხით არსებულ ხარვეზებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ ვლინდებოდა.

წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან კომუნიკაცია

2019 წლის 1 ნოემბრიდან, მას შემდეგ, რაც ამოქმედდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ფუნქცია, სახალხო დამცველის აპარატი და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტი ძალიან აქტიურად თანამშრომლობენ მასთან. ინსპექტორის სამსახურთან კომუნიკაციის პროცესში მნიშვნელოვანი ხარვეზები ამ დრომდე არ დაფიქსირებულა. ინსპექტორის სამსახურმა ათეულობით საქმეზე მიაწოდა დეპარტამენტს გამოძიების შესახებ დეტალური ინფორმაცია, ხოლო ორ სისხლის სამართლის საქმეზე, საგამონაკლისო წესით, მისცა გამოძიების მასალების გაცნობის შესაძლებლობა.[54]

აპარატმა 2019 წლის 1 ნოემბრიდან 2020 წლის ბოლომდე 35 ისეთ საქმეზე შეატყობინა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს, რომელთა შესახებ მათთვის არ იყო მანამდე ინფორმაცია ცნობილი. აქედან: 8 საქმე შეეხებოდა 2019 წლის 1 ნოემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მომხდარ ფაქტს, 26 საქმე შეეხებოდა 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის ბოლომდე მომხდარ ფაქტებს, ხოლო ერთ შემთხვევაში სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტის დრო ვერ დგინდებოდა[55]. ოცდათხუთმეტივე ფაქტი, გარდა ერთისა, ეხებოდა სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტს. მხოლოდ ერთი შეეხებოდა პატიმრის გარდაცვალებას.

ხსენებული 35 საქმიდან: 14 შემთხვევაში ფაქტი ეხებოდა პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტს, 1 შემთხვევაში სავარაუდო დანაშაულის ჩამდენი პირი არ იყო გამოკვეთილი და

[54] აქედან ერთ საქმეში გამოძიების ეფექტიანობის სტანდარტები სრულად იყო დაცული. მეორე საქმესთან დაკავშირებით იდენტიფიცირებული საკითხები კი განხილული იქნება ლუკა სირაძის საქმის ანალიზისას ამავე დოკუმენტში.

[55] ნიშანდობლივია, რომ ამ საქმეზე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ შემდგომში დადგინდა, რომ ფაქტები არ მიეკუთვნებოდა სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას და გადაიგზავნა პროკურატურაში.

ფაქტი ეხებოდა პატიმრის გარდაცვალების შემთხვევას; 18 შემთხვევაში ფაქტი ეხებოდა პოლიციის მხრიდან სავარაუდო არასათანადო მოპყრობას; 1 საქმე შეეხებოდა იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლის სავარაუდო დანაშაულებრივ ქმედებას, ხოლო 1 შემთხვევა - ისანი-სამგორის რაიონის სოციალური სააგენტოს სერვისცენტრის უფროსის მოადგილის სავარაუდო დანაშაულებრივ ქმედებებს.

სასიხარულოა ის ფაქტი, რომ 2020 წელს არ დამდგარა იმის საჭიროება, რომ სახალხო დამცველს წინადადებით[56] მიემართა არასათანადო მოპყრობის თაობაზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით. ჩვენი შეფასებით, აღნიშნული გამოწვეულია შსს-ს მიერ, სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტების გაუმჯობესებული დოკუმენტირებისა და შეტყობინების მექანიზმის დახვეწით.

სავარაუდო მსხვერპლის გამოკითხვა ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში

ორ საქმეში (მ.ძ.-ს და გ.ა.-ს საქმეები) გამოვლინდა, რომ შესაძლო არასათანადო მოპყრობის თაობაზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა ვერ მოახერხა შპს აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში განთავსებული პაციენტის გამოკითხვა. აღნიშნული პრობლემა დაფიქსირდა იმ შემთხვევებში, როდესაც შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტს ადგილი ჰქონდა პენიტენციურ დაწესებულებაში, თუმცა გამოძიების ეტაპზე, ფსიქიატრიული ექსპერტიზის საფუძველზე, სავარაუდო მსხვერპლის გადაყვანა მოხდა ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში.

გამოვლენილ შემთხვევებში, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, გამოძიების ფარგლებში, შესაძლო დაზარალებულის გამოკითხვამდე საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე მიმართვას უგზავნის ფსიქიატრიულ დაწესებულებას, საიდანაც მათ ეცნობებათ, რომ გამოსაკითხ პირს „არ შეუძლია ანგარიში გაუწიოს თავს და უხელმძღვანელოს მას, მისცეს ჩვენება და მონაწილეობა მიიღოს სასამართლო და საგამოძიებო მოქმედებებში". შესაბამისად, შესაძლო მსხვერპლები არ გამოიკითხნენ.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გამოკითხვის/დაკითხვის თავისებურებებს ადგენს, ზოგადად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შემთხვევაში და ხაზგასმით განსაზღვრავს, რომ „არ შეიძლება გამოიკითხოს ან მოწმედ დაიკითხოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ის პირი, რომელსაც შესაძლებლობის შეზღუდვის გამო არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მიაწოდოს ინფორმაცია ან მისცეს ჩვენება."

[56] სახალხო დამცველი წინადადებით მხოლოდ იმ შემთხვევაში მიმართავს საგამოძიებო უწყებას, თუ მოპოვებული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ანალიზი, აჩენს დასაბუთებულ ეჭვს, რომ კონკრეტული პირის მიმართ განხორციელდა არასათანადო მოპყრობა და ამ ფაქტზე გამოძიება საგამოძიებო უწყებას ჯერ არ აქვს დაწყებული.

საგულისხმოა, რომ არცერთ შესწავლილ საქმეში არ არის დამაჯერებლად განმარტებული, რამდენად არ შეუძლია სავარაუდო მსხვერპლს აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები. მითითებულია მხოლოდ, სასამართლო და საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობის შეუძლებლობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის რწმუნებულებთან შეხვედრის დროს ხსენებული პირები დამაჯერებლად, ადექვატურად და დეტალურად განმარტავენ მათი უფლებების შესაძლო დარღვევის ფაქტებს.

ცალსახაა, რომ აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს პირის დაუცველობა არასათანადო მოპყრობის ან სხვა უკანონო ქმედებების ჩადენისაგან, რაც სახელმწიფოს ადამიანის უფლებათა სამართლით აღიარებულ პოზიტიურ ვალდებულებას წარმოადგენს.

კონკრეტული საქმეების გამოძიება

ლუკა სირაძის საქმე

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა 2020 წელს სახალხო დამცველის აპარატი, საგამონაკლისო წესით, დაუშვა ლუკა სირაძის საქმის (შსს თანამშრომლების მხრიდან არასრულწლოვან ლუკა სირაძის ჩვენების მიცემის იძულებისა და მისი თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტი) გამოძიების მასალებზე.[57] აპარატი გაეცნო თბილისის საქალაქო სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენსაც მსჯავრდებულ მ.ჩ.-ს მიმართ.

საქმის შესწავლის შედეგად გამოვლინდა (1) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს პირველი განყოფილების ერთ-ერთი თანამშრომლის მხრიდან მოწმეებზე შესაძლო ზემოქმედების განხორციელების ფაქტი - მოწმეები მიუთითებდნენ, ლუკა სირაძის მიმართ შსს სხვა (არაბრალდებული) თანამშრომლის მხრიდან აგრესიულ დამოკიდებულებაზე, სიტყვიერ შეურაცხყოფაზე და არასრულწლოვნის მიერ თვითმკვლელობის განხორციელების შემდეგ, ამ გამომძიებლის მხრიდან მათზე ზემოქმედების მოხდენის მცდელობაზე, მისი მამხილებელი ინფორმაციის გამოძიებისთვის მიწოდების აღკვეთის მიზნით; (2) საქმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოწმის მიერ გამოძიებისთვის ურთიერთსაპირისპირო ინფორმაციის მიწოდების ფაქტები - მოწმე თავდაპირველად დეტალურად იხსენებდა ლუკა სირაძის მიმართ გამომძიებლების მხრიდან განხორციელებულ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს და განსაკუთრებით მიუთითებდა მ.ჩ.-სა და სხვა გამომძიებლის დანაშაულებრივ მოქმედებებზე. მოწმემ ვიდეოჩანაწერებზეც ამოიცნო მეორე გამომძიებელი და მიუთითა, რომ სწორედ მ.ჩ. და ეს გამომძიებელი დაემუქრნენ არასრულწლოვანს მისი ძმის სასწავლებლიდან გამოგდებით და სთხოვდნენ აღიარებითი ჩვენების მიცემას. მოგვიანებით კი მოწმემ უარყო ხსენებული ინფორმაცია; (3) ერთ-ერთი

[57] იხ. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2019 წლის ანგარიში, გვ. 19, <https://bit.ly/2M3eUI5 >

მოწმის - დაზარალებულის უფლებამონაცვლის - მონაწილეობით სხვა სავარაუდო პასუხისმგებელი პირის ამოცნობის ჩატარების აუცილებლობა, რაც გამოძიების მხრიდან დამატებით შესწავლას საჭიროებდა - დაზარალებულის უფლებამონაცვლე მიუთითებდა ორი პოლიციელის მიერ არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებული მუქარის ფაქტზე, აცხადებდა, რომ ერთ-ერთი მათგანის ამოცნობა შეეძლო და აღწერდა მის გარეგნობას დეტალურად. მიუხედავად ამისა, ამოცნობა არ ჩატარებულა.

აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის შესწავლის საფუძველზე, სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურორს ხსენებული საკითხებზე რეაგირების თაობაზე.[58]

პროკურატურამ, სამწუხაროდ, არ გაიზიარა წინადადება მოწმეებზე სავარაუდო ზეწოლის განხორციელების ფაქტზე გამოძიების დაწყების ნაწილში და არ დაიწყო გამოძიება; ასევე, არ დაიწყო გამოძიება მოწმის მხრიდან ცრუ ინფორმაციის/ჩვენების მიცემის ფაქტზე.[59] წინადადება პროკურატურიდან გადაიგზავნა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში, რომელმაც წინადადების საფუძველზე ერთი მხრივ ჩატარდა სამსახურებრივი შემოწმება, რომლის ფარგლებშიც ვერ დადგინდა მოწმის მხრიდან ჩვენების შეცვლაში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლის კანონსაწინააღმდეგო მონაწილეობა[60], ხოლო მეორე მხრივ ჩაატარა წინადადებაში მითითებული საგამოძიებო მოქმედება - ამოცნობა[61]. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში გამოძიება კვლავ გრძელდება.

თემურ აბაზოვის ბრალდების საქმე

2020 წლის დასაწყისში საზოგადოების ყურადღება მიიპყრო მარნეულის მუნიციპალიტეტის ყოფილი მერის თემურ აბაზოვის მიმართ გამოტანილმა გამამართლებელმა განაჩენმა.

როგორც ცნობილია, სისხლისსამართლებრივი დევნის ფარგლებში თემურ აბაზოვს ბრალი ედებოდა დაზარალებულის არაადამიანურ, პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენებაში.[62] ბრალდების თანახმად, მოგვიანებით მანვე, სხვა პირთა დახმარებით, მოახდინა აღნიშნული ქმედების ამსახველი კადრების საჯარო გავრცელების ორგანიზება. ამრიგად, თემურ აბაზოვს ბრალი ედებოდა ორი მძიმე დანაშაულის ჩადენაში.[63]

---

[58] სახალხო დამცველის 2020 წლის 23 ოქტომბრის N 15-3/10514 წინადადება.

[59] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 6 ნოემბრის №13/63346 წერილი.

[60] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის 18 იანვრის N SIS 1 21 00000612 წერილი.

[61] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის 5 მარტის N SIS 5 21 00004207 წერილი.

[62] აღნიშნული გამოიხატა დაზარალებულის იძულებაში, პირდაპირი ეთერის საშუალებით სიტყვიერი შეურაცხყოფა მიეყენებინა მეუღლისათვის, შემდგომ კი ჭიქაში მოეშარდა და მისივე შარდით სახე ჩამოებანა.

[63] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^3-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული - მოხელის მიერ პირის დამცირება და იძულება, არაადამიანურ, პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება, რამაც დაზარალებულს ფიზიკური ტკივილი და მორალური ტანჯვა მიაყენა; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25, 157^1 მუხლის პირველი და მეორე

კადრების გავრცელების ნაწილში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო აბაზოვის ნათესავის - ე. გ.-სა და მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატის, რ. ა.-ს მიმართაც. საქმის მასალების თანახმად, აღნიშნულ გარემოებებს ადასტურებდა ბრალდებულთა პირადი მიმოწერა, ექსპერტიზის დასკვნა, მოწმეთა ჩვენებები და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები.

სასამართლო პროცესის მიწურულს, დასკვნითი სიტყვის ეტაპზე, პროკურატურამ შეცვალა პოზიცია და ბრალდებულებს პირადი კადრების შენახვის, გავრცელებისა და ორგანიზების ბრალდება მთლიანად მოუხსნა. პროკურატურამ მიუთითა, რომ თემურ აბაზოვმა ორივე ქმედება ერთიანი განზრახვით ჩაიდინა, რის გამოც, პროკურატურის პოზიციით, პირველმა დანაშაულმა (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) სრულად მოიცვა ღირსებისა და პატივის შემლახავი კადრების შენახვისა და გავრცელების ორგანიზების ეპიზოდი.

სახალხო დამცველის აპარატი არ იზიარებს პროკურატურის აღნიშნულ პოზიციას. არც სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი დისპოზიციები, არც აღნიშნული ქმედებების ლოგიკური ანალიზი არ მიუთითებს, რომ პირის მიმართ არაადამიანური, პატივისა და ღირსების შემლახავი <u>მოპყრობა</u> მოიცავს აღნიშნული მოპყრობის ამსახველი <u>კადრების გავრცელებას.</u> მსგავსი კადრების საჯაროდ გავრცელება დამატებით აღრმავებს დაზარალებულის მიერ განცდილ მძიმე მორალურ ტანჯვას და იწვევს მის ხელახალ ვიქტიმიზაციას, რის გამოც ამ ქმედებას სისხლის სამართლის კოდექსი ცალკე, <u>დამოუკიდებელ დანაშაულად მოიაზრებს.</u> გამამართლებელ განაჩენში აღნიშნული პოზიცია მოსამართლემაც დააფიქსირა. მან მიუთითა, რომ ხსენებული დანაშაულები ერთმანეთს არ მოიცავს, თუმცა პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ამსახველი კადრების გავრცელებასთან დაკავშირებით ვეღარ იმსჯელებდა, ვინაიდან პროკურატურამ აღნიშნული ბრალდება მოხსნა.[64]

გასათვალისწინებელია, რომ დასკვნითი სიტყვის ეტაპზე საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება უკვე გამოკვლეული იყო. მტკიცებულებათა ერთობლიობა მიუთითებდა, რომ ბრალდებულებმა ჩაიდინეს პირადი ცხოვრების საიდუმლოს მოპოვებისა და გავრცელების ეპიზოდი. ისინი პირად მიმოწერაში უგზავნიდნენ ერთმანეთს აღნიშნულ კადრებს, აზუსტებდნენ, თუ რა ვიდეომასალა იყო, ორგანიზებას უწევდნენ მასალის სოციალური ქსელით გავრცელებას და ა.შ.

შესაბამისად, განსაკუთრებით შემაშფოთებელია, რომ პროკურატურამ სასამართლო პროცესის დასკვნით ეტაპზე, მოცემული ბრალის დაუსაბუთებელი მოხსნით, სასამართლოს წაართვა ამ უმძიმეს დანაშაულზე მსჯელობის შესაძლებლობა და, ფაქტობრივად, ხელი

ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაული - დაზარალებულის ღირსებისა და პატივის შემლახავი ქმედებების ამსახველი კადრების - პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ მოპოვების ორგანიზება, უკანონოდ შენახვა და პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ გავრცელების ორგანიზება ინტერნეტის, მათ შორის სოციალური ქსელის საშუალებით.

[64] რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 12 თებერვლის განაჩენი, გვ. 22.

შეუწყო გამამართლებელი განაჩენის გამოტანას. მეტიც, ბრალდების მოხსნის შედეგად, ორჯერ მსჯავრდების აკრძალვის სამართლებრივი პრინციპის გათვალისწინებით, აღნიშნულ დანაშაულზე სამართლიანობის აღდგენა სამომავლოდაც გამოირიცხა.

სახალხო დამცველის აპარატი აგრძელებს დაკვირვებას მოცემული საქმის განხილვაზე სააპელაციო სასამართლოში.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის გაჭიანურება

აპარატის წარმოებაში არსებული არაერთი განცხადების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ საგამოძიებო ორგანოს მხრიდან, რიგ შემთხვევებში, ვერ ხერხდება მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედების - სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება (კომისიური/კომპლექსური ექსპერტიზა). საექსპერტო კვლევის ჩატარების დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს მედიცინის კონკრეტული დარგის სპეციალისტების მონაწილეობის შეუძლებლობა, რაც განპირობებულია ამ უკანასკნელთა უარით, მათ კომპეტენციას მიკუთვნებული კვლევის ნაწილში მონაწილეობის მიღებაზე.

საგულისხმოა, რომ შესწავლილ საქმეებში სამედიცინო ექსპერტიზის (კომისიური) ვერ ჩატარების გამო საგამოძიებო ორგანომ ვერ შეაფასა კონკრეტულ პირთა ბრალეულობის საკითხი. ამით ზიანი მიადგა, როგორც დაზარალებულთა უფლებებს, ასევე, შეუსრულებელი დარჩა სახელმწიფოს ზოგადი ვალდებულება, სავარაუდო დანაშაულის გამოძიების კუთხით.

გარდა ამისა, გამოვლინდა სამი საქმე, სადაც სამედიცინო ექსპერტიზების ჩატარებას დაჭირდა 7, 9, 18 თვე.

შესწავლილი საქმეებიდან და მოქმედი სამართლებრივი რეგულაციებიდან გამომდინარე იკვეთება, რომ კომისიური/კომპლექსური სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზები ვერ ტარდება იმ მიზეზით, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს არ ჰყავს შესაბამისი სამედიცინო პროფილის ექიმ-სპეციალისტები, ხოლო ექსპერტიზაში მონაწილეობის მიღება ექიმ-სპეციალისტისთვის არის ნებაყოფლობითი.

შესაბამისად, სახალხო დამცველმა 2020 წლის 30 დეკემბერს რეკომენდაციით მიმართა პრემიერ-მინისტრს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით საკანონმდებლო ბაზის შემუშავების თაობაზე.[65]

ფსიქიატრიული ექსპერტიზის გაჭიანურება

2019 წლის ერთ-ერთ გამოკვეთილ პრობლემად დასახელებული იყო სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მხრიდან ბრალდებულთა (რომლებიც შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებაში იყვნენ

[65] სახალხო დამცველის N 15-14/12941 რეკომენდაცია.

მოთავსებულები) მიმართ სასამართლოს განჩინებით დანიშნული ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების გაჭიანურების საკითხი.[66]

აღნიშნული საკითხის შესწავლა დეპარტამენტმა განაგრძო 2020 წელსაც. სამწუხაროდ, როგორც ინდივიდუალური განცხადებების, ასევე, საკითხის სისტემურად შესწავლის დროს გამოიკვეთა, რომ ბრალდებულთა მიმართ დანიშნული სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის 4-5 თვე გაჭიანურების საფუძველი იყო სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროში სარემონტო სამუშაოები, ექსპერტ-ფსიქიატრის შტატის ნაკლებობა და პანდემია.[67] განსაკუთრებით აღსანიშნავია ლ. ც.-ს საქმე, სადაც 2020 წლის 31 მარტიდან 11 სექტემბრამდე პერიოდში ვერ ჩატარდა ბრალდებულის მიმართ დანიშნული ფსიქიატრიული ექსპერტიზა.

საგულისხმოა, რომ სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების გაჭიანურება მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის კონკრეტულ ბრალდებულთა სამედიცინო მდგომარეობის კუთხით. ბრალდებულ ი. ა.-ს საქმის შესწავლის პროცესში გამოიკვეთა, რომ სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნიდან ექსპერტიზის ბიუროში წარდგენამდე ბრალდებული 7-ჯერ მოათავსეს პენიტენციური დაწესებულების დეესკალაციის ოთახში, მთლიანობაში კი ი.ა.-მ 5 თვის მანძილზე 27 დღე გაატარა დეესკალაციის საკანში.

გაჭიანურებული მართლმსაჯულება სავარაუდო არასათანადო მოპყრობის საქმეზე

საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველის აპარატი მონიტორინგს უწევდა ბათუმის საქალაქო სასამართლოში წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეს, N3 პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმართა მიმართ დაწესებულების ხელმძღვანელების[68] მიერ განხორციელებული სავარაუდო არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე. საქმის განხილვა სასამართლომ 2014 წლის 19 თებერვალს დაიწყო. მიუხედავად ამისა, აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის განხილვა ჯერ კიდევ ბრალდების მხარის მტკიცებულებების გამოკვლევის ეტაპზეა. 7 წლის განმავლობაში სასამართლომ მოახერხა მხოლოდ 51 სასამართლო სხდომის ჩანიშვნა, საიდანაც 16 ვერც კი ჩატარდა და სხვადასხვა მიზეზით გადაიდო.

გაჭიანურების მიზეზად სასამართლო მიუთითებს მოსამართლეთა სიმცირეზე, საქმეთა სიმრავლეზე, მოსამართლეთა გადატვირთულობაზე, საქმის განმხილველი მოსამართლის მივლინება-სემინარ-შვებულებაზე, საავადმყოფო ფურცელსა და უპირატესობის საპატიმრო საქმეებზე მინიჭებაზე.

---

[66] სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2019 წლის ანგარიში, გვ. 22.

[67] სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს 2020 წლის 29 მაისის N5002825420 პასუხი.

[68] ბრალდებულები არიან დაწესებულების ყოფილი დირექტორი და სამართლებრივი რეჟიმის ყოფილი უფროსი.

ექსტრადიციის საქმეები

2020 წელს დეპარტამენტმა აქტიურად იმუშავა რამდენიმე პირის რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის საკითხზე.

სახალხო დამცველმა სამ პირთან დაკავშირებით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას და მოითხოვა ექსტრადიციის შესახებ რუსეთის ფედერაციის შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე უარყოფითი გადაწყვეტილების მიღება. აქედან ორი პირის (ი. კ. და ი. ს.) შემთხვევაში რუსეთის ფედერაცია ითხოვდა საქართველოს თანხმობას ექსტრადიციისა და დამატებითი ბრალდების წარდგენის პროცესში. ბრალდება კი ეხებოდა ისეთ დანაშაულს, რომელიც სასჯელის სახით სიკვდილით დასჯის შესაძლებლობას იძლევა.

მესამე საქმე ეხებოდა უკრაინის მოქალაქე ვ. ა.-ს, რომელიც რუსეთ-უკრაინის შეირაღებული კონფლიქტის დროს მონაწილეობას იღებდა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ განხორციელებულ სხვადასხვა აქტივობებში. ასევე, მონაწილეობდა უკრაინულ მოხალისეთა ჯგუფების შემადგენლობაში და აქტიურ როლს ასრულებდა უკრაინის არმიის აღჭურვა-მომარაგებაში.

სამივე შემთხვევაში, დადგინდა რომ მიუხედავად დროებითი მორატორიუმის მოქმედებისა, რუსეთის ფედერაციაში სიკვდილით დასჯის შესაძლებლობა აბსოლუტურად გამორიცხული არ არის. ამასთან, რუსულ პენიტენციურ სისტემაში სასტიკი მოპყრობის არაერთი ფაქტის არსებობა და ევროპული კონვენციის დარღვევის სიხშირე და სხვა გარემოებები მიუთითებს ექსტრადირებული მოქალაქეების უფლებების დარღვევის მაღალ რისკებზე. არც ერთ ხსენებულ საქმეზე საანგარიშო პერიოდისთვის საბოლოო გადაწყვეტილება პროკურატურას არ ჰქონდა მიღებული.

სისტემური ხარვეზები და საშეღავათო მექანიზმები პენიტენციურ სისტემაში

პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლა

პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხები აპარატის მხრიდან მუდმივი მონიტორინგისა და ანალიზის საგანია. ამ საკითხს უკვე მიეძღვნა სახალხო დამცველის ორი სპეციალური ანგარიში, 2014[69] და 2019[70] წლებში, რომლებშიც გაანალიზდა მექანიზმის ფუნქციონირების როგორც პრაქტიკული, ისე საკანონმდებლო ხარვეზები.

მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველი 2019 წელს მიესალმა პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიასა და 2019-2020 წლების

[69] იხ. < https://cutt.ly/GkHDLd9 > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 12 თებერვალს].
[70] იხ. < https://cutt.ly/zkHDBgL > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 12 თებერვალს].

სამოქმედო გეგმაში[71] პირობით ვადამდე გათავისუფლების მეთოდოლოგიის გაუმჯობესების, ახალი შეფასების სისტემისა და პროცედურების შემუშავების აუცილებლობის გათვალისწინებას, აღნიშნული რეფორმა ამ დრომდე არ განხორციელებულა. ერთადერთი რაც ამ მიმართულებით სამინისტრომ განახორციელა, ეს კოვიდ პანდემიის გამო შემოღებული დროებითი წესია, რომლის საფუძველზეც საკანონმდებლო დონეზე გამარტივდა, დაჩქარდა პირობით ვადამდე გათავისუფლების პროცედურები.[72]

თუმცა, ამ დროებითი წესის მოქმედების მიუხედავად პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის შედეგების სტატისტიკური მონაცემებში არ გაუმჯობესებულა. უფრო მეტიც, კოვიდ ვითარების პირობებში (2020 წელს) გაცილებით ნაკლები პატიმარი გათავისუფლდა პირობით ვადამდე გასულ წელთან შედარებით. 2018-2020 წლის მონაცემები ასე გამოიყურება: 2018 წელს პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლდა 821 მსჯავრდებული, 2019 წელს - 1 279, ხოლო 2020 წელს – 830. სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის სტატისტიკა კი გაუმჯობესებულია: 2018 წელს 83 მსჯავრდებულის მიმართ, 2019 წელს - 236 მსჯავრდებულის მიმართ, ხოლო 2020 წელს – 545.[73]

პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების მექანიზმის ხარისხობრივი შეფასების მიზნით, 2020 წლის მაისში პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შესახებ საბჭოების მიერ გამოცემული 1001 გადაწყვეტილება გამოვითხოვეთ.[74] 1001 საქმიდან 137 საქმეზე მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება. 864 მსჯავრდებულს კი ეთქვა უარი. 137 დადებითი გადაწყვეტილებიდან 68 ეხებოდა მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხს, 52 შემთხვევაში მსჯავრდებულს მოსახდელად დარჩენილი სასჯელი შეეცვალა შინაპატიმრობით, ხოლო 17 შემთხვევაში გამოყენებული იყო საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა. აღსანიშნავია, რომ 1001 შუამდგომლობიდან მხოლოდ 92 იქნა განხილული ზეპირი მოსმენით.

---

[71] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 22 თებერვლის N385 ბრძანება „პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიისა და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე".

[72] იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 27 მარტის N508 ბრძანება და 2021 წლის 20 იანვრის N 672 ბრძანება.

[73] 2018 წლის მონაცემები აღებულია სახალხო დამცველის 2019 წლის სპეციალური ანგარიშიდან „პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკა საქართველოში", იხ. < https://www.ombudsman.ge/res/docs/2020020517313446710.pdf >; 2019 წლის მონაცემები ეყრდნობა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციას, იხ. < https://cutt.ly/VkHD3Lr >; 2020 წლის მონაცემები ასევე ეყრდნობა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციას, იხ. < https://cutt.ly/3kHD6UQ >

[74] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების სამსახურებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის 2020 წლის 13 ოქტომბრის №248695/01 წერილი.

გადაწყვეტილებების შესწავლამ აჩვენა, რომ სახალხო დამცველის 2019 წლის სპეციალურ ანგარიშში გამოვლენილი ხარვეზები აღმოფხვრილი არ არის და საბჭოების წინაშე არსებული გამოწვევები კვლავაც აქტუალურია.

კვლავაც მნიშვნელოვან პრობლემად რჩება ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობა. კერძოდ, გადაწყვეტილებები შეიცავს მხოლოდ ფორმალურ მითითებას იმ კრიტერიუმებზე, რომელზე დაყრდნობითაც იღებს საბჭო გადაწყვეტილებას. ხოლო, მსჯელობა მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესზე, მის მიერ სასჯელის მოხდის პროცესში გამოვლენილი ქცევის ცვლილებაზე კვლავაც არ არის წარმოდგენილი. უარყოფითი გადაწყვეტილებების მთავარი განმაპირობებელი კრიტერიუმი კი ისევ დანაშაულის ხასიათი და სიმძიმეა, მაშინაც კი, როდესაც სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებული დადებითად ხასიათდება.[75]

საგულისხმოა, რომ გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობის პრობლემა ვლინდება სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის თაობაზე მიღებულ დადებით გადაწყვეტილებებშიც. საბჭო არ წარმოადგენს დადებითი გადაწყვეტილების კონკრეტულ მოტივაციას.[76]

სახალხო დამცველის 2019 წლის სპეციალურ ანგარიშში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხარვეზად წარმოჩენილი იყო იდენტური მოცემულობის მქონე საქმეებში ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებული არაერთგვაროვანი გადაწყვეტილებები. სამწუხაროდ, აღნიშნული ტენდენცია საბჭოების საქმიანობაში კვლავაც შენარჩუნებულია და ამ მიმართულებით პოზიტიური ცვლილებები არ შეინიშნება. მაგალითად:

> *საქმე N1. დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს 2020 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილების მიხედვით, ვ. ხ. მსჯავრდებულია სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილით.*

---

[75] მაგ. აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილების თანახმად, პირი მსჯავრდებულია სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით, რისთვისაც განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით... მსჯავრდებულს სოციალურ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია... თავს არ მიიჩნევს დამნაშავედ... დისციპლინური წესით დასჯილი ან წახალისებული არ ყოფილა...სარეჟიმო მოთხოვნების დარღვევაში შემჩნეული არ არის... ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და მსჯავრდებულების მიმართ არის თავაზიანი... ნასამართლობის არმქონე... საბჭომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებებზე, რომ ჩადენილია საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ასევე, დაზარალებულის პოზიცია ვერ იქნა წარმოდგენილი და მსჯავრდებულს სოციალურ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია... აღსანიშნავია, რომ სოციალური აქტივობების სიმცირეზე წლებია საუბრობს სახალხო დამცველი. მაგ. იხ. https://ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf გვ. 66-67.

[76] მაგ. დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს 2020 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილების თანახმად, პირი მსჯავრდებულია სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილებით. მსჯავრდებულს სოციალურ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია, სინანულის ტენდენცია არ იკვეთება...დასჯილი ან წახალისებული არ ყოფილა...მსჯავრდებული ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ნორმალურ დამოკიდებულებაშია, შემჩნეული არ არის სამართლებრივი რეჟიმის მოთხოვნათა დარღვევაში, არ არის კონფლიქტური... ნასამართლევია ორჯერ, სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებისთვის. საბჭოს გადაწყვეტილებით მსჯავრდებული გათავისუფლდა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე 1 წლით, 10 თვით და 18 დღით ადრე.

დაზარალებულს პრეტენზია არ გააჩნია, რაც დასტურდება დაზარალებულის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით. მსჯავრდებული მონაწილეობს სოციალურ აქტივობებში. თავს სცნობს დამნაშავედ... დისციპლინური წესით დასჯილი არ ყოფილა, წახალისებულია ერთხელ... დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან არის ნორმალურ დამოკიდებულებაში, შემჩნეული არ არის დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის დარღვევაში...არ არის კონფლიქტური და აგრესიული...ნასამართლობის არმქონე...საბჭომ გაითვალისწინა მსჯავრდებულის ოჯახური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მისი ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში, დაზარალებულის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა და ის გარემოება, რომ ნასამართლევი არ არის, თუმცა, ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ სახეზეა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული მძიმე კატეგორიის დანაშაული, კერძოდ თავისუფლების უკანონო აღკვეთა, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ. ვინაიდან, სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის მიზნებისათვის განსაკუთრებით უარყოფით როლს თამაშობს სწორედ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და დანაშაულის ხასიათი, საბჭომ ამ ეტაპზე მიიჩნია, რომ ამ კრიტერიუმის თანმხლები ნეგატიური მოსაზრებები ვერ გააბათილა და ვერ გადაწონა სხვა დადებითი კონტექსტის კრიტერიუმებმა.

საქმე N2. დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს 2020 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილების თანახმად, პირი მსჯავრდებულია სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 179-ე მუხლის მე-2 ნაწილით. დაზარალებულს პრეტენზია არ გააჩნია, რაც დასტურდება დაზარალებულის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით... მსჯავრდებულმა მონაწილეობა მიიღო დაწესებულების ტერიტორიაზე ეკლესიის მშენებლობაში... დანაშაულს აღიარებს და ინანიებს...მსჯავრდებული დასჯილი არ ყოფილა, წახალისებულია ორჯერ...დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან არის ნორმალურ დამოკიდებულებაში, შემჩნეული არ არის დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის დარღვევაში... არ არის კონფლიქტური და აგრესიული... ნასამართლობის არმქონე... საბჭომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და მსჯავრდებულს დანიშნული სასჯელი შეეცვალა შინა პატიმრობით 2 წლით, 5 თვითა და 26 დღის ვადით.

შეფასება: მოცემულ ორ საქმეში მსჯავრდებულების ქცევა პენიტენციურ დაწესებულებაში თითქმის იდენტურია და მნიშვნელოვანი განსხვავება მათ შორის არ იკვეთება. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ მეორე საქმეში მსჯავრდებულს ჩადენილი აქვს მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ერთობლიობა, მის მიმართ გამოყენებული იქნა კანონით გათვალისწინებული შეღავათი, ხოლო, პირველ შემთხვევაში აღნიშნულზე მსჯავრდებულს ეთქვა უარი და ყურადღება გამახვილდა დანაშაულის ხასიათზე. ერთადერთი განსხვავება, რაც ამ ორ საქმეში იკვეთება არის ის, რომ მეორე საქმეში საბჭომ შუამდგომლობა ზეპირი მოსმენით განიხილა, თუმცა, კვლავაც არ გვაქვს დასაბუთება, თუ რატომ იქნა მიღებული დადებითი გადაწყვეტილება, რა პოზიტიური გავლენა იქონია მსჯავრდებულის მოსმენამ საბჭოზე დადებითი გადაწყვეტილების მიღებისას.

რაც შეეხება დისციპლინური სახდელების გავლენას, საბჭოები დასაბუთებისას კვლავ ფორმალურად უთითებენ დისციპლინური წესით დასჯის ფაქტზე, მაშინაც კი, როდესაც სახეზეა წახალისების ფაქტებიც. საბჭო არ მსჯელობს მსჯავრდებულის მიერ

გამოვლენილი ქცევის ქრონოლოგიაზე. ამდენად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ დისციპლინური სახდელის დაკისრების ფაქტის მოშველიება უარყოფითი გადაწყვეტილების მიღებისას ფორმალურ ხასიათს ატარებს.[77] ამ მოსაზრებას ამყარებს არაერთი ისეთი გადაწყვეტილებაც, სადაც მსჯავრდებულს დაკისრებული აქვს დისციპლინური სახდელი, თუმცა, საბჭო ყოველგვარი დასაბუთების გარეშე იღებს დადებით გადაწყვეტილებას და უცნობი რჩება, კონკრეტულ შემთხვევაში იმსჯელა თუ არა საბჭომ დისციპლინური სახდელის გამოყენების ფაქტზე.[78] ამდენად, ადგილობრივი საბჭოების პრაქტიკა ამ მიმართულებით არ არის შეცვლილი.

დადებითი გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენას ახდენს მოსახდელი სასჯელის ვადის სიმცირეც. გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც მსჯავრდებულს გააჩნდა უარყოფითი დახასიათება და საბჭოების პრაქტიკის თანახმად, ნაკლებად მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო შუამდგომლობის დაკმაყოფილება, თუმცა, კონკრეტულ შემთხვევაში, მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება. [79]

გარდა ამისა, 2020 წელს, 2019 წლის მსგავსად[80], რამდენიმე საქმის შესწავლისას აპარატმა დაადგინა, რომ პენიტენციური სამსახური რიგ შემთხვევებში კვლავაც არასწორად ითვლის პირობით ვადამდე გათავისუფლების ვადებს და დაგვიანებით იგზავნება საბჭოში მსჯავრდებულთა შესახებ ინფორმაცია/დოკუმენტაცია, რაც არსებითად აზიანებს პატიმართა უფლებებს[81].

კრიმინალური სუბკულტურა[82] პენიტენციურ დაწესებულებებში

წლებია სახალხო დამცველი საუბრობს ციხეებში არსებულ კრიმინალურ სუბკულტურაზე, ე.წ. მაყურებლების გავლენებზე, მათი და პენიტენციური სისტემის ადმინისტრაციის

---

[77] მაგ. საქმე N02/20/შ/3/ - 0364 პირს მკვლელობისთვის სასჯელის ვადად განესაზღვრა 01.2019 – 04.2025 წელი, შინაპატიმრობაზე უარი ეთქვა დანაშაულის ხასიათსა და 2011 წელს მიღებული დისციპლინური სახდელზე მითითებით. ამ დროს პირს როგორც დახასიათებიდან იკვეთება მონაწილეობა მიღებული აქვს სოციალურ აქტივობებში და სასჯელის მოხდის პერიოდში წახალისებულია 8-ჯერ.

[78] მაგ. საქმე N02/20 – 0690 თაღლითობისთვის განესაზღვრა სასჯელის ზომად 12.2018 – 12.2020 წელი, საბჭომ მიიღო დადებითი გადაწყვეტილება არგუმენტირების გარეშე იმის მიუხედავად, რომ პირს ჰქონდა ნასამართლობა, დისციპლინური სახდელები სასჯელის მოხდის პერიოდში (6 განკარგულება).

[79] აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილების თანახმად, პირი მსჯავრდებულია სსკ-ის 19,177-ე მუხლის მესამე ნაწილით... მსჯავრდებულს სოციალურ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია, თავს გრძნობს დამნაშავედ, დისციპლინური წესით დასჯილია ერთხელ, წახალისებული არ ყოფილა, დაწესებულების წარმომადგენელთა კანონიერ მოთხოვნებზე რეაგირებს უარყოფითად, მსჯავრდებული დაწესებულების ადმინისტრაციისა და მსჯავრდებულთა მიმართ კონფლიქტურია, ნასამართლობის მქონე, კერძოდ, ნასამართლევია 177-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით... საბჭოს გადაწყვეტილებით, მსჯავრდებული ბული სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლდა პირობით 4 თვით და 3 დღით ადრე....

[80] იხ. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2019 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 6, < https://www.ombudsman.ge/res/docs/2020033018365296334.pdf >

[81] მაგალითად, იხ. < https://bit.ly/3razrtq >; ასევე, < https://bit.ly/3e0E85a >

[82] ანგარიშის მიზნებისთვის ტერმინ - „სუბკულტურის" ქვეშ მოვიაზრებთ პენიტენციური სამსახურის/დაწესებულების თანამშრომლების მიერ გარკვეული პატიმრებისთვის უკანონო შეღავათებით სარგებლობისა და სხვა პატიმრებზე გავლენის უკანონოდ, მათ შორის, ძალადობით, მოხდენის შესაძლებლობის მიცემა, რაც სხვა პატიმრებს უზღუდავს პატიმრობის კოდექსითა და დაწესებულების

თანამშრომლობაზე და ამ პრაქტიკის მავნე გავლენებზე პატიმართა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

პენიტენციური სისტემის ადმინისტრაციის მხრიდან წახალისებული კრიმინალური სუბკულტურის გავლენების გამო, პატიმრები ხშირ შემთხვევაში ერიდებიან ღია თანამშრომლობას/ბრძოლას სუბკულტურის გავლენების წინააღმდეგ და ირჩევენ მხოლოდ სახალხო დამცველის აპარატისთვის ინფორმაციის კონფიდენციალურად მიწოდების გზას. მიუხედავად ამისა, ყოფილა რამდენიმე შემთხვევა, როცა პატიმრებმა გამოთქვეს ამ საკითხებზე რეაგირების სურვილი, მიაწოდეს ინფორმაცია საგამოძიებო უწყებებს და მოითხოვეს ადეკვატური რეაგირება როგორც კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლების, ისე მათი მფარველი ან უმოქმედობით თანამონაწილეობაში მყოფი ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიმართ.

ამასთან, ვინაიდან პატიმრების მხრიდან სხვადასხვა მიზეზების გამო, „სუბკულტურასთან" დაკავშირებით თანამშრომლობა იშვიათად ხდება როგორც სამართალდამცავ ორგანოებთან, ასევე სახალხო დამცველთან, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა შეძლო მხოლოდ 8 ასეთი საქმის იდენტიფიცირება და შესწავლა. მოცემული 8 საქმიდან 3 არის დასრულებული სისხლის სამართლის საქმე (2013-2015 წლების ფაქტები), 1 არის მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე (2020 წლის ფაქტი), 3 არის დასრულებული სამსახურებრივი შემოწმება (2017-2018 წლების სავარაუდო ფაქტები), ხოლო ერთი - მიმდინარე სამსახურებრივი შემოწმება (2020 წლის ფაქტი). შესაბამისად, მასალების სრულად შესწავლა მოხდა ექვს დასრულებულ საქმეზე, ხოლო ორ მიმდინარე საქმეზე - ნაწილობრივად, ვინაიდან სახალხო დამცველის აპარატი შეზღუდულია საკანონმდებლო ჩარჩოთი, რომელიც მიმდინარე გამოძიებისას/წარმოებისას არ გვაძლევს საქმეზე სრულად წვდომის შესაძლებლობას.[83]

საქმეების შესწავლის მიზანი იყო შეგვეფასებინა, რამდენად სრულყოფილად ახორციელებს პროკურატურა/საგამოძიებო ორგანოები, „სუბკულტურასთან" დაკავშირებით მიღებული ინფორმაციის შესწავლას, საჭირო საგამოძიებო მოქმედებების დროულად და სრულყოფილად ჩატარებას, დანაშაულის შესაძლო ფაქტებისა და სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ყველა ქმედებისა და ჩამდენი პირის გამოკვეთას, ბრალდების ფუნქციის განხორციელებასა.

„სუბკულტურის" შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში ეფექტიანი გამოძიების წარმოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთი მხრივ, იმ პატიმრების ფიზიკური უსაფრთხოებისა და კანონიერი უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ე.წ. შელავათებით მოსარგებლე პატიმრებს და ხდებიან ე.წ. სუბკულტურის გავლენების მსხვერპლნი, მეორე მხრივ - პენიტენციური სამსახურის/დაწესებულებების

დებულებით გათვალისწინებული მათი უფლებების დაცვის შესაძლებლობას და დაწესებულების ადმინისტრაციასაც არიდებს პატიმრების საჩივრებს.

[83] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, მუხ. 18, ქვეპ. „ე".

თანამშრომელთა მხრიდან თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობისა და სამოხელეო დანაშაულისთვის პასუხისმგებლობის დაწესებისთვის.

საქართველოს პროკურატურის ორგანოები, როგორც გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის განმახორციელებელი და ამავდროულად, საგამოძიებო ორგანო, სამწუხაროდ, არაჯეროვნად ეკიდებოდა პენიტენციურ დაწესებულებებში ე.წ. ქურდული სამყაროსა და ე.წ. „მაყურებლების" გავლენებსა და დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან მათთვის ცალკეული პრივილეგიების მინიჭების ფაქტებს. ასევე, პენიტენციური სამსახურის თანამშრომელთა მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტებზე პატიმართა განცხადებებისა და მითითებული გარემოებების სრულყოფილად გამოძიებისა და დანაშაულის ჩადენაში პასუხისმგებელი ყველა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკითხებს. მიუხედავად დანაშაულის შესახებ ინფორმაციაზე გამოძიების დაწყების სავალდებულო მოთხოვნისა, საკითხს რიგ შემთხვევებში შესასწავლად გადაეცემოდა გენერალურ ინსპექციას, ან საქმეზე გამოძიებას აწარმოებდა ის ორგანო, რომლის საგამოძიებო ქვემდებარეობა, ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გათვალისწინებით, არ მოიცავდა პენიტენციური დაწესებულების/სამსახურის თანამშრომელთა მიერ დანაშაულის შესაძლო ფაქტზე გამოძიების წარმოებას. მსგავსი მიდგომა კი ვერ უჩენდა პატიმრებს დაცულობისა და უსაფრთხოების განცდას და სურვილს - ითანამშრომლონ გამოძიებასთან. ვინაიდან აღქმა, რომელსაც პროკურატურის უმოქმედობა აჩენდა იყო იმგვარი, რომ ეფექტური რეაგირებისა და დამნაშავე პირთა დასჯის მოტივაცია საგამოძიებო უწყებას/სახელმწიფოს არ გააჩნდათ.

შესწავლილი მასალებიდან ირკვევა, რომ გამოძიება დაწყებულ იქნა მხოლოდ ისეთ ფაქტებზე, სადაც შედეგი იყო პატიმრის გარდაცვალება ან წამება. სხვა შემთხვევებში, მიუხედავად იმისა რომ პატიმრების მიერ განცხადებაში მითითებული იყო კონკრეტული პატიმრების მხრიდან სხვა პატიმრებზე უკანონო ზეგავლენის მოხდენის, პრივილეგიებით სარგებლობისა და აღნიშნულთან დაწესებულების ადმინისტრაციის უმოქმედობით ჩადენილი შესაძლო დანაშაულის ნიშნების შესახებ, პროკურატურა არ იწყებდა გამოძიებას და საკითხს შესასწავლად უგზავნიდა სასჯელაღსრულების სამინისტროს გენერალურ ინსპექციას[84], რომელსაც გამოძიების ჩატარების უფლებამოსილება არ გააჩნია და მხოლოდ სამსახურებრივი შემოწმებით შემოიფარგლება. ამასთან, იმ საქმეებზეც, რომლებზეც ჩატარდა გამოძიება და სხვადასხვა პირების, მათ შორის, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებისა და დირექტორების მიმართაც კი დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა/დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, საგამოძიებო ორგანოების მხრიდან გამოძიების წარმოებისას არაერთი ხარვეზი გამოიკვეთა.

[84] ამჟამად, იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტი.

მიუხედავად იმისა, რომ დღეის მოცემულობით გარკვეულ შემთხვევებში[85] მსგავს ფაქტებზე გამოძიების დაწყება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას განეკუთვნება, ანგარიშის წინამდებარე თავში გაანალიზდა 2020 და გასული წლების წლებში არსებული პრაქტიკა. ანალიზმა აჩვენა, რომ კრიმინალურ სუბკულტურასთან დაკავშირებულ ფაქტებზე პროკურატურას შენარჩუნებული აქვს გულგრილი დამოკიდებულება და სასიხარულო მხოლოდ ის არის, რომ გასული წლებისგან განსხვავებით, 2020 წელს კრიმინალური სუბკულტურის გავლენებს რომელიმე პატიმრის მიმართ სასიკვდილო შედეგები არ გამოუღია.

- *გამოძიება*

შესწავლილ დანაშაულებრივ ფაქტებს ძირითადად ადგილი ჰქონდა 2013-2015 წლებში. დანაშაულებრივი ქმედებების საფუძველზე პატიმრის გარდაცვალების ფაქტი დაფიქსირდა 2013[86] და 2014 წლებში[87] და ორივე შემთხვევა მოხდა N14 პენიტენციურ დაწესებულებაში (ე.წ. გეგუთის ციხე); ხოლო პატიმრის წამების ფაქტი დაფიქსირდა 2015 წელს N17 პენიტენციურ დაწესებულებაში[88]. სამივე ფაქტს ადგილი ჰქონდა ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში.

ყველა შემთხვევაში გამოძიება დაიწყო იმდროინდელმა სასჯელაღსრულების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა. ერთ საქმეზე გამოძიება, დაინტერესებული უწყების - სასჯელაღსრულების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის - მიერ ჩატარებული მნიშვნელოვანი პირველადი საგამოძიებო მოქმედებების არაჯეროვნად და არაზედმიწევნით ჩატარების შემდეგ, პროკურატურამ გააგრძელა. საგულისხმოა, რომ პროკურატურისთვის საქმის გადაცემის შემდეგ, მოწმეები მიუთითებდნენ სასჯელაღსრულების სამინისტროს დაინტერესებასა და გამოძიებაზე გავლენის საკითხებზე.[89] სხვა საქმეში, სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლების სამოხელეო დანაშაულის კვალიფიკაციის დამატების მიუხედავად (რაც პროკურატურის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიეკუთვნებოდა), საქმე გამოსაძიებლად კვლავ სასჯელაღსრულების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს გადაეცა.[90]

როგორც ბრალდებული პატიმრების, ასევე დაწესებულების თანამშრომლების ქმედების კვალიფიკაცია რიგ შემთხვევაში ხდებოდა მსუბუქი მუხლებით. ერთ-ერთ საქმეში, მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება დაიწყო განზრახ მკვლელობის ფაქტზე (თუმცა თავიდანვე იკვეთებოდა დამამძიმებელი გარემოებებიც), ბრალდებული პატიმრების

[85] მაგალითად, როდესაც გამოიკვეთება პენიტენციური სისტემის თანამონაწილეობა სუბკულტურის მიერ კონკრეტული პატიმრის მიმართ განხორციელებულ ფიზიკურ ძალადობაში, ან როცა სახეზე იქნება წამება, არაადამიანური მოპყრობა და „სახელმწიფო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სხვა დანაშაულებრივი ქმედებები.
[86] ლ.კ.-ს საქმე.
[87] გ.ფ.-ს მკვლელობის საქმე.
[88] „ა"-ს წამების საქმე (მსხვერპლის უსაფრთხოებიდან გამომდინარე გამოყენებულია პირობითი ინიციალი).
[89] ლ.კ.-ს საქმე.
[90] „ა"-ს წამების საქმე.

მიმართ სასამართლოს საქმე არსებითად განსახილველად გადაეცა შემდეგი ბრალდებით - ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა. სხვა საქმეზე მსჯავრდებულებს ბრალი სასიკვდილო შედეგით დასრულებული ჯანმრთელობის დაზიანებისთვის წარედგინათ და არა ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობისთვის, როცა კრიმინალური ავტორიტეტისთვის ხელის დარტყმის გამო მსხვერპლის დასჯის მიზნით მას რამდენიმე პირი რამდენიმე წუთის განმავლობაში ფეხებით, ხელებით, ნივთებით დარტყმებს აყენებდა, მათ შორის, თავის არეში, რაც ჯგუფურად ჩადენილი მკვლელობის შემადგენლობას ადასტურებდა.

პატიმრის გარდაცვალების ერთ-ერთ საქმეზე პრობლემას წარმოადგენდა თანამშრომელთა ქმედებების მსუბუქი მუხლებით კვალიფიკაცია, კერძოდ, დანაშაულის შეუტყობინებლობისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის და არა სამართლებრივი გარანტის ფუნქციის შეუსრულებლობის გამო უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულისთვის.

უმეტეს შემთხვევაში, დაწესებულების თანამშრომელთა მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის შესაძლებლობა საერთოდ არ შესწავლილა გამოძიების მიერ, მიუხედავად იმისა, რომ ამაზე მიუთითებდნენ საქმის ფიგურანტები, მათ შორის, თავად პენიტენციური სისტემის თანამშრომლები. ერთ-ერთი საქმის მასალების თანახმად, გარდა უშუალოდ გამოსაძიებელი ფაქტისა, ჩვენებებში პატიმრები მიუთითებდნენ, რომ გარდაცვლილი პატიმარი „არ მონაწილეობდა აზარტულ თამაშებში და არც ჩასაბარებელი არ ჰქონდა რამე", შესაბამისად, იკვეთებოდა ციხის ადმინისტრაციის სულ მცირე უმოქმედობა ამ პროცესში. ამასთან, ამავე საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მსჯავრდებულები განმარტავდნენ, რომ მათი გადაყვანა ნახევრად ღია დაწესებულებაში დახურული ტიპის დაწესებულებიდან განხორციელდა პატიმრების პროტესტის დასარეგულირებლად. სასამართლო სხდომაზე მსჯავრდებული ასევე განმარტავდა, რომ დაწესებულების დირექტორისგან იღებდა გარკვეულ დავალებებს დაერეგულირებინა სიტუაცია და იღებდა გარკვეულ პრივილეგიებს. დაწესებულების თანამშრომლების ჩვენებით კი მათთვის ცნობილი იყო პატიმრებს შორის საკანში ხმამაღალი საუბრისა და თანამესაკნეებს შორის უკმაყოფილების შესახებ შემთხვევის წინა პერიოდში, თუმცა რაიმე რეაგირება აღნიშნულზე არ განუხორციელებიათ. მიუხედავად დაწესებულების თანამშრომელთა მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღებისა, გამოძიება ამ მიმართულებით არ ჩატარებულა.

აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი საქმის მასალების თანახმად, პატიმრებს შორის კონფლიქტის აღმოსაფხვრელად და კონფლიქტური მსჯავრდებულების „დაშოშმინებისთვის" დაწესებულებებში ე.წ. პრივილეგირებული პატიმრების არსებობის შესახებ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მაღალი თანამდებობის პირების ინფორმირებულობისა და მათი თანხმობის შესახებ გამოძიებას ჩვენებას აძლევდა და სასამართლოში განცხადებას აკეთებდა ერთ-ერთ საქმეზე მსჯავრდებული დაწესებულების დირექტორი. მიუხედავად ამისა, გამოძიება არ დაინტერესებულა

გადაემოწმებინა აღნიშნული გარემოებები და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის და დაწესებულების თანამშრომლების ქმედებებში სხვადასხვა სამოხელეო დანაშულისა თუ გამოსაძიებელ ფაქტებში თანამონაწილეობის საკითხები.

ერთ-ერთ საქმეში არ მოხდა შემთხვევის ადგილისა და სხვა მტკიცებულებების დაცვა დაწესებულების თანამშრომლების მიერ, რის გამოც მტკიცებულებების მოპოვება და საქმეზე დამაგრება ვერ მოხდა/გართულდა. დამნაშავე პირებს მიეცათ მტკიცებულებების განადგურების შესაძლებლობა. გ.ფ.-ს მკვლელობის საქმეში გამოძიების მასალებიდან დგინდება, რომ საკანში განთავსებულმა მსჯავრდებულებმა, ვიდრე მათი გამოყვანა და სხვადასხვა საკნებში განთავსება მოხდებოდა, გარეცხეს ტანსაცმელი და იატაკიდან მოწმინდეს სისხლი. ამის შემდეგ მოხდა მათი გადაყვანა სამარტოო საკნებში. სამარტოო საკნებში მათ მიეცათ გარეცხილი ტანსაცმლის (მტკიცებულებების) წაღების შესაძლებლობა. გარეცხილი ტანსაცმლის დაბრუნება საცხოვრებელ საკანში მოხდა დაწესებულების დირექტორის მითითებით დაწესებულების თანამშრომლების მიერ მოგვიანებით.

ერთ საქმეზე დაფიქსირდა ფაქტიდან 5 დღის დაგვიანებით გამოძიების დაწყება, ვინაიდან დაწესებულებამ წერილობითი შეტყობინება საგამოძიებო ორგანოში ფაქტიდან მე-3 დღეს გაიგზავნა. თუმცა, დირექტორის ჩვენებით, ინფორმაციის მიღებისთანავე სატელეფონო შეტყობინებით აცნობა სად-ის ხელმძღვანელობას. გამოძიებას არ მოუპოვებია სატელეფონო მიმოწერის თაობაზე ინფორმაცია და არ გაურკვევია გამოძიების დაგვიანებით დაწყების მიზეზები.

გამოძიების მასალებმა აჩვენა, რომ პენიტენციური სისტემის უმოქმედობა ციხეში კრიმინალური სუბკულტურის არსებობისა და მისი გავლენების მიმართ თითქმის არასოდეს ფასდება სამართლებრივად. გამოძიების მიერ არც კი გამოკითხულან პენიტენციური სისტემის მაღალჩინოსნები (გარდა, ციხის ადმინისტრაციისა) და არ ჩატარებულა მათ მიმართ საჭირო საგამოძიებო მოქმედებები, მიუხედავად იმისა, რომ პენიტენციური სისტემის წარმომადგენელი მიუთითებდა იმჟამინდელი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებსა და ხელმძღვანელებს, როგორც ე.წ. მაყურებლებისთვის პრივილეგიების მინიჭებაზე გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე.

პროკურატურა არ ახდენდა ე.წ. პულტების მეთვალყურეების დაკითხვას, რომლებთაც სამსახურებრივად ევალებათ 24 საათიან რეჟიმში აკვირდებოდნენ ციხეში არსებულ ვითარებას და რომლებიც არანაირ ღონისძიებას არ ატარებდნენ კრიმინალური სუბკულტურის მიერ დანაშაულებრივი ფაქტების ჩადენისას/საეჭვო გარემოებების არსებობისას.

ერთ საქმეში ერთ-ერთი ბრალდებული მიუთითებდა, რომ გამოძიების პერიოდში პენიტენციურ დაწესებულებაში შედიოდა დაწესებულების გადამდგარი დირექტორი (არაუფლებამოსილი პირი) და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ერთი თანამდებობის პირი, რომლებიც ხვდებოდნენ საქმესთან დაკავშირებულ პატიმრებს (ინფორმაციის

მატარებლებს). შესაბამისად, აუცილებელი იყო გამოძიებას გადაემოწმებინა ციხის ყოფილი დირექტორისა და სად-ის თანამდებობის პირის მხრიდან რა ტიპის კომუნიკაცია შედგა მოწმეებთან და ხომ არ ჰქონდა ადგილი უკანონო ზეგავლენის ან გარიგების მცდელობას. ასევე, გამოძიებას არ გადაუმოწმებია სატელეფონო ანძების ამონაწერით, თავად ციხის გადამდგარი დირექტორის/არაუფლებამოსილი პირის დაწესებულებაში ყოფნის ფაქტი.

ამავე საქმეზე იმავე ბრალდებულის ჩვენებით, მსხვერპლის გარდაცვალების დღეს ერთი დღით გადაიყვანეს სხვა დაწესებულებაში, სადაც სად-ის თანამდებობის პირი შეხვდა. გადაყვანის ფაქტი დოკუმენტურად დასტურდება. საქმის მასალებით კი ასევე დგინდება, რომ სწორედ ეს ბრალდებული იყო ე.წ. „ზონის მაყურებელი". სად-ის თანამდებობის პირისა და ე.წ. „ზონის მაყურებლის" კომუნიკაციის დასადგენად რაიმე მოქმედება არ ჩატარებულა.

სხვა საქმეზეც პროკურატურა არ ინტერესდება დახურული ტიპის დაწესებულებიდან ნახევრად ღია დაწესებულებაში (ე.წ. ზონაში) პატიმრის გადაყვანის მიზეზებითა და მათთან შესაძლო კონფლიქტის რისკების დაზღვევის მიზნით პენიტენციური სისტემის მიერ გატარებული ღონისძიებებით, მაშინ, როდესაც თავად ბრალდებული პატიმრები მიუთითებდნენ, რომ მათი გადაყვანა ნახევრად ღია დაწესებულებაში პატიმრების პროტესტის შეწყვეტის მიზნით განხორციელდა.

ერთ შემთხვევაში გამოძიებამ შემთხვევის ადგილი დაათვალიერა 10 დღის შემდეგ. შესაბამისად, რაიმე კვალი, ნიმუში ან/და ნივთის ამოღება ვეღარ მოხდა. ერთ საქმეში კი შემთხვევის რეალური ადგილი 6 თვის შემდეგ დათვალიერდა. ამ საქმეში შემთხვევის ადგილიდან ნივთიერი მტკიცებულებები, კვალი, ნიმუშები, დანაშაულის იარაღად გამოყენებული საგნები საგამოძიებო ორგანოს არ ამოუღია. იყო შემთხვევები, როდესაც გამოძიებამ კომისიური, ასევე, ბიოლოგიური ექსპერტიზების დანიშვნა 2 და 3 თვით დააგვიანა.

ერთ საქმეში გამოძიებას დაზარალებულის მიერ ეცნობა, რომ ციხის დირექტორი და მოადგილე კრიმინალური ავტორიტეტების მეშვეობით არეგულირებდნენ მსჯავრდებულთა შორის კონფლიქტებს. კრიმინალური ავტორიტეტები კი თავის მხრივ, პატიმრებთან საქმის გარჩევით აგვარებდნენ ურთიერთობას, კონტროლს უწევდნენ პრობლემის გამო მოშიმშილე პატიმრებს და აწესრიგებდნენ სიტუაციას მთელ ციხეში. სხვა პატიმრის ჩვენებით, კრიმინალური ავტორიტეტის მქონე პატიმრებს დანარჩენი პატიმრები უთანხმებდნენ ექიმთან გადასვლას, ტელეფონზე დარეკვას. ისინი აგვარებდნენ კონფლიქტებს, სჯიდნენ „დასასჯელ" პატიმრებს (არ არის დაკონკრეტებული რა ფორმით). მათ უწოდებენ ე.წ. პალაჟენეცებს, სექტორების ანუ დარეკვის, თამაშების, რეგიონების კურატორებს. იმავე ციხის (სადაც დაზარალებული იყო მოთავსებული) დირექტორის ჩვენებით კი, პრივილეგიების მიზანი იყო არ მომხდარიყო პატიმრების მასიური უკმაყოფილება და არეულობა, უპირატესობა უნდა მინიჭებოდათ ლიდერობით

გამორჩეულ პატიმრებს, რომლებიც სხვა პატიმრებთან სარგებლობდნენ ავტორიტეტით და ამავდროულად თანამშრომლობდნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან. გამოძიება არ დაინტერესებულა როგორ იმორჩილებდნენ კრიმინალური ავტორიტეტები პატიმრებს, ან რა ზომებს მიმართავდნენ დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, არ დაინტერესებულან წარსულში ჩადენილი სხვა სავარაუდო დანაშაულებრივი ფაქტებით, არ გამოუვლენიათ სხვა სავარაუდო დაზარალებულები.

ამავე საქმეზე, სასამართლოში დაწესებულების თანამშრომლების ჩვენებებით ირკვეოდა, რომ ე.წ. მაყურებლები ხელმძღვანელის სიტყვიერი მითითების საფუძველზე თავისუფლად გადაადგილებოდნენ და მათ თანამშრომლები არ აცილებდნენ, ისინი პატიმრებს შორის ან პატიმარსა და თანამშრომლებს შორის უთანხმოებას ან კონფლიქტურ სიტუაციებს აგვარებდნენ, მათ შორის, თანამშრომლების მიმართვის საფუძველზეც. მაგალითად, სარეჟიმო მოთხოვნების დამრღვევ, ექიმების ან თანამშრომლების მიმართ აგრესიულ პატიმრებთან შედიოდნენ კონტაქტში და აგვარებდნენ სიტუაციას. ე.წ. „მაყურებლების" ჩართვა „მოგვარებაში" ადმინისტრაციის ინიციატივა იყო. თანამშრომლები ხელმძღვანელობას მოახსენებდნენ კონფლიქტური სიტუაციის შესახებ და მათი ნებართვით/მითითებით პატიმრებს ახვედრებდნენ ე.წ. მაყურებლებს, რომელებიც აგვარებდნენ სიტუაციას თანამშრომლების დასწრების გარეშე. თანამშრომლების ჩვენებებით, ჩხუბის გარეშე ხდებოდა „მოგვარება", რადგან ავტორიტეტით სარგებლობდნენ და გავლენა ჰქონდათ პატიმრებზე; დაძაბულობის შემთხვევაში ე.წ. მაყურებლებთან გასაუბრების შემდეგ ითვალისწინებდნენ მათ აზრს, დავებს აგვარებდნენ, არიგებდნენ პატიმრებს, აღმოუფხვრიათ დაძაბულობა და დაუწყნარებიათ სიტუაცია. გარდა ამისა, თანამშრომელთა ჩვენებით, ე.წ. მაყურებლები პატიმრებს ნებისმიერ პრობლემას უგვარებდნენ (მაგ. ექიმთან, მედიკამენტებთან, პაემანთან დაკავშირებული პრობლემები). შესაბამისად, ირკვევა, რომ თანამშრომლები არ ასრულებდნენ მათ ვალდებულებას და კონფლიქტების შემთხვევაში კანონის შესაბამისად არ რეაგირებდნენ. მიუხედავად ამისა, მათი პასუხიმგებლობის საკითხი არ დასმულა.

ამავე საქმეში, დაწესებულების დირექტორის ჩვენებით, თანამდებობაზე დანიშვნისთანავე მის მიერ საგუშაგოებზე პატიმართა თავისუფალი გადაადგილების აღკვეთას პატიმრების უკმაყოფილება მოჰყვა, რის თაობაზე საქმის კურსში ჩააყენა სად-ის ხელმძღვანელობა. სად-ის უსაფრთხოების სამმართველოს უფროსმა (ასრულებდა სად-ის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობას) პატიმრებთან გასაუბრების შემდეგ დირექტორს, მის მოადგილეებს, ასევე, სამართლებრივი რეჟიმის უფროსს დაავალა, რომ უსაფრთოხების ინტერესებიდან გამომდინარე და ოპერატიული თვალსაზრისით, საჭირო იყო რამდენიმე პატიმარს დაუბრკოლებლად ემოძრავა, შეუზღუდავად დღის ნებისმიერ დროს. დირექტორის თქმით, ამგვარად ადმინისტრირების საკითხი ბევრად იოლდებოდა და მსჯავრდებულთაგან მასიური უკმაყოფილება აღარ გამოითქმებოდა, ასევე, მათი მეშვეობით მოხდებოდა კონფლიქტური მსჯავრდებულების „დაშოშმინება" და არავისგან წამოიჭრებოდა დამატებითი კონფლიქტები. თავისუფლად გადაადგილების

პრივილეგიით სარგებლობდა სულ 9 პატიმარი. სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე დირექტორის განცხადებით, იცოდა, რომ ეს საკითხი სად-ის თავმჯდომარის მოადგილეს თავმჯდომარესთან ჰქონდა შეთანხმებული. გამოძიებას არანაირი საგამოძიებო მოქმედება არ ჩაუტარებია დირექტორის ჩვენებაში მითითებული ფაქტის - ე.წ. მაყურებლებისთვის პრივილეგიების სად-ის ხელმძღვანელობის მხრიდან მინიჭების საკითხზე, ასევე, არ გარკვეულა პრივილეგიების მინიჭებისა და კრიმინალურ ავტორიტეტებთან თანამშრომლობის გადაწყვეტილება მიიღო მხოლოდ სად-ის თავმჯდომარის მოადგილემ თუ საკითხი სხვა ხელმძღვანელ პირებთან იყო შეთანხმებული. ე.წ. მაყურებლების არსებობას და მათთვის პრივილეგიების მინიჭებას დაწესებულების თანამშრომლებიც ადასტურებდნენ.

მოცემულ საქმეში საგამოძიებო მოქმედებები ძირითადად მიმართული იყო მხოლოდ მსჯავრდებულების მიმართ მტკიცებულებების მოპოვების მიზნით, სამოხელეო დანაშაულის ფაქტზე კი - მხოლოდ დაწესებულების დირექტორის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებით შემოიფარგლა. რაც შეეხება დაწესებულების თანამშრომლებს და განსაკუთრებით სად-ის მაღალი თანამდებობის პირების მიერ ჩადენილ სავარაუდო დანაშაულის ფაქტებს, მოცემულ საკითხებზე საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები არ ჩატარებულა მიუხედავად იმისა, რომ საქმის მასალებით იკვეთებოდა არაფორმალური მმართველობის სახით ე.წ. „მაყურებლების“ პრივილეგირებულ მდგომაროებაში ჩაყენება დაწესებულების მართვის გაადვილების მიზნით და აღნიშნული ქმედების სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობის მითითებით/დავალებით განხორციელება. გარდა ამისა, გამოძიება არ დაინტერესებულა დირექტორის გარდა სხვა თანამშრომლების ქმედებებით, კერძოდ, ვინც იცოდა და ვისთანაც იყო შეთანხმებული ე.წ. „მაყურებლებისთვის“ მინიჭებული პრივილეგიების თაობაზე, ვისი უმოქმედობით ვერ მოხერხდა მსხვერპლის უსაფრთოხების დაცვა.

სხვა საქმეში მოწმეთა ჩვენებით ე.წ. „მაყურებლები“ გადაადგილდებოდნენ თავისუფლად, ღამით არ იკეტებოდა მათი საკნები, აკონტროლებდნენ პატიმრებს, განცხადება/საჩივრების გაგზავნის საკითხს, მაღაზიაში ყველა შეძენიდან იღებდნენ სიგარეტს, რაც სამეურნეო ნაწილში ჩარიცხულ პატიმრებს დღის ბოლოს მიჰქონდათ ე.წ. „მაყურებელთან.“ ე.წ. „ტელეფონების მაყურებელი“ აკონტროლებდა დარეკვის რიგითობას, ასევე, იმას, რომ პატიმრებს არ დაერეკათ ჟურნალისტებთან. პატიმართა ეტაპირებისას ისინი ხვდებოდნენ ახალმისულ პატიმრებს, უმარტავდნენ რომ ნებისმიერი საკითხი მათთან უნდა შეეთანხმებინათ, ხოლო დაწესებულების თანამშრომლები და ადმინისტრაცია არა მხოლოდ ინფორმირებული იყვნენ ე.წ. „მაყურებლების“ არსებობის შესახებ, არამედ არ მოქმედებდნენ მათი უკანონო ქმედებების აღსაკვეთად და პირიქით, უმოქმედობით ხელს უწყობდნენ არაფორმალურ მმართველობას ქურდული სამყაროს წევრების, ე.წ. „მაყურებლების“ მიერ. მოცემულ საქმეზეც სასამართლომ განმარტა, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები მეტყველებენ სად-ის სიტემაში ძალაუფლების ისეთი ფორმის არსებობაზე, რაც განაპირობებს ციხეებზე კონტროლს კრიმინალური

ავტორიტეტების მხრიდან. ე.წ. „მაყურებლების“ ინსტიტუტის არსებობა დაადასტურეს სამეურნეო ნაწილის პატიმრებმა, აღნიშნული არ უარყვეს არც სად-ის თანამშრომლებმა. სასამართლომ ასევე, მიუთითა სად-ის თანამშრომლების მხრიდან მათთვის პრივილეგირებული გარემოს უზრუნველყოფაზე, ქურდული სამყაროს წესებით მოქმედი ორგანიზებული სტრუქტურის არსებობაზე ციხეში - ზონის, კორპუსის და ცალკეული სართულების „მაყურებელთა“ სახით.

ამასთან, 2020 წლის განმავლობაში, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტს წარმოებაში აქვს ერთი პატიმრის საქმე, რომელიც მიუთითებს დახურულ დაწესებულებაში ე.წ. „საერთოს“ შეგროვებაზე. აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება დაიწყო და მიმდინარეობს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223[1]-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.[91]

- *სამსახურებრივი შემოწმება*

ჩვენს მიერ ასევე შესწავლილ იქნა სამსახურებრივი შემოწმების მასალები 3 საქმეზე. სავარაუდო ქმედების ჩადენის დროა 2017-2018 წლები. შესწავლის შედეგების თანახმად, პროკურატურის ორგანოების მხრიდან, N15 პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტზე გამოძიება არ დაიწყო (2017 წელი) და პატიმრის მიერ მითითებული გარემოებები, სადაც აღნიშნული იყო N15 დაწესებულებაში ე.წ. „მაყურებლების“ გავლენა სხვა პატიმრებზე, ე.წ. „საერთოს“ შეგროვება და აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების ადმინისტრაციის უმოქმედობა, შემდგომი რეაგირებისათვის გადასცა სასჯელაღსრულების სამინისტროს გენერალურ ინსპექციას. ამგვარად, პროკურატურამ, საპროკურორო ზედამხედველობის გარეშე დატოვა ისეთი ფაქტების გამოკვლევა, რომელიც სახელმწიფოსთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს და რომელიც მრავალი ადამიანის უფლების შეზღუდვის საფუძველია ყოველდღიურად.

მიუხედავად იმისა, რომ გენერალურმა ინსპექციამ გამოკითხა განმცხადებელი, ასევე რამდენიმე პატიმარი, დამატებითი დეტალური კითხვები არ დაუსვამთ. რამდენიმე პატიმარმა უარი განაცხადა გენერალურ ინსპექციასთან თანამშრომლობაზე და ახსნა-განმარტების მიცემაზე. გენერალურ ინსპექციას არ ჰქონია მცდელობა გამოეკითხა დაწესებულების სხვა პატიმრებიც, ვისაც ასევე შესაძლოა ინფორმაცია მიეწოდებინათ დაწესებულებაში ე.წ. „მაყურებლების“ არსებობისა და პრივილეგიების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელმა პენიტენციური დეპარტამენტის თანამშრომლებთან არ ისაუბრა განცხადებაში მითითებული ე.წ. მაყურებლების შესახებ, შემოწმება არ დაინტერესებულა თუ რა იყო განმცხადებლის მიერ განცხადებაში

[91] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2020 წლის 4 სექტემბრის N MIA 4 20 02471896 წერილი და 2021 წლის 16 მარტის N MIA 6 21 00641133.

მითითებული გარემოებების შესახებ ახსნა-განმარტების მიცემაზე უარის თქმის საფუძველი და ხომ არ იყო აღნიშნული გამოწვეული მსჯავრდებულის მიმართ სხვა პატიმრების, მათ შორის ე.წ. მაყურებლების ან/და დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან განხორციელებული ზეწოლის ან/და რაიმე სახის შეღავათების მინიჭების დაპირების შედეგი.

ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ გენერალური ინსპექციის უფლებამოსილება საგამოძიებო ორგანოებთან შედარებით შეზღუდულია, ემყარება გამოსაკითხი პირების ნებაყოფლობითობას და არ ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ინფორმაციის მიუწოდებლობის ან/და ცრუ ინფორმაციის მიწოდებისათვის.

გენერალურ ინსპექციას ასევე სრულყოფილად არ ამოუღია დოკუმენტაცია. მაგალითად, მაღაზიაში პატიმრების მიერ შეძენილი პროდუქტების ჩამონათვალი და მიწოდების თარიღები, რასაც უთითებდა განმცხადებელი, როგორც ე.წ. „საერთოს" შეგროვების გზად და ე.წ. „მაყურებლების" მითითების შესრულებად.

ერთ-ერთი განმცხადებელი ასევე აღნიშნავდა (2018 წლის ფაქტი), რომ N15 დაწესებულების კონკრეტულ საკანში მისი განთავსება არა ადმინისტრაციის, არამედ ე.წ. „მაყურებლების" მიერ მოხდა. თანასაკნელის (ერთ-ერთი კრიმინალური ავტორიტეტების კატეგორიის მიეკუთვნებოდა) მხრიდან მასზე ხდებოდა ფსიქოლოგიური ზეწოლა, რომ არ დაეწერა გაცხადება/საჩივრები. ხანგრძლივ პაემანზე უარი ეთქვა. დირექტორის მოადგილის განმარტებით, უარის მიზეზი ე.წ. „მაყურებლების" მხრიდან „ცუდი დახასიათება" იყო. პატიმარი აბანოში 2-ჯერ ცემაზეც მიუთითებდა. პატიმრის მტკიცებით, მეორედ იმიტომ ცემეს, რომ მონაწილეობა არ მიიღო კრიმინალური ავტორიტეტების მიერ მოწყობილ შეკრებაში, რომელიც აწ გარდაცვლილი კრიმინალური ავტორიტეტის საპატივსაცემოდ გაიმართა. აღნიშნული შეხვედრისთვის მზადება დიდი ხანი მიმდინარეობდა და საქმის კურსში იყვნენ მსჯავრდებულები და ადმინისტრაცია.

მოცემულ სავარუდო დანაშაულებრივ ფაქტზე რეაგირება ხელოვნურად დანაწევრდა: გამოძიება მხოლოდ განმცხადებლის ჯგუფურად ცემის ფაქტზე დაიწყო[92], ხოლო ე.წ. „მაყურებლებთან" დაკავშირებულ საკითხზე ჩატარდა სამსახურებრივი შემოწმება. გენ. ინსპექცია ამ შემთხვევაშიც არ დაინტერესებულა პატიმრის მიერ მითითებული საკითხების სრულყოფილი გამოკვლევით. ახსნა-განმარტება ჩამოერთვა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელს და სხვა მსჯავრდებულს, რომლებმაც უარყვეს ხსენებული ფაქტები. ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ხანგრძლივ პაემანზე უარის საფუძვლად ამ უფლებით უკვე სარგებლობა და სხვა დაწესებულებაში გადაყვანის გამო პაემნის დამატებით მიცემის საკითხის განხილვის შეუძლებლობა დაასახელა. შემოწმების პროცესში არ მომხდარა გასაუბრება დაწესებულების სხვა თანამშრომლებთან და

[92] საქართველოს პროკურატურის 2018 წლის 19 დეკემბრის N13/95130, 2019 წლის 03 თებერვლის N13/7486 და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საგამოძიებო სამმართველოს 2020 წლის 10 ივლისის N9176 წერილების თანახმად, გამოძიება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საგამოძიებო დანაყოფში მიმდინარეობდა.

პატიმრებთან, ვიდეო მეთვალყურეობის განმხორციელებელ პირებთან, არ დათვალიერებულა და მოპოვებულა დაწესებულებაში პატიმართა მიღების და განაწილების ამსახველი ვიდეო ჩანაწერები ხსენებულ პროცესში ე.წ. მაყურებლების მონაწილეობის პრაქტიკის[93] არსებობის დასადგენად ან უარსაყოფად.

გენერალურმა ინსპექციამ ზედმიწევნით არ გადაამოწმა ციხეში რაიმე სახის შეკრების გამართვის, პატიმართა განთავსებაში ე.წ. „მაყურებლების" მონაწილეობის, კრიმინალური ავტორიტეტის მიერ პატიმრისთვის საჩივრების გაგზავნის შეზღუდვის საკითხები, რომელზეც მიუთითებდა განმცხადებელი: შესაბამისად, არც მოცემული ქმედებების შესახებ დაწესებულების ადმინისტრაციის ინფორმირებულობის და მასში მოქმედებით ან უმოქმედობით შესაძლო მონაწილეობა შეუსწავლიათ.

ერთ შემთხვევაში კი, მაღალი რისკის დაწესებულებაში ე.წ. მაყურებლების არსებობასთან და მათი მხრიდან სხვა პატიმრებზე განხორციელებულ ზეწოლასთან დაკავშირებით პატიმრის განცხადება პროკურატურის მიერ ასევე შესასწავლად გადაეცა სასჯელაღსრულების სამინისტროს გენერალურ ინსპექციას და დაერთო სხვა საკითხებთან დაკავშირებით, ამავე პატიმრის განცხადებების საფუძველზე მიმდინარე, მის წარმოებაში არსებულ სამსახურებრივი შემოწმების მასალებს. აღსანიშნავია, რომ განმცხადებელი მიუთითებდა ე.წ. მაყურებლების თავისუფლად გადაადგილებაზე მაღალი რისკის/დახურულ დაწესებულებაში. ამ დაწესებულებაში დერეფნებში განთავსებული იყო ვიდეოსამეთვალყურეო კამერები. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ჩანაწერების ამოღება არ მომხდარა.

გენერალურ ინსპექციას განმცხადებლისთვის კითხვები ე.წ. მაყურებლების შესახებ არ დაუსვამს, მიუხედავად იმისა, რომ პატიმარი მზადყოფნას გამოთქვამდა მათი ვინაობების დასახელებაზე. არც სხვა მოქმედება ჩაუტარებიათ მათ დასადგენად.

მსჯავრდებულმა გამოკითხვისას განმარტა, რომ ე.წ. მაყურებლების არსებობა ხელს უწყობს მსჯავრდებულთა ერთი ნაწილის პრივილეგირებულ მდგომარეობას, რომელიც არღვევს სხვა მსჯავრდებულის უფლებებს. თუმცა, მან განცხადებები დაწესებულებაში ე.წ. მაყურებლების ინსტიტუტთან და სუბკულტურასთან დაკავშირებით დაწერა პრევენციის მიზნით და მის მიმართ რაიმე კანონსაწინააღმდეგო ზეწოლას ადგილი არ ჰქონია. ეს განმარტებები კრიტიკის გარეშე, საკმარისად და სარწმუნოდ მიიჩნია გენერალურმა ინსპექციამ.

შემოწმების პროცესში გამოიკითხა მხოლოდ განმცხადებელი პატიმარი და დაწესებულების დირექტორი. სხვა პატიმრები და ციხის თანამშრომლები ე.წ. მაყურებლების არსებობის შესახებ არ გამოუკითხავთ. განცხადებაში მსჯავრდებული მიუთითებდა ორი ე.წ. „მაყურებლის" მხრიდან სხვა პატიმრებზე ზეწოლის, სხვა

[93] მოცემული დროისთვის მოქმედი რეგულაციით ვიდეო ჩანაწერების შენახვის 5-დღიანი ვადა განმცხადებლის მიერ მითითებული ფაქტებიდან შემოწმების დაწყებისას გასული იყო, თუმცა შესაძლებელი იყო სხვა დროის ვიდეო ჩანაწერის მოპოვება,

პატიმრებთან თავისუფლად შეხვედრისა და საუბრის შესახებ არა კონკრეტულ ფაქტებზე, არამედ სხვადასხვა შემთხვევაზე. განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში პატიმრები მუდმივად იმყოფებიან საკანში, გარდა დებულებით განსაზღვრული შემთხვევებისა, საკნიდან გამოყვანისას სავალდებულოა ადმინისტრაციის თანამშრომლის ყოფნა და მსჯავრდებულის ნებისმიერი გადაადგილებისას უნდა გამორიცხოს სხვა მსჯავრდებულთან (გარდა თანამესაკნისა) უშუალო კონტაქტი. მიუხედავად ამისა, არ გამოკითხულან პატიმრები და თანამშრომლები, არც ვიდეო მეთვალყურეობის განმახორციელებელი პირები, არ მოპოვებულა ვიდეო ჩანაწერები და დოკუმენტები და არც ვიდეო კამერების რეალურ დროში დაკვირვების[94] შესაძლებლობაც არ გამოუყენებია პატიმრებს შორის კომუნიკაციის, თავისუფალი გადაადგილების ფაქტების გადასამოწმებლად და ამ ვითარებაში დაწესებულების თანამშრომლების ქმედებების დასადგენად.

მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა 2020 წელსაც. მსჯავრდებული ამ შემთხვევაშიც მიუთითებდა ქურდული სამყაროს წევრების გავლენებზე სხვა პატიმრებზე და მათთვის დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ მინიჭებულ პრივილეგიებზე, ასევე დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ მათ გამოყენებაზე საკუთარი მიზნებისთვის. პროკურატურამ აპარატის მიმართვა ამ შემთხვევაშიც რეაგირებისთვის გადააგზავნა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტში.[95]

პატიმართა შორის ძალადობა

პენიტენციური დაწესებულებებში პატიმართა შორის ძალადობა კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება, ხოლო მსხვერპლთა ფიზიკური ხელყოფისგან დაცვა მათი უფლებრივი მდგომარეობის გაუარესების ხარჯზე ხდება.

2018 წ. მსჯავრდებულ ი.კ.-ს დაუდგინდა საშუალო რისკი და გადაიყვანეს ნახევრად ღია ტიპის N15 დაწესებულებაში, საიდანაც დააბრუნეს დახურული ტიპის N8 დაწესებულებაში პირადი განცხადების საფუძველზე, რადგან პატიმრის განმარტებით, N15 დაწესებულებაში ადმინისტრაციის მითითებით სხვა მსჯავრდებულების მხრიდან მის მიმართ განხორციელდა არასათანადო მოპყრობა. ი.კ.-ს ჯგუფურად ცემის ფაქტზე[96] დაწყებული გამოძიება უშედეგოდ გრძელდება[97].

---

[94] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის N35 ბრძანება, მუხ. 11.

[95] 2020 წლის 21 თებერვლის საქართველოს გენერალური პროკურატურის N13/11466 წერილი. ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს, 2021 წლის იანვრის მდგომარეობით, ინფორმაცია არ აქვს.

[96] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2018 წლის 19 დეკემბრის N13/95130, 2019 წლის 03 თებერვლის N13/7486 30 სექტემბრის N13/68751 წერილები.

[97] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის აღმოსავლეთის საგამოძიებო სამმართველოს 2020 წლის 10 ივლისის N9176 წერილი.

მოგვიანებით, 2019 წ. ი.კ.-ს უარი ეთქვა ნახევრად ღია ტიპის ყველა დაწესებულებაში გადაყვანაზე უსაფრთხოების მიზნებსა და მიზანშეუწონლობაზე მითითებით[98]. 2020 წლის 31 აგვისტოს კი სასამართლოს გადაწყვეტილების[99] საფუძველზე მსჯავრდებული გადაიყვანეს ნახევრად ღია ტიპის N12 დაწესებულებაში, სადაც მომდევნო დღეს - 01 სექტემბერს, მის მიმართ დანაშაულის ჩადენის შემდეგ, დააბრუნეს დახურული ტიპის N8 დაწესებულებაში. ი.კ.-ს ჯგუფურად ცემის ფაქტზე 3 მსჯავრდებულს წარედგინა ბრალდება[100], თუმცა, პატიმარი მიუთითებდა პენიტენციური ადმინისტრაციის დაინტერესებაზე მის მიმართ და ამ ფაქტში მათ მონაწილეობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებულს განსაზღვრული აქვს ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში სასჯელის მოხდა, მათ შორის, სასამართლოს გადაწყვეტილებითაც, იგი მაინც დახურული ტიპის დაწესებულებაში რჩება პატიმართა შორის ძალადობის პრობლემის გამო.[101]

სამედიცინო მომსახურების პრობლემები პენიტენციურ დაწესებულებებში

2020 წელს პენიტენციური დაწესებულებებიდან შემოსული განცხადებების უმეტესი ნაწილი სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის და დროულად მიწოდების პრობლემებს ეხებოდა. ახალი კორონავირუსის გავრცელების გამო გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეჩერდა სამოქალაქო სექტორის კლინიკებში სამედიცინო რეფერალის განხორციელება, რამაც შეაფერხა სამედიცინო მომსახურების დროულად მიწოდება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ რამდენიმე შემთხვევაში, ამა თუ იმ სამედიცინო მომსახურების ან/და დანიშნული მედიკამენტის მიწოდება, პანდემიისთვის დამახასიათებელი თავისებურების მიუხედავად, არაგონივრულად გაჭიანურდა.

მსჯავრდებული ი. ვ.-ს საქმე

მსჯავრდებული ი. ვ. პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელს იხდის 2015 წლიდან. სხვადასხვა დროს გაცემული დოკუმენტაციით, რაც სამედიცინო დეპარტამენტისთვის ცნობილია, მსჯავრდებულს გააჩნია ქრონიკული სახის მწვავე რესპირაციული პრობლემები, მუდმივად საჭიროებს მკურნალობას და მისი მდგომარეობა არ ექვემდებარება გაუმჯობესებას.

გაცემული რეკომენდაციის მიხედვით, ი. ვ.-ს ჯანმრთელობის სტაბილურობისთვის აუცილებელია სუფთა ჰაერზე ხანგრძლივი ვადით ყოფნა, თუმცა მსჯავრდებული ძირითადად მოთავსებულია დახურული ტიპის დაწესებულებაში და მხოლოდ მცირე ხნით

---

[98] 2019 წლის 21 მაისს უარი ეთქვა N12 დაწესებულებაში გადაყვანაზე უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, 2019 წლის 01 ივლისს - N15, 2019 წლის 05 ივლისს - N17, 2019 წლის 29 ივლისს - N14 დაწესებულებებში გადაყვანაზე მიზანშეუწონლობის მითითებით. (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 14 ივლისის განჩინება).

[99] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 03 თებერვლის და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებები.

[100] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის აღმოსავლეთის საგამოძიებო სამმართველოს 2020 წლის 09 ოქტომბრის N13620 წერილი.

[101] პენიტენციური დეპარტამენტის 2020 წლის 18 სექტემბრის N226856/01 წერილი.

იყო ციხის სამეურნეო ნაწილში დასაქმებული, რა დროსაც ახერხებდა სუფთა ჰაერზე ყოფნას. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, იგი სრულყოფილად ვერ ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას, რის გამოც მან სამეურნეო ნაწილში დასაქმებაზე უარი თქვა.

ი. ვ. მუდმივად ითხოვდა ნებისმიერ ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში გადაყვანას. როგორც მსჯავრდებულის, ისე - სახალხო დამცველის აპარატის კომუნიკაცია ამ საკითხთან დაკავშირებით დღემდე უშედეგოა. არ გაზიარებულა, მათ შორის, სახალხო დამცველის ინდივიდუალური რეკომენდაცია. მსჯავრდებული კვლავ რჩება დახურული ტიპის N18 სამკურნალო დაწესებულებაში და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არის უკიდურესად მძიმე. მის საქმეზე გაცემულ ერთ-ერთ არსებით რეკომენდაციად ითვლება ხანგრძლივი ვადით სუფთა ჰაერზე ყოფნა, რაც ხსენებულ დაწესებულებაში შეუძლებელია და მისი გადაყვანა ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში მნიშვნელოვანია.

მსჯავრდებული გ. მ.-ს საქმე

სახალხო დამცველმა 2019 წელს მსჯავრდებული გ. მ.-ს საქმის საქმეზე, მოწვეული ექსპერტის დასკვნის საფუძველზე, პატიმრის ადეკვატური მკურნალობის თაობაზე რეკომენდაცია გასცა.

2020 წელს სასამართლომ არ დააკმაყოფილა მსჯავრდებულის შუამდგომლობა განაჩენის აღსრულების გადავადებაზე.[102] სასამართლომ დადგენილად არ მიიჩნია მსჯავრდებულის მძიმე ავადმყოფობით დაავადების ფაქტი და სარწმუნოდ მიიჩნია ექსპერტთა ჩვენებები, რომ მსჯავრდებული დაავადებულია ფსიქიკური დაავადებით, რაც არ წარმოადგენს განაჩენის აღსრულების გადავადების საფუძველს.[103] საგულისხმოა, რომ ექსპერტებმა ჩვენებებში განმარტეს, რომ თანამედროვე მედიცინაში არ ხდება მძიმედ ან საშუალოდ ავადმყოფობის შეფასება და რომ გ. მ.-ს დიაგნოზი არის მძიმე. გარდა ამისა, ექსპერტიზის დასკვნით, პატიმარი გ .მ. არის წამების ან/და არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი, რაც სასამართლომ რეაგირებისთვის აცნობა საგამოძიებო ორგანოს. პროკურატურამ დაიწყო გამოძიება მსჯავრდებულ გ.მ.-ს მიმართ სპეციალური პენიტენციური დეპარტამენტის N18 სამკურნალო დაწესებულების თანამშრომელთა მიერ ჩადენილი სავარაუდო გულგრილობის ფაქტზე.[104]

პენიტენციური სამსახურის მოწოდებული ინფორმაციით,[105] მსჯავრდებულის დიაგნოზი 2020 წლის მდგომარეობით უცვლელი იყო.

---

[102] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 17 მარტის განჩინება, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 07 მაისის განჩინება.

[103] განჩინებაში მითითებულია სსსკ-ის 191-ე მუხლით გათვალისწინებულ ფსიქიატრიული დახმარების გაწევის წესზე.

[104] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 3 თებერვლის N13/5561 წერილი.

[105] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2020 წლის 02 ნოემბრის N263824/01 და 2020 წლის 31 დეკემბრის N308493/01 წერილები.

მსჯავრდებული ე. ძ.-ს საქმე

მსჯავრდებულის საჩივართან დაკავშირებით გაცემულ სარეცენზიო დასკვნაში სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტომ აღნიშნა, რომ სასურველია შემდგომი მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრის მიზნით, პაციენტის გასინჯვა მოხდეს კონსილიუმის წესით. რეკომენდაციის თაობაზე სამედიცინო დეპარტამენტი ინფორმირებული იყო 2020 წლის 23 იანვარს,[106] თუმცა, რეფერალის ელექტრონულ პროგრამაში შესაბამისი მოთხოვნა მხოლოდ 2020 წლის 3 მარტს დარეგისტრირდა.[107] რეკომენდებული კონსილიუმის ჩატარებაზე მონიტორინგის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა არაერთი წერილით მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტს. საბოლოოდ, მსჯავრდებულს ჩაუტარდა 28 სამედიცინო გამოკვლევა და 2020 წლის 12 აგვისტოს პასუხით გაირკვა, რომ 16 ივლისს ჩაუტარდა რეკომენდებული კონსილიუმიც.

მსჯავრდებული რ. ბ.-ს საქმე

მსჯავრდებული 2019 წლის 25 დეკემბერს დარეგისტრირდა რეფერალის ელექტრონულ პროგრამაში ოპერაციული მკურნალობის ჩატარების მიზნით. 10 მარტის მდგომარეობით მისი რიგითი ნომერი იყო 34 და სამედიცინო დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დაგეგმილი სამედიცინო მომსახურება გაეწეოდა შემჭიდროვებულ ვადაში.[108] თუმცა, ოპერაციული მკურნალობა მსჯავრდებულს მხოლოდ აგვისტოს თვეში ჩაუტარდა. პენიტენციური დეპარტამენტის ცნობით, ოპერაციული მკურნალობის ჩატარება გაჭიანურდა კოვიდ ინფექციასთან დაკავშირებით ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობის გამო.

მსჯავრდებული ჯ. ა.-ს საქმე

მსჯავრდებულს ბოლო 2 წლის განმავლობაში სჭირდებოდა ქვედა კიდურის პროთეზის სილიკონ-ლაინერის გამოცვლა. ამის შესახებ ზეპირსიტყვიერად არაერთხელ მიმართა სამედიცინო პერსონალს, თუმცა უშედეგოდ. აღნიშნულ საკითხზე კორესპონდენცია განხორციელდა სახალხო დამცველის აპარატის მიერ. 2020 წლის 14 აგვისტოს წერილით სამედიცინო დეპარტამენტმა სახალხო დამცველის აპარატს აცნობა, რომ სილიკონ-ლაინერის შეძენის თაობაზე მოთხოვნა გაგზავნილია ეკონომიკურ დეპარტამენტში. თუმცა, 2021 წლის იანვრის მდგომარეობით, მსჯავრდებულს პროთეზის აღნიშნული ნაწილი არ ჰქონდა გადაცემული და მისი რიგითი ნომერი 27 იანვრის მდგომარეობით იყო 118-ე.

---

[106] სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2020 წლის 24 იანვრის № 02/808 პასუხი.

[107] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2020 წლის 2 აპრილის №90326/01 პასუხი.

[108] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2020 წლის 10 მარტის №70296/01 პასუხი.

საშიშროების რისკის არასწორი შეფასება

საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა იუსტიციის მინისტრს, რათა მომხდარიყო მსჯავრდებული შ. ქ.-ს საშიშროების რისკის გადაფასება და პენიტენციური სამსახურის შესაბამისი პირების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყება. მასალების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ შ. ქ.-ს საშიშროების რისკის სახე არასწორი ფაქტობრივი გარემოებებით[109] განესაზღვრა. ასევე, გამოიკვეთა, რომ რისკების შეფასების გუნდმა არ გაითვალისწინა შშმ მსჯავრდებულის ინდივიდუალური საჭიროებები.

ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, სპეციალური პენიტენციური სამსახურის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის სოციალურ მუშაკს დისციპლინური სახდელი დაეკისრა, თუმცა მსჯავრდებულისთვის რისკის სახე არ დაკორექტებულა.[110]

საშიშროების რისკის გასაჩივრების პრობლემა

მსჯავრდებული გ. კ.-ს საშიშროების რისკის განსაზღვრის საკითხზე, თბილისის საქალაქო სასამართლომ 2020 წლის 26 თებერვალს მიიღო სარჩელი წარმოებაში და მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 1 მაისს. თუმცა კორონავირუსის გავრცელების საშიშროებიდან გამომდინარე, პრევენციული ზომების მიღების მიზნით გადაიდო რამდენჯერმე[111]. სასამართლოს სარჩელი თითქმის 9 თვის განმავლობაში არ განუხილავს, მაშინ როცა მსჯავრდებულის საშიშროების რისკის გადაფასება მაღალი რისკის დადგენიდან არაუგვიანეს 12 თვისა მაინც განხორციელდებოდა.[112] მსგავსი კატეგორიის საქმეებზე სარჩელის განხილვის გაჭიანურება გასაჩივრების უფლებას აზრს უკარგავს.

დეესკალაციის საკანში მოთავსება

2020 წლის განმავლობაში გამოკვეთილი ტენდენციის თანახმად პენიტენციურ დაწესებულებაში დეესკალაციის ოთახის გამოყენების მანკიერი პრაქტიკა უცვლელია.

საანგარიშო პერიოდში, N3 და N8 დაწესებულებებში გამოვლინდა შემთხვევები, როცა დეესკალაციის ოთახში განთავსებულ მსჯავრდებულებთან მუშაობდა მხოლოდ სამედიცინო პერსონალი, არ ყოფილა სოციალური მუშაკის თუ ფსიქოლოგის ჩართულობა, რის მიზეზადაც დაწესებულება ერთ შემთხვევაში ასახელებს კრიზისის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრისთვის მითითებული პირების ჩართულობის მიზაშეუწონლობას,

---

[109] მონაცემები მსჯავრდებულის მიმართ წახალისების გამოყენების, სარეაბილიტაციო/რესოციალიზაციის პროგრამებში მონაწილეობის და დაწესებულებაში მუშაობის სურვილის შესახებ.

[110] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 2020 წლის 16 დეკემბრის №297618/01 წერილი.

[111] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 27 ოქტომბრის N3/1481-20 წერილი.

[112] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 08 მაისის N395 ბრძანების მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტი.

რომელსაც არ ასაბუთებს, ხოლო მეორე შემთხვევაში, თავად მსჯავრდებულის მხრიდან მსგავსი მოთხოვნის არარსებობას.[113]

მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში განთავსების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს. მიუხედავად ამისა, 2020 წლის აპრილის თვეში, N8 დაწესებულებაში მსჯავრდებული ჯ. ს. დეესკალაციის ოთახში იმყოფებოდა უწყვეტლივ დაახლოებით 5 დღის განმავლობაში. 72 საათის ამოწურვის შემდეგ, დეესკალაციის ოთახში ყოფნის ვადა კვლავ გაგრძელდა. ამის მიზეზად მიეთითა აბსტრაქტული ცნებები - მისი ემოციური მდგომარეობა და ქცევითი აშლილობა. მსგავსი ზედაპირული დასაბუთების პირობებში გაურკვეველია, ნამდვილად საჭიროებდა თუ არა მსჯავრდებული დეესკალაციის ოთახში კანონით დადგენილზე მეტი ვადით დატოვებას, რადგან არ არის განმარტებული, კონკრეტულად რა სახის საფრთხე მომდინარეობდა პატიმრისგან და რომელი ქცევით იყო ეს განპირობებული.

თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება

მოწმეების ფაქტობრივი დაკავება

2020 წლის 27 მარტს სახალხო დამცველმა გამოძიების დაწყების წინადადებით მიმართა გენერალურ პროკურორს სამი პირის მიმართ შესაძლო განზრახ უკანონო დაკავების და სხვა შესაძლო კანონდარღვევების შესახებ. შესწავლილი მასალიდან აშკარად იკვეთებოდა, რომ მოწმის სტატუსის მქონე გ. ქ., შ. ხ. და გ. ხ. იძულებით მიიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, სადაც 12 საათის განმავლობაში გააჩერეს, ამ პერიოდში კი მათი ოჯახის წევრებს მათი ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდათ. მათ ასევე არ ჰყავდათ ადვოკატი.

სახალხო დამცველის წინადადების საფუძველზე, დაიწყო გამოძიება განზრახ უკანონო დაკავებისა და ჩვენების მიცემის იძულების ფაქტებზე. 2021 წლის იანვრის მდგომარეობით, კონკრეტული პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა არ დაწყებულა.

მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა 2020 წლის აგვისტოს ზ. ჩ.-სა საქმესა და 2020 წლის ნოემბერში ა. ტ.-ს საქმეებში, სადაც პოლიციის თანამშრომლების მხრიდან, სავარაუდოდ, ადგილი ჰქონდა მოწმის სტატუსის მქონე პირების მიმართ იძულების ფორმით თავისუფლების შეზღუდვას რამდენიმე საათის მანძილზე. საგულისხმოა, რომ ორივე შემთხვევაში, შსს-ს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112"-დან გამოთხოვილი ვიდეომასალა, რომელსაც შესაძლოა დაედასტურებინათ ზ.ჩ-ს და ა.ტ.-ს სავარაუდო განზრახ უკანონო დაკავების ფაქტები, ჩამწერი მოწყობილობის მყარ დისკზე არ მოიძებნა.

[113] ნ.თ-სა და ჯ.ს.-ს საქმეები.

მინდია ლავასოღლის (გორაძე) საქმე

სახალხო დამცველის აპარატი აგრძელებს მინდია ლავასოღლის საქმის შესწავლას. მას დაუსწრებლად მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა. 2018 წლის შემდეგ იგი თურქეთის რესპუბლიკაში საექსტრადიციო პატიმრობაში იყო, თუმცა დაუდგენელი მიზეზით არ ხდებოდა მისი საქართველოში ექსტრადირება.

სახალხო დამცველის აპარატს კომუნიკაცია ჰქონდა საქართველოს პროკურატურასთან, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და თურქეთის რესპუბლიკის ომბუდსმენთან. თურქეთის რესპუბლიკის ომბუდსმენის მიერ 2020 წლის 13 მარტს მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, თურქეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ყველა დოკუმენტს მსჯავრდებულის საქართველოში გადასაყვანად. თუმცა, საექსტრადიციო პატიმრობის ვადა ამოიწურა და 2020 წელს მინდია ლავასოღლი გააძევეს ბელარუსიის რესპუბლიკაში. მინდია ლავასოღლი ბელარუსიის რესპუბლიკაშიც დააკავეს საქართველოს პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე. ადვოკატის მიერ საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბელარუსიის რესპუბლიკაშიც ამოიწურა საექსტრადიციო პატიმრობის ვადა და 2021 წლის იანვარში იგი ამჯერად უკრაინაში გააძევეს.

პროკურატურიდან მიღებული უახლესი ინფორმაციის თანახმად, მოქალაქის ამჟამინდელი ადგილსამყოფელი უცნობია.[114] აპარატი აგრძელებს კომუნიკაციას პროკურატურასთან და მსჯავრდებულის ადვოკატებთან მოქალაქის ამჟამინდელი მდგომარეობის დადგენის მიზნით.

მნიშვნელოვანია სახელმწიფომ მიიღოს ყველა ზომა იმისთვის, რომ მინდია ლავასოღლის ექსტრადირების პროცედურები წარიმართოს იმგვარად, რომ იგი არ იყოს საექსტრადიციო პატიმრობაში არაგონივრული ხანგრძლივი ვადით საზღვარგარეთ ან/და პატიმრობის პირობებმა არ დაარღვიოს მისი უფლებები.

ივანე მერაბიშვილის საქმე

2020 წელს სახალხო დამცველის აპარატმა გააგრძელა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე 2018 წლის 12 ივლისს განახლებული გამოძიების მასალების გაცნობა, ივანე მერაბიშვილის საკნიდან გაყვანისას სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე.

აპარატის მიერ გამოძიების მასალების უშუალოდ გაცნობისა და შესწავლის შემდგომ, საქართველოს სახალხო დამცველმა 2020 წლის 24 იანვარს, 2020 წლის 11 აგვისტოს და 2021 წლის 1 თებერვალს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის წინაშე მორიგი კომუნიკაციები წარადგინა, სადაც საუბარია ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების

[114] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 27 იანვრის N13/3711 წერილი

აღსრულების მიზნით განხორციელებული ინდივიდუალური და სისტემური ღონისძიებების ეფექტიანობის შესახებ.

ინდივიდუალური ღონისძიების - ივანე მერაბიშვილის საკნიდან სავარაუდო გაყვანის გამოძიების - კუთხით, სახალხო დამცველმა ყველა კომუნიკაციაში მიუთითა, რომ გამოძიება მიმდინარეობს მნიშვნელოვანი შეფერხებებით, რის გამოც მინისტრთა კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაცია შესრულებულად ვერ ჩაითვლება.

სახალხო დამცველის ბოლო კომუნიკაციაში ასევე მითითებულია, რომ გამოძიების ფარგლებში, 2020 წლის 17 დეკემბერს ჩატარდა ექსპერიმენტი კ. თ.-ს მონაწილეობით, რომელიც ჯერ კიდევ 2016 წელს აცხადებდა, რომ საკუთარი საკნიდან დაინახა, თუ როგორ გაიყვანეს ივანე მერაბიშვილი მისი საკნიდან. კ. თ.-მ სასამართლოში მიცემული ჩვენების ფარგლებში დეტალურად აღწერა, თუ როგორ ახერხებდა საკნის კართან არსებული ღრიჭოს გამოყენებით დერეფანში მოსიარულე პირთა დანახვას. მან გამოთქვა თანხმობა საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილეობაზე და აღნიშნა, რომ 2016 წელს მიმდინარე გამოძიების ფარგლებშიც მზად იყო ამისთვის.

ჩატარებული ექსპერიმენტის ოქმში აღწერილია, რომ კ. თ.-მ აჩვენა საკნის კართან არსებული ღრიჭო. ექსპერიმენტის ფარგლებში, დერეფანში გაიარა მისთვის აბსოლუტურად უცნობმა პირმა, ხოლო კ. თ.-მ სწორად აღწერა მისი გარეგნობისა და ჩაცმულობის სხვადასხვა დეტალები - ჟაკეტი, თმა, სიმაღლე, დაახლოებითი ასაკი. საბოლოო ჯამში, მან ზუსტად ვერ ამოიცნო პირი, რომელმაც დერეფანში ჩაიარა, თუმცა აღნიშნა, რომ ეს პირი მისთვის უცნობი იყო და ამოცნობა ამიტომ გაუჭირდა, ხოლო ციხის მაშინდელ დირექტორს და ივანე მერაბიშვილს კარგად იცნობდა და მსგავსი ექსპერიმენტის ფარგლებში მათი ამოცნობა არ გაუჭირდებოდა. საბოლოო ჯამში, ექსპერიმენტმა დამატებით დაადასტურა ივანე მერაბიშვილის საკნიდან სავარაუდო გაყვანის ფაქტის სარწმუნოობა.

ასევე, მნიშვნელოვან პრობლემად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ივანე მერაბიშვილისთვის შესაბამისი სტატუსის (დაზარალებულის სტატუსი) მინიჭება არ მომხდარა და მის მიერ მოთხოვნილი სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებების (მათ შორის, ამოცნობის) ჩატარება კვლავ საგამოძიებო ორგანოს რეაგირების გარეშე რჩება.

აღსანიშნავია, რომ მერაბიშვილის საქმეზე 2021 წლის მარტში მიღებულ გადაწყვეტილებაში[115] მინისტრთა კომიტეტმა სახალხო დამცველის შეფასებები გაიზიარა. ინდივიდუალური ღონისძიებების ნაწილში კვლავ აღნიშნა, რომ რჩება კითხვები გამოძიების ეფექტიანობისა და დამოუკიდებლობის შესახებ.

[115] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 9-11 მარტის შეხვედრის გადაწყვეტილება. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3ty3lbS > [ბოლოს ნანახია 18.03.2021].

გიორგი უგულავას თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვა

2021 წლის 23 იანვარს მოქალაქე გიორგი უგულავას არ მიეცა შესაძლებლობა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გადაეკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი. საკითხის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიღებული არ ჰქონდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 9 მარტის საოქმო განჩინება გიორგი უგულავას მიმართ პასპორტისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ჩაბარების ვალდებულების გაუქმების შესახებ.

როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს წერილიდან იკვეთება, სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება რაიმე დოკუმენტი აღნიშნული განჩინების შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის მიწოდების შესახებ. სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2021 წლის 23 იანვარს ამ განჩინების შესახებ სამინისტროს აცნობა საქართველოს პროკურატურამ. რაკი თბილისის საქალაქო სასამართლომ საკუთარი კანონისმიერი ვალდებულება არ შეასრულა[116] და განჩინება დროულად, დაახლოებით 9 თვის განმავლობაში არ გადაუგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს, გიორგი უგულავას მიმართ დაირღვა გადაადგილების უფლება.

სამართლიანი სასამართლოს უფლება

2020 წელს კოვიდ პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სამართლიანი სასამართლოს უფლების განხორციელებაზეც. გარდა სასამართლო ადმინისტრირების პრობლემებისა და უშუალოდ პროცესის მიმდინარეობის სერიოზული ხარვეზებისა, რასაც სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში დაეთმო, გამოვლინდა სარჩელების განხილვისა და საჩივრების ზემდგომ ინსტანციაში გადაგზავნის სერიოზული გაჭიანურებები. მნიშვნელოვანი პრობლემები გამოიკვეთა უფლების შემადგენელ ცალკეულ კომპონენტებთან დაკავშირებით კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეებში რომელიც ქვემოთ იქნება განხილული. საბოლოოდ, პანდემიის პერიოდში კიდევ ერთხელ გამოჩნდა, თუ რამდენად ხარვეზიანი და უსამართლოა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის წესი.

გიორგი უგულავას საქმე

2020 წლის 10 თებერვალს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა პროკურატურის საკასაციო საჩივარი გიორგი უგულავასა და სხვათა ბრალდების საქმეზე, რის შემდეგაც მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი ქმედებები გადაკვალიფიცირდა და დამძიმდა მათთვის დანიშნული სასჯელები.[117]

---

[116] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, „აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ განჩინების 1 ეგზემპლარი რჩება სასამართლოში და თითო ეგზემპლარი გადაეცემა ბრალდებულს ან მის ადვოკატს, გამომძიებელს, პროკურორს, აღკვეთის ღონისძიების აღმასრულებელ დაწესებულებას."

[117] 2020 წლის 10 თებერვლის საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენი N57ა3.-19.

ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის განმხილველი პალატის შემადგენლობის ერთ-ერთი მოსამართლე იყო შალვა თადუმაძე. იგი მთავარი/გენერალური პროკურორი იყო 2018 წლის 16 ივლისიდან 2019 წლის 12 დეკემბრამდე,[118] ანუ იმ პერიოდში, როდესაც ამ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი პროკურატურამ საკასაციო წესით გაასაჩივრა.[119]

„პროკურატურის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, გენერალური პროკურორი ხელმძღვანელობს საქართველოს პროკურატურას,[120] რომლის საქმიანობა ცენტრალიზებულია და ეფუძნება ქვემდგომი პროკურორების დაქვემდებარებას გენერალური პროკურორისადმი.[121] თუკი იგი ჩათვლიდა, რომ ქვემდგომი პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ქმედების კვალიფიკაციასთან ან ბრალდების მხარდაჭერასთან დაკავშირებით უკანონო ან დაუსაბუთებელი იყო, მას შეეძლო აღნიშნული გადაწყვეტილების შეცვლა ან გაუქმება.[122]

შესაბამისად, მის მიერ მოსამართლის ფუნქციის შესრულება სამართლიანად იწვევს გარე ობიექტურ დამკვირვებელში მიკერძოებასთან დაკავშირებულ ეჭვებს.

მიხეილ თოდუას საქმე

მსჯავრდებულ მიხეილ თოდუას (სასცენო ფსევდონიმით „მიხაილო") 2019 წლის 11 ოქტომბერს დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალა შინაპატიმრობით და დაეკისრა საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულება 21:00 საათიდან 08:00 საათის ჩათვლით. პრობაციის ბიუროსთან დადებული ზეპირი შეთანხმებით, რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნებიდან გამომდინარე, მას უფლება ჰქონდა ღამის საათებში სამუშაოს შესასრულებლად დაეტოვებინა საცხოვრებელი ადგილი. შეთანხმების თანახმად, მას ეკისრებოდა ორი ვალდებულება - გასვლის წინ პრობაციის ოფიცრის შეტყობინება და სამუშაოს შესრულებიდან 2-3 დღის ფარგლებში პრობაციის ბიუროში სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა. მსჯავრდებულის ქცევის გადამოწმების მიზნით, გამოყენებულ იქნა სამუშაო ადგილზე პრობაციის ოფიცრის ვიზიტიც.

სწორედ აღნიშნული ნაბიჯები გადადგა მსჯავრდებულმა 2019 წლის დეკემბრის შემდგომ ყველა შემთხვევაში. რეჟიმის დარღვევა ყოველ ჯერზე საპატიოდ ითვლებოდა.[123] იგივე მოხდა 2020 წლის 13-14 და 17-18 ოქტომბერს - მსჯავრდებულმა ორივე შემთხვევაში

[118] 2018 წლის 16 ივლისის საქართველოს პარლამენტის დადგენილება N3142-რს.
[119] 2019 წლის 9 იანვარი.
[120] „პროკურატურის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხ. 15, პუნქტ. 1.
[121] „პროკურატურის შესახებ" საქართველოს კანონის, მუხ. 5 ქვეპუნქტ. „დ"; მუხ.9, პუნქტ. 1.
[122] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლი 33. ნაწ. 6, ქვეპუნქტ. „გ", „ვ", „ზ", „ი".
[123] თბილისის პრობაციის ბიუროს უფროსის N937 (30.12.2019), N45 (10.01.2020), N274 (05.02.2020), N-61 (12.02.2020 – 2 ეპიზოდი), N-70 (09.03.2020), N700 (23.03.2020), N1371 (20.07.2020 – 2 ეპიზოდი), N1464 (27.07.2020 – 2 ეპიზოდი), N1561 (31.07.2020 – 3 ეპიზოდი), N1676 (10.08.2020 – 3 ეპიზოდი), N1760 (14.08.2020 – 3 ეპიზოდი), N1897 (27.08.2020 – 3 ეპიზოდი), N2/05/62952 (04.09.2020 – 2 ეპიზოდი), N2/05/63526 (08.09.2020 – 4 ეპიზოდი), N2/05/64832 (14.09.2020 – 4 ეპიზოდი), N2372 (15.10.2020 – 4 ეპიზოდი) გადაწყვეტილებები.

გააფრთხილა ოფიცერი, რომ საცხოვრებელ ადგილს შეთანხმების შესაბამისად ტოვებდა, შემდეგ დღეს კი წარმოადგინა სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

თუმცა, 2020 წლის 13-14 და 17-18 ოქტომბრის შემთხვევები მას პრობაციის ბიურომ მოულოდნელად არასაპატიოდ ჩაუთვალა და მიმართა სასამართლოს მისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად. თბილისის საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა პრობაციის ეროვნული ბიუროს წარდგინება და 17 ოქტომბრის ეპიზოდის გამო მიხეილ თოდუას გაუზარდა საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულება 19:00 საათიდან დილის 08:00 საათის ჩათვლით.

როგორც პრობაციის სააგენტომ, ისე - საქალაქო სასამართლომ არ გაითვალისწინეს, რომ მიხეილ თოდუას ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ჰქონდა კანონიერი ნდობა. ის ეყრდნობოდა პრობაციის სააგენტოს ზეპირი ფორმით გაცემულ აღმჭურველ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც მას ნებართვას აძლევდა, დაეტოვებინა საცხოვრებელი სახლი.

კანონიერი ნდობის გაუქმების საფუძველი იქნებოდა მსჯავრდებულის მიერ საკუთარი მოვალეობების დარღვევა.[124] თუმცა, მსჯავრდებულმა ორივე შემთხვევაში შეასრულა მისთვის დაკისრებული ვალდებულებები. შესაბამისად, მას არ უნდა დაკისრებოდა რაიმე ტიპის სანქცია და მის მიერ პრობაციის სააგენტოსთან დადებული შეთანხმების საფუძველზე განხორციელებული ქმედებები უნდა ჩაითვალოს კანონშესაბამისად.

აღნიშნული შემთხვევის სწორ შეფასებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან სხვაგვარმა წაკითხვამ შეიძლება შექმნას სიტუაცია, როცა ვერცერთი მსჯავრდებული ვერ შეძლებს პრობაციის ოფიცრის მიერ ზეპირი ფორმით გაცემული ნებართვის საფუძველზე მისთვის აუცილებელი მოქმედების შესრულებას.

ნიკანორ მელიას სადეპუტატო მანდატის შეწყვეტის საქმე

სახალხო დამცველმა საკონსტიტუციო სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართა ნიკანორ მელიას სარჩელზე და განმარტა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში არასაპატიმრო სასჯელის გამოტანის აღსრულების საწყისი ეტაპი.[125] სასამართლო მეგობრის მოსაზრების თანახმად, რაკი განაჩენი აღსასრულებლად მიქცეული არ იყო, სასჯელი უნდა აღსრულებულიყო გასაჩივრების პროცედურების დასრულებისა და ბოლო ინსტანციის მიერ შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში ყურადღება გამახვილდა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაზეც, რომლის თანახმად, „ძალაში შესული განაჩენის" ცნებას ავტონომიური შინაარსი გააჩნია, ხოლო ხალხის მიერ არჩეული პარლამენტარის უფლებამოსილების შეწყვეტისას თანაზომიერების პრინციპის დაცვა აუცილებელია.

[124] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლის მეორე პუნქტის „გ" ქვეპუნქტი.
[125] იხ. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020021115155062435.pdf> [ბოლოს ნანახია 2020 წლის 12 თებერვალს].

მოსაზრების მიხედვით, იმ შემთხვევებში, როცა სასჯელის სახედ არასაპატიმრო სასჯელი ინიშნება, პარლამენტის წევრის უფლებამოსილება მხოლოდ გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობის, ან გასაჩივრების ვადის ამოწურვის შემდეგ უნდა შეწყდეს.

სამწუხაროდ, საკონსტიტუციო სასამართლომ სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება არ გაიზიარა[126]. სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა სახალხო დამცველის მიერ წარდგენილ მოსაზრებაში დაფიქსირებულ სისტემური განმარტებისა და ორკვალიანი სისტემის შესაძლებლობაზე.[127] თუმცა, სასამართლომ სამოტივაციო ნაწილში საერთოდ არ იმსჯელა აღნიშნული განმარტების თაობაზე და საპროცესო კოდექსის ანალიზის მიღმა, მხოლოდ რეპუტაციულ და მორალურ არგუმენტებზე მსჯელობით დაასკვნა, რომ დეპუტატის მიმართ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების აღსრულებისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა დანიშნული სასჯელის სახეს და იგი დაუყოვნებლივ უნდა აღსრულებულიყო.[128]

ე. თ.-ს საქმე

ბრალდებული ე. თ.-ს საქმეზე სასამართლოში დაიკითხა არასრულწლოვანი, რასაც კანონიერი წარმომადგენლის სახით დაესწრო არასრულწლოვნის დედა. დაცვის მხარეს სურდა არასრულწლოვნის დედის დაკითხვა მოწმის სახით, თუმცა ეს შეუძლებელი გახდა, რაკი იგი არასრულწლოვნის დაკითხვას წარმომადგენლის სახით ესწრებოდა.

არასრულწლოვნის დაკითხვამდე, დაცვის მხარემ იშუამდგომლა არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის სახით დედის ნაცვლად მამის ჩართვის თაობაზე. სასამართლომ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, რადგან მას არ გააჩნდა კანონიერი წარმომადგენლის შეცვლის უფლებამოსილება. კანონმდებლობა მსგავს შესაძლებლობას ითვალისწინებს მხოლოდ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესიდან და არა დაცვის მხარის დასაბუთებული შუამდგომლობიდან გამომდინარე.[129] ამდენად, დაცვის მხარეს შეეზღუდა კონკრეტული პირის მოწმის სახით დაკითხვის შესაძლებლობა, რადგან ეს უკანასკნელი დაესწრო არასრულწლოვანი დაზარალებულის მოწმის სახით დაკითხვას, როგორც მისი კანონიერი წარმომადგენელი.

არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვის დროს კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს კანონიერი წარმომადგენლის ჩანაცვლების შესაძლებლობას სხვა კანონიერი ან საპროცესო

---

[126] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის N3/2/1473 გადაწყვეტილება. <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=10128> გადაწყვეტილებას ერთვის 4 მოსამართლის განსხვავებული აზრი. <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=10143>

[127] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბერის 3/2/1473 გადაწყვეტილება საქმეზე ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, I-18.

[128] იქვე, II-32-35.

[129] არასრულწლოვანთან მართლმსაჯულების კოდექსის 23-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, საქმის სასამართლოში განხილვისას – მოსამართლე, ხოლო გამოძიების სტადიაზე – პროკურორი უფლებამოსილია, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, არასრულწლოვანი გამოსაკითხი პირის/მოწმის გამოკითხვას/დაკითხვას არ დაასწროს არასრულწლოვანი გამოსაკითხი პირის/მოწმის ის კანონიერი წარმომადგენელი, რომელიც იმავე საქმეში გამოსაკითხ პირად/მოწმედ მონაწილეობს.

წარმომადგენლით, თუკი დაცვის მხარე არსებული კანონიერი წარმომადგენლის მოწმის სახით დაკითხვას აპირებს და მისი ჩანაცვლება არ დააზიანებდა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.

ივერი მელაშვილის საქმე

სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის N8 დაწესებულებამ დაარღვია ბრალდებულ ივერი მელაშვილის კანონმდებლობით დაცული[130] უფლება ადვოკატთან კონფიდენციალურ კომუნიკაციაზე.[131]

აპარატის მიერ მოპოვებული მასალებით ცხადი გახდა, რომ 2020 წლის 30 დეკემბერს ივერი მელაშვილი N8 პენიტენციურ დაწესებულებაში, მინის გამყოფი ბარიერით, შეხვდა ადვოკატს, რომელთანაც განიხილავდა დაცვის სტრატეგიის საკითხებს. მან ადვოკატის მიერ მიწოდებულ რუკებზე გააკეთა კომენტარები მინაწერის სახით და ითხოვა მასალების ადვოკატისთვის გადაცემა. ადვოკატისთვის დოკუმენტაციის გადაცემის ნაცვლად, დაწესებულების თანამშრომლები შინაარსობრივად გაეცნენ კომენტარებს და მხოლოდ ამის შემდეგ შესთავაზეს ადვოკატს რუკების ჩაბარება.

ადვოკატთან კონფიდენციალური ურთიერთობა საქართველოს კანონმდებლობით დაცული უფლებაა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კი მას დაცვის ულებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების ჭრილში განიხილავს. სასამართლო ადვოკატისთვის გადასაცემი დოკუმენტაციის შინაარსობრივ გაცნობას მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში უშვებს, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ამ პრივილეგიით სარგებლობა ბოროტად, დანაშაულებრივი გზით, ან ციხის რეჟიმის საზიანოდ ხდება. მოცემულ შემთხვევაში კი არ არსებობდა მსგავსი ვარაუდის რაიმე საფუძველი. შესაბამისად, დაწესებულება ივერი მელაშვილის ჩანაწერებს შინაარსობრივად არ უნდა გაცნობოდა.

სააპელაციო საჩივრის გადაგზავნის გაჭიანურება

გორის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 28 დეკემბრის გამამტყუნებელი განაჩენი მსჯავრდებულ კ. თ.-ის მიმართ მსჯავრდებულის ადვოკატმა 2019 წლის 25 იანვარს გაასაჩივრა, 2019 წლის 01 აპრილს კი სააპელაციო საჩივარი დააზუსტა. კანონმდებლობის მოთხოვნის დაცვით, სააპელაციო საჩივარი ადვოკატმა შეიტანა განაჩენის გამომტან, გორის რაიონულ სასამართლოში, რომელსაც საჩივრის სააპელაციო სასამართლოში გადაგზავნა ევალებოდა.

გორის რაიონულმა სასამართლომ თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის მასალები მხოლოდ 2020 წლის ნოემბერში გადააგზავნა. სახალხო დამცველის აპარატისთვის

---

[130] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 31, პუნქ. 3, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხ. 6, პუნქ. 3, ქვეპ. C, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 38, ნაწ. 5, საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხ. 16, ნაწ. 6.

[131] იხ. < https://bit.ly/3ri2hrE >

წარმოდგენილ განმარტებაში სასამართლო უთითებს, რომ დაახლოებით 18-თვიანი დაგვიანების მიზეზი სხდომის ოქმის ელექტრონული ვერსიის ტექნიკური ხარვეზი გახდა.[132] კერძოდ, სასამართლოს ცნობით, საჭირო გახდა სხდომის ოქმების საერთო ბაზის რიგრიგობით შემოწმება, რათა კონკრეტული საქმის სხდომის ოქმები მოძებნილიყო.

სხდომის ოქმების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზი არ უნდა გახდეს სწრაფი მართლმსაჯულების გარანტიის ისეთი ინტენსიური შეზღუდვის საფუძველი, როგორც სააპელაციო სასამართლოში საქმის გადაგზავნის 18-თვიანი გაჭიანურებაა. როგორც სასამართლოს, ისე - საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს სწრაფი და კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადაედგათ, რათა მოძიებულიყო შესაბამისი რესურსები და ხარვეზი დროულად აღმოფხვრილიყო.

კიდევ ერთ მსგავს საქმეში მსჯავრდებული ი. გ.-ს მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში 2020 წლის 28 თებერვალს შეტანილი სააპელაციო საჩივრის და საქმის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გადაგზავნა დაგვიანდა კორონავირუსით გამოწვეული შეფერხებების გამო.[133] 2 თვეზე მეტი დროის გასვლის შემდეგ, 19 მაისის მდგომარეობით, სასამართლოში განსახილველად არ იყო შესული[134]. საქმე და საჩივარი გადაიგზავნა 30 ივნისის მდგომარეობით[135].

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განხილვის ხარვეზები

ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსისა და ამ კატეგორიის საქმეების განხილვის სერიოზულ ხარვეზებზე სახალხო დამცველი მრავალი წელია საუბრობს.[136] საანგარიშო პერიოდში აპარატის მიერ შესწავლილი ი. გ.-სა და შ. გ.-ს საქმეები ქართული ადმინისტრაციული სამართალწარმოებისთვის დამახასიათებელი ფუნდამენტური ხარვეზების ნათელი დადასტურებაა.

მოცემულ საქმეში თბილისის საქალაქო სასამართლომ პირები საკარანტინე ზონაში - სასტუმროს ოთახში ჩადენილი წვრილმანი ხულიგნობისთვის სამართალდამრღვევად ცნო მხოლოდ დაინტერესებული მხარის წარმომადგენლების - პოლიციელების განმარტებებისა და ამავე პოლიციელის მიერ შედგენილი ოქმების საფუძველზე.

წვრილმანი ხულიგნობისთვის აუცილებელია, რომ პირმა საზოგადოებრივ ადგილებში განახორციელოს ლანძღვა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება და სხვა ამგვარი ქმედება, რითიც უნდა დაირღვეს საზოგადოებრივი წესრიგი. მოცემულ საქმეში მოქალაქეებისა და პოლიციელების პოზიციები არსებითად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. სასამართლოში არ წარდგენილა ნეიტრალური მტკიცებულება, რომელიც მითითებული ქმედებების ჩადენას დაადასტურებდა.

---

[132] გორის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 31 დეკემბრის წერილი.
[133] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 03 ივნისის N10525 წერილი.
[134] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 19 მაისის N1/3078 წერილი.
[135] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 30 ივნისის N12060 წერილი.
[136] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 463–465.

სახალხო დამცველმა სააპელაციო სასამართლოს, სასამართლოს მეგობრის მოსაზრებებით მიმართა, რადგან მიიჩნია, რომ ნეიტრალური მტკიცებულებების გარეშე, მხოლოდ პოლიციელის ჩვენებაზე დაყრდნობით პირის პასუხისგებაში მიცემა ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას და იწვევს მტკიცების ტვირთის სახელმწიფოდან მოქალაქეზე გადასვლას, რაც უდანაშაულობის პრეზუმფციას არღვევს.

გიორგი რურუას საქმე

2020 წლის 13 აპრილს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, რათა დაწყებულიყო დისციპლინური წარმოება რიგ გამომძიებელთა მიმართ ბრალდებულ გიორგი რურუას უფლების შესაძლო დარღვევის ფაქტზე. კერძოდ, აპარატის მიერ მოპოვებული მასალებით ცალსახად დადგინდა, რომ 2020 წლის 3 იანვარს N8 პენიტენციურ დაწესებულებაში ჩატარდა საგამოძიებო მოქმედება (ამოღება) გიორგი რურუას მონაწილეობით, რომელსაც არ დაასწრეს ბრალდებულის ადვოკატი.

სამწუხაროდ, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დისციპლინური წარმოება არ დაწყებულა. ნიშანდობლივია, რომ დისციპლინური წარმოება დაუსაბუთებელი და ფორმალისტური საფუძვლებით არ იწყება. თვალსაჩინოებისთვის, წარმოგიდგენთ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურასთან წარმოებული კორესპონდენციის შინაარსს:

- სახალხო დამცველის წინადადება შსს გენერალური ინსპექციის 2020 წლის 16 აპრილის წერილით გადაიგზავნა თბილისის პროკურატურაში;
- თბილისის პროკურატურის 2020 წლის 15 მაისის წერილით სახალხო დამცველის წინადადება კვლავ დაუბრუნდა შსს გენერალურ ინსპექციას;
- შსს გენერალური ინსპექციის 2020 წლის 29 მაისის და 9 ივნისის წერილებით აპარატს ეცნობა, რომ სამსახურებრივი შემოწმება არ დაიწყო, რადგან გენერალური ინსპექცია საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დარღვევაზე მსჯელობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პროკურატურის შესაბამისი წარდგინება;
- აპარატმა 2020 წლის 17 სექტემბერს N15/9141 წერილით კვლავ მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას, რათა შესაბამისი წარდგინება გადაგზავნილიყო შსს გენერალურ ინსპექციაში;
- 2020 წლის 25 სექტემბრის წერილით პროკურატურამ აპარატს აცნობა, რომ გამომძიებლების კანონიერების შესწავლის მიზნით, შემდგომი რეაგირებისთვის, შსს გენერალურ ინსპექციაში 2020 წლის 25 სექტემბერს გადაიგზავნა შესაბამისი მიმართვა;
- შსს გენერალური ინსპექციის 2020 წლის 16 ნოემბრის წერილით აპარატს ეცნობა, რომ მოხდა გასაუბრება შესაბამის პირებთან, რომლებმაც განმარტეს, რომ გიორგი რურუასათვის სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ და საგამოძიებო

მოქმედების დროს გამოყენებულ იქნა პროპორციული ძალა. შედეგად, დისციპლინური გადაცდომის ფაქტი არ დადასტურდა;
- თუმცა, ამავე წერილის თანახმად, ადვოკატის დასწრების გარეშე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე გამომძიებლების ქმედებების კანონიერების შესწავლა გენერალური ინპექციის მხრიდან არ მომხდარა.

ამრიგად, რამდენიმე თვის განმავლობაში, პროკურატურისა და სახალხო დამცველის კორესპონდენციის მიუხედავად, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ არ შეისწავლა სამინისტროს იმ გამომძიებელთა ქმედებების კანონიერება, რომლებმაც 2020 წლის 3 იანვარს საგამოძიებო მოქმედებას არ დაასწრეს ბრალდებულის ადვოკატი.

ლაშა თორდიას საქმე

სახალხო დამცველის აპარატი 2017 წლიდან აკვირდება ყოფილ გენერალურ აუდიტორზე - ლაშა თორდიაზე - თავდასხმის ფაქტზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის მსვლელობას.[137] აპარატი აკვირდებოდა როგორც გამოძიების, ისე სასამართლო განხილვის ეტაპებს. საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში დასრულების შემდეგ კი, საქმის მასალები სრულად შეისწავლა.

შესწავლის შედეგებით დადგინდა, რომ ამ საქმეზე სახეზეა ქმედების კვალიფიკაციის პრობლემა. სისხლისსამართლებრივი დევნა 2 ბრალდებულის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის მსუბუქი ნაწილით მიმდინარეობდა. საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, ადგილი ჰქონდა ძალადობის ჩადენას ჯგუფურად (რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 126-ე მუხლის 1^1 ნაწილით), თუმცა გამოძიება მიმდინარეობდა და ორ პირს ბრალდება წარედგინა ამ მუხლის პირველი ნაწილით, რაც გულისხმობს დანაშაულის ჩადენას მხოლოდ ერთი ამსრულებლის მიერ.[138] ამ მოცემულობის გათვალისწინებით, საქმეზე ერთი პირის მ.ჩ.-ს მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო მეორე ბრალდებული, ყოფილი გენერალური პროკურორი ოთარ ფარცხალაძე გამართლდა.

ნიშანდობლივია, რომ ორი ან მეტი პირის მხრიდან დანაშაულში თანაამსრულებლობა არ გულისხმობს იმას, რომ თითოეულმა პირმა იდენტური ქმედება ჩაიდინოს. საკმარისია, რომ პირმა სხვასთან ერთად უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში და თუნდაც, დაეხმაროს მეორე პირს მსხვერპლის უმწეო მდგომარეობაში ჩაგდებაში ან შეუმციროს წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობა, რაც მოცემულ შემთხვევაში, სახეზე იყო ოთარ ფარცხალაძის მხრიდან მ.ჩ.-სთან ერთად.

---

[137] საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 84, ასევე, საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 149.

[138] 2017 წლის 13 მაისს მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1^1 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტი ითვალისწინებდა ცემის ან სხვაგვარი ძალადობის ჩადენას ჯგუფურად და მაქსიმალური სასჯელის სახით ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე ვადით.

სახალხო დამცველის შეფასებით, აღნიშნულ საქმეზე ფაქტობრივი გარემოებებისგან შეუსაბამოდ, ხელოვნურად მოხდა იმგვარი ბრალის წარდგენა, რაც გამამტყუნებელი განაჩენის დადგომის ალბათობას შეამცირებდა.

გარდა ამისა, ამ საქმეში გამოვლინდა გამოძიების გაჭიანურება. გამოძიების ერთ-ერთი შემაფერხებელი გარემოება იყო ის, რომ ვიდეოჩანაწერებზე დანიშნული (ფონო) ვიდეოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემა 1 წლითა და 5 თვის ვადით გაჭიანურდა. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ექსპერტიზა 2017 წლის 8 ივნისს დაინიშნა, ხოლო დასკვნა 2018 წლის 5 ნოემბერს გაიცა. ამ პერიოდში, გამოძიება, შეიძლება ითქვას, შეჩერებული იყო ექსპერტიზის დასკვნის მოლოდინში და, ფაქტობრივად, არცერთი საგამოძიებო ღონისძიება არ ჩატარებულა.

ამასთან, 1 წლითა და 5 თვის ვადით გაჭიანურდა თავად ლაშა თორდიას დაზარალებულად ცნობა. მიუხედავად იმისა, რომ მის სხეულზე არსებული დაზიანებების შესახებ სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა გამოძიებას მიღებული ჰქონდა 2017 წლის 5 ივნისს, დაზარალებულის სტატუსი მას მხოლოდ 2018 წლის 5 ნოემბერს მიენიჭა.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება

პანდემიის პირობებში, როცა მსჯავრდებულებს, ფაქტობრივად, მთელი წლის განმავლობაში ჰქონდათ შეზღუდული ხანმოკლე პაემნის უფლებით სარგებლობა, ოჯახის წევრებთან კონტაქტის დამყარების სხვა არხების შეზღუდვამ დამატებითი დატვირთვა შეიძინა. გარდა ამისა, დაფიქსირდა სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და იუსტიციის სამინისტროს მიერ პატიმრობასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაციის გასაჯაროების შემთხვევები, რაც წინა წლების სამწუხარო პრაქტიკის გაგრძელებაა.

სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება

სახალხო დამცველის აპარატი წლების განმავლობაში ითხოვს პოლიტიკური პარტიების წევრთა კონფიდენციალური საუბრებისა და ჩანაწერების გასაჯაროების საქმეების გამოძიებას,[139] რომლის კიდევ ერთი სავარაუდო შემთხვევა დაფიქსირდა 2020 წელს.

2020 წლის 29 ოქტომბერს, პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების" ოფისში გამართულ ბრიფინგზე ირაკლი კობახიძემ „TV პირველის" ჟურნალისტ ნატო გოგელიასა და პოლიტიკური პარტია „ნაციონალური მოძრაობის" ოზურგეთის ორგანიზაციის წარმომადგენელ ბესო ქათამაძეს შორის შემდგარი საუბრის შინაარსი გაასაჯაროვა. აღნიშნულმა პირებმა განმარტეს, რომ მათ სატელეფონო საუბარს მოწმე არ ჰყოლია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანახმად, ტელეკომპანია „TV პირველის" ჟურნალისტისა და ოპოზიციის წარმომადგენლის საუბრის უკანონო მიყურადების ფაქტებთან დაკავშირებით

[139] საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 118-119.

დაწყებული გამოძიების შესახებ ინფორმაცია მოძიებული ვერ იქნა.[140] აპარატმა ხელმეორედ გამოითხოვა ინფორმაცია შსს-დან იმის შესახებ, ნიშნავდა თუ არა ეს იმას, რომ გამოძიება არ დაწყებულა, თუმცა უწყებისგან მიღებული პასუხი წინა წერილის იდენტური იყო,[141] რაც სავარაუდოდ იმას ნიშნავს, რომ გამოძიება მოცემულ ფაქტზე არ დაწყებულა.

ხანგრძლივი პაემნის დაუსაბუთებელი შეზღუდვა

N18 სამკურნალო დაწესებულების დებულება არ ითვალისწინებს ხანგრძლივი პაემნის უფლებით სარგებლობას. ამის გამო, ის პატიმრები, ვინც სასჯელის მოხდის მთელი პერიოდის განმავლობაში ამ დაწესებულებაში იმყოფებიან, ხანგრძლივი პაემნით ვერ სარგებლობენ.

გასულ წლებში მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატმა რამდენჯერმე შეიმუშავა ზოგადი სახის რეკომენდაცია ამ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა აღნიშნული რეკომენდაციები არ შესრულებულა, პატიმრების ინდივიდუალური განცხადებები კი ბლანკეტურად არ კმაყოფილდებოდა.

მიმდინარე წელს სახალხო დამცველმა იუსტიციის მინისტრს მსჯავრდებულ დ.ა.-სთვის ხანგრძლივი პაემნის უფლებით სარგებლობის თაობაზე წინადადებით მიმართა.[142] აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა იძლევა საშუალებას, რომ მან ისარგებლოს N18 დაწესებულების მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული შესაბამისი ინფრასტრუქტურით აღჭურვილი ოთახით. თუმცა, სამწუხაროდ, სახალხო დამცველის რეკომენდაცია არც აღნიშნულ შემთხვევაში არ შესრულებულა.

მსჯავრდებულთა კომუნიკაცია ოჯახის წევრებთან

წინა წლის მსგავსად,[143] პრობლემად რჩება მსჯავრდებულთა განთავსება მათი ოჯახის წევრების და ახლო ნათესავების საცხოვრებელი ადგილიდან შორს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებებში. ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში, სადაც მსჯავრდებულებს გარესამყაროსთან კომუნიკაციის მინიმალური შესაძლებლობა აქვთ.

მაგალითისთვის, მსჯავრდებული კ. რ. 2018 წლის ოქტომბრის თვიდან არის განთავსებული N3 დაწესებულებაში და ამ პერიოდში პაემანის უფლებით არ უსარგებლია. საქართველოს სახალხო დამცველმა 2020 წლის 30 აპრილს წინადადებით მიმართა იუსტიციის მინისტრს,

---

[140] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2020 წლის 23 დეკემბრის N MIA32002979027 წერილი.
[141] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 26 იანვრის N MIA82100175188 წერილი.
[142] 2020 წლის 27 მარტის N15-9/3582 რეკომენდაცია იუსტიციის მინისტრს. N18 მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულების ხანგრძლივი მოვლის საჭიროების მქონე მსჯავრდებულთათვის ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლების მინიჭებასთან და მსჯავრდებულ დ.ა..-სთვის ხანგრძლივი პაემნის უფლებით სარგებლობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.
[143] სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2019 წლის ანგარიში, გვ. 33-34.

რათა იგი აღმოსავლეთ საქართველოში, ოჯახის წევრების საცხოვრებელთან ახლოს მდებარე დაწესებულებაში გადაყვანილიყო.[144]

მიუხედავად იმისა, რომ N6 და N7 პენიტენციურ დაწესებულებებს, ლიმიტის გათვალისწინებით, შეეძლოთ მსჯავრდებულის მიღება,[145] სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურმა სამსახურმა უარი განაცხადა პატიმრის ეტაპირებაზე, მსჯავრდებულის საშიშროების რისკზე ზოგადი მითითებით.

მსჯავრდებულთა კორესპონდენციის გაგზავნის პრობლემები

საგულისხმოა, რომ საანგარიშო პერიოდში არაერთმა მსჯავრდებულმა მიმართა სახალხო დამცველის აპარატს მათ მიერ გაგზავნილი კორესპონდენციის ადრესატისთვის გვიან ჩაბარების, გზავნილის ადრესატისთვის ჩაბარების დასტურის ელექტრონულად გვიან ასახვისა თუ წერილის ადრესატისთვის ჩაუბარებლობის შესახებ საჩივრით.

განსაკუთრებით უნდა გამოიყოს N3 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებული თ. შ.-ს შემთხვევა. მას სურდა დისციპლინური სახდელის დაკისრების სასამართლოში გასაჩივრება, თუმცა ეს ვერ შეძლო, რადგან მის მიერ 2020 წლის 5 ნოემბერს გაგზავნილი ადმინისტრაციული წარმოების მასალები ადვოკატს ჩაბარდა 2020 წლის 28 ნოემბერს, დაახლოებით 23 დღის დაგვიანებით.[146] ამ დროისთვის კი განკარგულების სასამართლოში გასაჩივრების ვადა გასული იყო. შესაბამისად, კორესპონდენციასთან დაკავშირებული პრობლემები ნეგატიურად აისახება სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობაზეც.

ასევე, იყო შემთხვევა, როცა აპარატის მიმართვის[147] საფუძველზე მონიტორინგის დეპარტამენტში ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებით დადასტურდა მსჯავრდებულ ნ.ბ.-ს მიმოწერის უფლების დარღვევა. მსჯავრდებულის განცხადება/საჩივრის არგაგზავნაში გამოიკვეთა N8 პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელის ბრალეულობა.[148]

პატიმრობასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაციის გასაჯაროება

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ თავის ოფიციალურ Facebook გვერდზე გაავრცელა ყოფილი მსჯავრდებული ა. ს.-ს მიერ გაკეთებული განცხადებების საპასუხო განცხადება. იუსტიციის სამინისტროს განცხადება შეიცავდა ა. ს.-ს ნასამართლობასთან დაკავშირებული განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს. საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად

---

[144] სახალხო დამცველის 2020 წლის 30 აპრილის წინადადება N15-15/4503.

[145] N6 პენიტენციური დაწესებულების 2020 წლის 31 მარტის N88941/23 და N7 პენიტენციური დაწესებულების 2020 წლის 30 მარტის N87890/24 წერილები.

[146] N3 პენიტენციური დაწესებულების 2020 წლის 4 იანვრის N1136/21 პასუხი.

[147] სახალხო დამცველის აპარატის 2020 წლის 30 აპრილის N15-5/4551 და N15-5/4548 წერილები.

[148]სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 2021 წლის 08 იანვრის N3465/01 წერილი.

დადგინდა, რომ სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გაამჟღავნა ა. ს.-ს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები.

შესაბამისად, სპეციალური პენიტენციური სამსახური ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და დაეკისრა ადმინისტრაციული სახდელი. ამასთან, ამავე გადაწყვეტილების თანახმად, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს დაევალა სოციალური ქსელის ოფიციალურ გვერდსა და ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ა. ს.-ს უკანონოდ გასაჯაროებული განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა წაშლა ან დეპერსონალიზაცია.

ელექტრონული მოწყობილობების ამოღება და ინფორმაციის გამოთხოვა

მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, აპარატი საგამონაკლისო წესით გაეცნო თამარ ბაჩალიაშვილის გარდაცვალებისა და გიორგი შაქარაშვილის მკვლელობის ფაქტებზე მიმდინარე გამოძიების მასალებს. ამ საქმეთა და მოქალაქე გ. ლ.-ის განცხადების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ ელექტრონული მოწყობილობების ამოღება და მათგან ინფორმაციის გამოთხოვა ხდება არა მხოლოდ საქმესთან რაიმე ფორმით შემხებლობაში არსებული პირებისგან, არამედ ნებისმიერი პირისგან, რომელსაც რაიმე, თუნდაც უმცირესი კვეთა გააჩნია მომხდარ სავარაუდო დანაშაულთან დაკავშირებით. პროკურატურა ასეთ შემთხვევებში კმაყოფილდება აბსტრაქტული კავშირის ჩვენებით, ხოლო სასამართლო გასცემს ნებართვას ყველა შემთხვევაში, თუკი პირი რაიმე ფორმით მაინც არის ხსენებული საქმის მასალებში.

მაგალითისთვის, ტელეფონის ამოღება შესაძლოა მოხდეს იმ ადამიანებისგან, რომლებიც საერთოდ არ იცნობენ საქმის რომელიმე ფიგურანტს, მაგრამ ავტომაგისტრალზე გაიარეს გამოძიებისთვის საინტერესო დროს; ანდა პირებისგან, რომლებზეც არსებობს მხოლოდ ოპერატიული, გადაუმოწმებელი ინფორმაცია, რომ შესაძლოა კონკრეტულ მდინარეში ეთევზავა გამოძიებისთვის საინტერესო კვირაში (რასაც გამოკითხვის დროს პირი არ ადასტურებს და უთითებს, რომ სხვა საქმით იყო დაკავებული); ანდა პირს, რომელსაც არანაირი ინფორმაცია არ გააჩნია საქმეზე, მაგრამ ერთ-ერთ მოწმეს საკუთარი ავტომანქანით მიაკითხა პოლიციის განყოფილებაში, იქიდან წამოსაყვანად; ანდა პირს, რომელიც საქმის არც ერთ მთავარ ფიგურანტს არ იცნობს, მაგრამ მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს ერთ-ერთ პირთან, ვინც აცხადებს, რომ შესაძლოა საქმესთან დაკავშირებით რამე ინფორმაციას ფლობდეს.

ყველა მსგავს შემთხვევაში, როგორც შუამდგომლობის, ისე - განჩინების ტექსტიდან რთულია მიხვედრა, თუ რა საჭიროებას წარმოადგენდა ამ ადამიანების ელექტრონული მოწყობილობების ამოღება ან მათგან ინფორმაციის გამოთხოვა. სისხლის სამართლის საქმესთან ამ პირების კავშირი მხოლოდ მინიმალურ დონეს თუ დააკმაყოფილებს.

სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში, პირადი ცხოვრებისა და სივრცის პატივისცემის უფლების სათანადო დაცვის გარანტიების შექმნისათვის, აუცილებელია, სასამართლოს მიდგომები პასუხობდეს საზოგადოებისა და ტექნოლოგიების თანამედროვე განვითარების დონეს და არსებულ გამოწვევებს. პირადი ცხოვრების ძირითადი უფლების

დაცვის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, სასამართლოებმა სათანადო ყურადღება გაამახვილონ გარემოებებზე, რომლებიც ელექტრონულ მოწყობილობებს და მათში მოთავსებულ ელექტრონულ მონაცემებს განასხვავებს სხვა ნებისმიერი საგნისგან.

შესაბამისად, ასეთ ინფორმაციაზე წვდომის მაღალი დამაზიანებელი პოტენციალის გათვალისწინებით, სასამართლოს მიერ დამკვიდრებული უნდა იქნეს ისეთი პრაქტიკა და მიდგომები, რომლებიც გამორიცხავს ან მინიმუმამდე დაიყვანს თვითნებობის შესაძლებლობას.

საკუთრების უფლება

ნივთიერი მტკიცებულების დაუბრუნებლობა

დეპარტამენტმა შეისწავლა მოქალაქე ო. მ.-ს განცხადება, რომელიც პროკურატურის მიერ მისი საკუთრების უფლებაზე დავობდა. საქმის მასალების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ მისი კუთვნილი ავტომანქანა პროკურატურამ გამოძიების ფარგლებში ამოიღო. 2014 წლის 13 მარტს საქმეზე გამოძიება შეწყდა, თუმცა განმცხადებელს ავტომანქანა არ დაუბრუნდა, სანამ ნივთიერი მტკიცებულების თაობაზე დავა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით არ გადაწყდებოდა. ამასთან, საგულისხმოა, რომ ბოლნისის რაიონული სასამართლოს თანახმად[149], განმცხადებლის მონაწილეობით სასამართლოში 2014-2020 წლებში სამოქალაქო დავა არ წარმოებდა.

სახალხო დამცველმა მოცემულ საქმეზე პროკურატურას წინადადებით მიმართა და განმარტა, რომ განმცხადებელს საკუთრება უნდა დაბრუნებოდა, რადგან არც გამოძიების შეწყვეტის დროს და არც შემდეგ სამოქალაქო-სამართლებრივი წესით დავა არ მიმდინარეობდა.[150]

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ გაიზიარა სახალხო დამცველის წინადადება და განმცხადებელს შესთავაზა ჩაებარებინა ავტომანქანა.[151] თუმცა, მოქალაქის განმარტებით, მისი ავტომანქანა იყო გაძარცვული; ასევე საგამოძიებო ორგანოს მიერ არ გადაეცა ავტომანქანის ტექნიკური პასპორტი და გასაღები.[152] საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, ამ ფაქტებთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო.[153]

ჩხრეკის განჩინების ხარვეზები

2020 წლის 17 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ გასცა ნებართვა საგამოძიებო მოქმედების - ჩხრეკის ჩატარებაზე.[154] მოსამართლემ განჩინებაში არ მიუთითა, თუ რა

[149] ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 8 აპრილის N70 წერილი
[150] 2020 წლის 28 მაისის საქართველოს სახალხო დამცველის N15-2/5303 წინადადება.
[151] 2020 წლის 24 ივნისის საქართველოს გენერალური პროკურატურის N13/34084 წერილი.
[152] 2020 წლის 22 ივნისის N6739/20 განცხადება.
[153] 2020 წლის 15 ივლისის საქართველოს გენერალური პროკურატურის N13/39169 წერილი.
[154] 2020 წლის 17 დეკემბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება N11ბ/19835.

საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის მოსაძებნად და ამოსაღებად გაიცა განჩინება.

ჩხრეკის ფარგლებში ამოსაღები ყველა საგნის, დოკუმენტის, ან/და ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის ზუსტად განსაზღვრა წინასწარ შეუძლებელია, თუმცა კანონმდებლობა ცალსახად მოითხოვს მინიმალურ მითითებას მაინც იმის შესახებ, თუ რა აინტერესებს გამოძიებას.[155] განჩინებაში მსგავსი მითითების არარსებობა, პირველ რიგში, გამორიცხავს მოქალაქის შესაძლებლობას, ჩხრეკის გარეშე, ნებაყოფლობით გადასცეს გამოძიებას შესაბამისი ნივთი, მეორე მხრივ კი, აჩენს თვითნებობის მაღალ რისკს ჩხრეკის ჩამტარებელი პირების მხრიდან.

თვითნებობის რისკებს უფრო მეტად ზრდის ის გარემოებაც, რომ თუ მოსამართლე ჩხრეკის განჩინებაში არ მიუთითებს, თუ რა დოკუმენტი ექვემდებარება მოძებნას და ამოღებას, მაშინ გამოძიებას შეუზღუდავი სივრცე ექმნება იმისთვის, რომ ამოიღოს ნებისმიერი ნივთი/დოკუმენტაცია იმ საბაბით, რომ ეს წარმოადგენდა 'ინფორმაციის შემცველი სხვა დოკუმენტაციის' ამოღებას, რომელიც განსხვავებულ სისხლისსამართლებრივ რეჟიმს ექვემდებარება.

ექსპერტიზის გაჭიანურება

აპარატი სწავლობს ა. ბ.–სა და შ. ბ.–ის ადვოკატის განცხადებას, რომლის მიხედვით, მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, 2020 წლის მარტში ამოღებულ იქნა შპს „X"–ისა და ა. ბ.–სა და შ. ბ.–ის კუთვნილი კომპიუტერული ტექნიკა. საქმე შეეხება 2020 წლის 16 მარტს პირის მიერ 6 ტექსტური სმს შეტყობინების გაგზავნას სამსახურებრივი კომპიუტერისა და სერვერის გამოყენებით, რომელიც ცრუ ინფორმაციას შეიცავდა ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ. კომპიუტერულ ტექნიკაზე დანიშნული ექსპერტიზა 2021 წლის მარტის მდგომარეობით მიმდინარეობს და არ დასრულებულა.

აპარატი რეგულარულად აკვირდებოდა საქმის ფარგლებში დანიშნული ექსპერტიზის მიმდინარეობის საკითხს. ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მოწოდებული ინფორმაციით, 2020 წლის 26 მარტს დაინიშნა ორი საინფორმაციო–ტექნოლოგიური ექსპერტიზა, ზემოხსენებული კომპანიისა და თანამშრომლებისგან ამოღებულ 89 ერთეულ კომპიუტერულ ტექნიკაზე. 2020 წლის 30 დეკემბრის ინფორმაციით, ექსპერტიზა ძირითად ნაწილში კვლავ წარმოების პროცესშია და ამოღებულ 73 ერთეულ ტექნიკაზე კვლავ არ არის დასრულებული საექსპერტო გამოკვლევა. ამასთან, კვლავ შეუძლებელია ექსპერტიზის დასრულების მიახლოებითი თარიღის განსაზღვრა.

გამოსაკვლევი ობიექტების რაოდენობისა და მოცულობის მიუხედავად, შეუძლებელია, რომ საკუთრების უფლების ამგვარი ხანგრძლივი შეზღუდვა გამართლებულად ჩაითვალოს. გასათვალისწინებელია, რომ საწარმოს ჩამორთმეული აქვს საკუთრებაში

[155] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

არსებული თითქმის მთლიანი კომპიუტერული ტექნიკა, რაც, ბუნებრივია, შეუძლებელს ხდის კომპანიის ნორმალურ ფუნქციონირებას.

აღსანიშნავია, რომ საკუთრების ძირითადი უფლების დარღვევა არ გულისხმობს მხოლოდ საკუთრების უფლების პირდაპირ, უშუალო ჩამორთმევას. პირის საკუთრებაში არსებულ ნივთსა თუ ქონებაზე წვდომის, მისით სარგებლობისა და განკარგვის რეალური შესაძლებლობის ხანგრძლივი ჩამორთმევა, მით უმეტეს, ამ შესაძლებლობის აღდგენის სავარაუდო თარიღის განსაზღვრის შეუძლებლობის პირობებში, უტოლდება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული საკუთრების ძირითადი უფლების დარღვევას.

სპეციალური ანგარიშები

საანგარიშო პერიოდში აპარატმა კვლავ აქტიურად გააგრძელა კონკრეტული სისტემური საკითხების ანალიზი, რის საფუძველზეც მოამზადა და გამოაქვეყნა სამი სპეციალური ანგარიში:

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში არასრულწლოვან ბრალდებულთა, მოწმეთა და დაზარალებულთა საპროცესო უფლებების დაცვა[156]

კვლევა ჩატარდა სახალხო დამცველის აპარატსა და ააიპ „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის" მიერ, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე. კვლევის ფარგლებში განხორციელდა თბილისის, ქუთაისისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოების მონიტორინგი.

კვლევის მიმდინარეობისას გამოვლინდა, რომ მიუხედავად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გარკვეული პოზიტიური ცვლილებების შემოტანისა, კვლავ რჩება სხვადასხვა გამოწვევები. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე მოსამართლემ, პროკურორმა თუ ადვოკატმა განსაკუთრებულად პოზიტიურად გამოავლინეს პროფესიული უნარ-ჩვევები, ისინი მაქსიმალურად ცდილობდნენ ბავშვი პროცესის მთავარი მოქმედი სუბიექტი ყოფილიყო, ეკონტაქტათ ბავშვთან მისთვის გასაგები ენითა და ფორმით, მოესმინათ მისთვის, სამწუხაროდ, მსგავსად პოზიტიურად ხშირ შემთხვევაში ვერ შეფასდებოდა ყველა სასამართლო განხილვა.

პრობლემური იყო ის გარემოც, სადაც ბავშვის მონაწილეობით მიმდინარეობდა სასამართლო განხილვები. სასამართლო ინფრასტრუქტურა ძირითად შემთხვევებში ვერ პასუხობდა სტანდარტებს. ამ მიმართულებით გაცილებით პოზიტიური ვითარება გვხვდება რუსთავის საქალაქო სასამართლოში.

ძირითადი გამოწვევები, რაც მონიტორინგმა გამოავლინა იყო შემდეგი: კანონიერი/საპროცესო წარმომადგენლის მონაწილეობა სასამართლო განხილვის ეტაპზე ნომინალურია; ბავშვი ძირითად შემთხვევებში ვერ გრძნობს კანონიერი/საპროცესო წარმომადგენლის მხარდაჭერას და ვერ ამყარებს მასთან კომუნიკაციას; პროცესში

[156] იხ. < https://cutt.ly/bkHFzt8 > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 12 თებერვალს].

მონაწილე პირები, გავლილი სპეციალიზაციის კურსის მიუხედავად, რიგ შემთხვევებში, არ ფლობენ საკმარის უნარებს და არ აქვთ სრულყოფილი კვალიფიკაცია; პროცესში მონაწილე პირების სპეციალიზაციის შემოწმების მიზნით არ არსებობს ეფექტიანი მექანიზმი; არ არსებობდა უწყება, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა ფსიქოლოგებისა და საპროცესო წარმომადგენლების (როგორც წესი, სოციალური მუშაკების)[157] გადამზადებაზე (სპეციალიზაციაში); თარჯიმნები ყოველთვის სრულყოფილად და სინქრონულად არ ახდენენ თარგმანს; ფსიქოლოგების ჩართულობის მაჩვენებელი/სიხშირე ძალიან დაბალია; მართლმსაჯულება ყოველთვის არ ხორციელდება ბავშვისთვის გასაგები ენითა და ფორმით; სასამართლო განხილვის პროცესში ბავშვის მონაწილოების უზრუნველსაყოფის მიზნით, მოსამართლის პროაქტიულობის დონე, რიგ შემთხვევებში, დაბალია; მოსამართლეების, ადვოკატების და პროკურორების ქმედებები ყოველთვის არ შეესაბამება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს; საერთაშორისო პრინციპების ცოდნისა თუ გამოყენების, დასაბუთების ხარისხი პროცესის მონაწილე პირების მხრიდან არ არის დამაკმაყოფილებელი; არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის დაკითხვის პროცესი მნიშვნელოვანი ხარვეზებით ხასიათდება; ხშირია სასამართლო სხდომების გადადების თუ დაგვიანების ფაქტები; ხშირ შემთხვევაში, არ არის დაცული ბავშვის პერსონალური ინფორმაცია/კონფიდენციალურობის პრინციპი; სასამართლოებში არ არის შექმნილი ბავშვზე მორგებული გარემო;[158] სხდომათა დარბაზები რიტუალურია და ბავშვისთვის დამთრგუნველი; სასამართლო ინფრასტრუქტურა სრულად არ არის შშმ ბავშვებზე ადაპტირებული; ბავშვებისთვის არ არის ცალკე მოსაცდელი სივრცე; აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაშეფარდებული არასრულწლოვნები არ იმყოფებიან სტანდარტების დაცვით მოწყობილ ოთახებში.

20-21 ივნისის მოვლენების გამოძიების შუალედური ანგარიში[159]

გამოძიების მასალების შესწავლის საფუძველზე, სახალხო დამცველმა 2020 წელს გამოაქვეყნა 20-21 ივნისის მოვლენების გამოძიების შუალედური ანგარიში.

ანგარიშის თანახმად, გამოძიება ორიენტირებულია მხოლოდ ინდივიდუალურ სამართალდამცავთა დანაშაულებრივი მოქმედებების იდენტიფიცირებაზე და მათი ინდივიდუალური როლის შეფასებაზე. იგი არ არის მიმართული 20-21 ივნისის ღამის მოვლენების სრულ სისტემურ სამართლებრივ ანალიზზე და შესაბამისად, ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობის ფარგლების დადგენაზე.

უშუალოდ საგამოძიებო მოქმედების ხარვეზებიდან უნდა აღინიშნოს, რომ გამოძიება არ არის კრიტიკული სამინისტროს ხელმძღვანელი პირების გამოკითხვისას; არ არის დათვალიერებული გამოთხოვილი ვიდეო ჩანაწერების დიდი ნაწილი (გარდა ცალკეული

---

[157] ამჟამად სოციალური მუშაკების გადამზადებაზე პასუხისმგებელი უწყება არის საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, იხ. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N668 დადგენილება, მუხ. 3, ნაწ. 3, ქვეპ. „გ".

[158] რუსთავის საქალაქო სასამართლოში ამ მიმართულებით არის გაცილებით პოზიტიური ვითარება.

[159] იხ. < https://cutt.ly/hkHFnQt > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 12 თებერვალს].

ეპიზოდებისა); არ არის მოპოვებული სამინისტროს საშუალო რგოლის თანამდებობის პირების რაციის ჩანაწერები; არ არის დანიშნული და ჩატარებული სამინისტროს ხელმძღვანელი პირების რაციების ჩანაწერების ექსპერტიზა; არ არის მოპოვებული სამინისტროს ხელმძღვანელი პირების, მეთოფეების სატელეფონო კომუნიკაციის ამსახველი ინფორმაცია.

შესაბამისად, სახალხო დამცველმა ექვსჯერ მიმართა გენერალურ პროკურატურას. წინადადებებით (რომლებიც რამდენიმე მოქმედების ჩატარების თაობაზე მოიცავდა ხოლმე რეკომენდაციას) სახალხო დამცველმა მოითხოვა 21 კონკრეტული ქმედების განხორციელება. აქედან 20 მოთხოვნა მიემართებოდა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას და დამატებით ერთი - სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას. წინადადებების შესრულების მდგომარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში.[160]

ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ დეპარტამენტის წარმომადგენლები რამდენჯერმე კვლავ იმყოფებოდნენ პროკურატურაში საქმის მასალების გაცნობის მიზნით.[161]

გამოძიების მიმდინარეობაზე პროკურატურის მიერ ბოლოს მოწოდებული ინფორმაციით[162] ირკვევა, რომ გამოძიებას ახალი ხელშესახები შედეგი კვლავ არ აქვს და არც ერთი დამატებითი პირი, მათ შორის, ჟურნალისტები, არ არის ცნობილი დაზარალებულად ან/და ბრალდებულად.

დისტანციური წესით გამართულ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო სხდომების მონიტორინგის ანგარიში[163]

პანდემიის პირობებში, 2020 წლის 22 მაისს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, საქართველოს საერთო სასამართლოებს მიენიჭათ უფლებამოსილება, სასამართლო სხდომები დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩაეტარებინათ. დისტანციური წესით ჩატარებული სასამართლო სხდომები და ელექტრონული მართლმსაჯულება სახალხო დამცველის განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა.

18 მაისიდან 22 ივნისის ჩათვლით, სახალხო დამცველის რწმუნებულები 21 რაიონულ და საქალაქო სასამართლოში დისტანციური წესით გამართულ 279 სხდომას დაესწრნენ. მონიტორინგი განხორციელდა სპეციალურად შემუშავებული მეთოდოლოგიისა და შესაბამისი კითხვარების მეშვეობით, რომელიც სახალხო დამცველის ანგარიშთან ერთად გამოქვეყნდა. განხორცილებულმა მონიტორინგმა წარმოაჩინა არაერთი არსებითი ხასიათის პრობლემა, რომელიც დისტანციურ სხდომებს თან სდევდა.

---

[160] იქვე, გვ. 40-44.
[161] 2020 წლის 10 და 26 ივნისს, 07 და 23 ივლისს, 10 და 21 აგვისტოს, 4 სექტემბერს, 12 ოქტომბერს..
[162] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 4 თებერვლის №13/5721 წერილი.
[163] იხ. < https://cutt.ly/ykHFRHU > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 12 თებერვალს].

დისტანციური წესით ჩატარებული სხდომების მნიშვნელოვანი (16%) ნაწილი სერიოზული, 1 საათზე მეტი დაგვიანებით იწყებოდა. სხდომათა დაგვიანებისა და გადადების მთავარი მიზეზი პენიტენციური დაწესებულებების ინფრასტრუქტურული გაუმართაობა იყო. ტექნიკური გაუმართაობა სხდომის მიმდინარეობასაც აჩენდა კვალს - მხედველობასა და სმენადობასთან დაკავშირებული, არსებითი ხასიათის ტექნიკური პრობლემები უკიდურესად აფერხებდა პროცესის ნორმალურ მიმდინარეობას, რიგ შემთხვევებში კი - სხდომის გადადებასაც იწვევდა.

დისტანციური წესით ჩატარებული სხდომები მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა სამართლიანი სასამართლოს უფლების ჭრილში. სხდომებზე ბრალდებულთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის ადვოკატთან კონფიდენციალური კომუნიკაციის შესაძლებლობა არ არსებობდა. მოწმეთა დაკითხვის დროს, რიგ შემთხვევებში, სასამართლო ვერ ამოწმებდა მოწმეთა სანდოობას. ტექნიკური ხარვეზების გამო, პრობლემას წარმოადგენდა მოწმეთა თუნდაც ვიზუალური აღქმა ან მათი საუბრის გარჩევა. რამდენიმე პროცესზე დაფიქსირდა თარგმნის ხარისხთან დაკავშირებული ხარვეზი.